

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების პირველი სტადია

ინიციატორი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. N141.

მიმწოდებელი: შპს „ვესტ დეველოპმენტი“ (ს/ნ 405323680), მის: ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქუჩა, N 7ა, ბინა 60.

დაინტერესებული პირები:

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;

საფუძველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის №ბ114. 114231242 ბრძანება „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“; ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 ივლისის №ბ114. 114231852 ბრძანება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის №ბ114. 114231242 ბრძანებაში „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

დოკუმენტის შემდგენელი პირები:

ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური
დოქტორი



გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი



გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი



ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნავთობისა და
გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო
განხრით სპეციალისტი



სერგო ჭყონია - ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა
დიპლომირებული სპეციალისტი, გელსაინფორმაციო სისტემის,
წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი
მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის
სპეციალისტი



ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო
მეურნეობის ინჟინერი



ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი



ტარიელ ტუსკია - ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მეცნიერებათა
აკადემიური ხარისხის დოქტორი



ვალეკო გონგაძე - ინჟინერ გეოდეზისტი



ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი



მანია მოწყობილი - მთარგმნელ-რეჟერენდი, პედაგოგი



სარჩევი

1. შემოკლებათა ახსნა.....	5
2. ტერმინთა განმარტება.....	5
3. შესავალი.....	7
4. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და თანმდევი ანგარიშები	8
ფიზიკური გარემო.....	12
უფლებრივი გარემო.....	47
5. საბაზისო რუკა	68
6. განაშენიანების დეტალური გეგმის მონახაზი	70
6.1. ტექსტური ნაწილი — დასაბუთება.....	70
6.2. გრაფიკული ნაწილი.....	102
7. განაშენიანების ესკიზი.....	103
8. გამოყენებული დოკუმენტები.....	111
დანართები.....	112

1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

- 1) ქობულეთი – ქობულეთი მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
- 2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
- 3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
- 4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.823, 20.42.04.804, 20.42.04.549, 20.42.04.565, 20.42.04.410, 20.42.04.562, 20.42.04.001, 20.42.04.813, 20.42.04.712, 20.42.04.609, 20.42.04.505, 20.42.04.507, 20.42.04.820, 20.42.04.821, 1 დაურეგისტრირებელი) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
- 5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
- 6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
- 7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
- 8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
- 9) დსს – კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
- 10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
- 11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
- 12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ.);
- 13) მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
- 14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
- 15) საკრებულო – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- 16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- 17) სამსახური – მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;
- 18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გასწვრივ;
- 19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
- 20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; 21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
- 22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
- 23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

- (1) აეროფოტო – საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (2) განაშენიანების ესკიზი – ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;
- (3) დენდროლოგია – მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღნუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
- (4) დრონი – ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
- (5) ესთეტიკური პარამეტრები – შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
- (6) კომპიუტერული გრაფიკა – კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;

- (7) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);
- (8) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;
- (9) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;
- (10) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათმორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;
- (11) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
- (12) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;
- (13) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;
- (14) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.
- (15) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;
- (16) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (17) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბექტორული (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;
- (18) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;
- (19) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;
- (20) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;
- (21) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;
- (22) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/შ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;
- (23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;
- (24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;
- (25) უფლებრივი გარემო — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;
- (26) ფიზიკური გარემო — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;
- (27) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;
- (28) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით, კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;
- (29) ქვედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ხელშეკრულების ან წინამდებარე დავალების ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება კოდექსის, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

3. შესავალი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავებულია „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის №8114. 114231242 ბრძანების, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის №8114. 114231242 ბრძანებაში „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 ივლისის №8114. 114231852 ბრძანების საფუძველზე და თანდართული დავალების შესაბამისად.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, როგორც ხედვა/მონახაზი, მიწათსარგებლობის ქვეზონებისათვის აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს განვითარების ქალაქმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

კონცეფცია შედგენილია შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.

4. საბაზისო მონაცემთა მატრიცა და თანმდევი ანგარიშები
 მონაცემთა (ინდიკატორების) მატრიცა (სარეკომენდაციო)

ფიზიკური გარემო					
#	დარგი/სფერო	მახასიათებელი	შედეგი	წყარო	შემსრულებელი
1.	სივრცით-ტერიტორიული მონაცემები				
1.1.	ორთოფოტოფიქსაცია	<p>მაღალი გარჩევადობის აეროფოტო. პროექცია აგებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემაში. პროექციის აუცილებელი ელემენტებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკოორდინატო ზადე (მასშტაბის შესაბამისი ბიჯით); • მუნიციპალიტეტის, დასახლების და/ან მისი ნაწილების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (არსებობის შემთხვევაში), და გეგმარებითი ერთეულის საზღვრები. • ინტერეს-წერტილები ტექსტურად (გზათა/ქუჩათა ქსელი; კულტურისა და დასვენების; რელიგიურ-საკულტო; ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო, სამაშველო და სხვა დაგეგმარებისთვის მნიშვნელოვანი ობიექტები), ტაქსონომიური დონის შესაბამისად. • შტამპი, გადაღების თარიღით, პირობითი აღნიშვნები, ნახაზის და პროექტის რეკვიზიტებით (მარჯვენა მხარეს). 	ორთოფოტოგეგმა იხ. გვერდი 12	საველე გადაღება. საჯარო რეესტრის ან სხვა ნებისმიერი თავისუფალი რესურსის გამოყენება და/ან შეთავსება. (პერიოდი/თარიღი. 2021წ; გადაღების მეთოდი: დრონი)	ვალეკო გონგაძე - ინჟინერ-გეოდეზისტი
1.2.	გეომორფოლოგია	გდგ მიზნებისთვის: საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემები ბუნებრივი ან/და ტექნოგენური საფრთხეების შეფასების რუკა. ასევე ამგვარი რისკების ქვეშ მყოფი ტერიტორიები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	თემატური გეგმა და გეომორფოლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 13-15	საველე დაკვირვება. კამერალური კვლევა, რელევანტური სამეცნიერო ატლასების/კვლევების გამოყენებით.	ტარიელ ტუსკია -ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის დოქტორი
1.3.	სეისმოლოგია	სეისმური დარაიონების მონაცემები, გვ/გდგ გეგმარებითი ერთეულების შესაბამისად.	თემატური გეგმა გეომორფოლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 16-17	<u>ტექნიკური რეგლამენტი- „სეისმომედეგი მშენებლობა“</u> რელევანტური სამეცნიერო ატლასების/კვლევების მონაცემები.	ტარიელ ტუსკია -ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური ხარისხის დოქტორი
1.4.	კლიმატი	კლიმატის მიკროდარაიონების მონაცემები. განაშენიანების დეტალური გეგმის შემთხვევაში- ინსოლაცია.	მონაცემები იხ. გვერდი 18-24	<u>ტექნიკური რეგლამენტი- „სამშენებლო კლიმატოლოგია“</u>	გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი
1.5.	ბუნებრივი ფასეულობები	არსებობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების მონაცემები. • ბუნების ძეგლები და/ან ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნა და მსგ.) 	თემატური გეგმა და დენდროლოგიური კვლევის ანგარიში იხ. გვერდი 25	საველე დაკვირვება/აღწერა, დარგობრივი გეგმის/კანონმდებლობის შესაბამისად.	გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი
1.6.	კულტურული ფასეულობები	არსებობის შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> • ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის მონაცემები მხოლოდ. ხოლო თუ არ არსებობს: <ul style="list-style-type: none"> • კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი და ინდივიდუალური დამცავი ზონები. • კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. 	თემატური გეგმა, ისტ.-კულტ. საყრდენი გეგმის ძირითადი სინთეზური რუკის ფრაგმენტების სახით იხ. გვერდი 26	საველე დაკვირვება/აღწერა, დარგობრივი გეგმის/კანონმდებლობის შესაბამისად. ისტ.-კულტ საყრდენი გეგმა	ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;

1.7.	ეკოლოგია	<p>უშენ ტერიტორიაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰაერის, წყლის, ნიადაგის მდგომარეობა; • აკუსტიკური რეჟიმის მონაცემები; • ბუნებრივი რესურსების გამოყენება; • ნარჩენების მართვის მონაცემები. <p>ნაშენ ტერიტორიაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> • აკუსტიკური რეჟიმის მონაცემები; • ნარჩენების მართვის მონაცემები; • დენდროლოგიური მონაცემები 	ეკოლოგიის კვლევის ანგარიში	საველე დაკვირვება	გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი
1.8.	მიწათდაფარულობა	<p>მიწათდაფარულობა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ურბანიზებული (საქალაქო, სადაბო, სასოფლო ნაშენი ტერიტორიები მწვანე მშენებლობის ჩართვით): <ol style="list-style-type: none"> 1.1. დასახლებები; 1.2. სოციალურ-კულტურული ობიექტები (კომპლექსები და ცენტრები); 1.3. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები; 1.4. სამრეწველო და სამშენებლო; 1.5. საინჟინრო ინფრასტრუქტურა; 1.6. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; 1.7. ლოგისტიკური-სასაწყობო; 1.8. ნარჩენების მართვის ობიექტები; 1.9. სპეციალური. 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების: <ol style="list-style-type: none"> 2.1. მემინდვრეობა; 2.2. მეცხოველეობა; 3. ბუნებრივ-ლანდშაფტური: <ol style="list-style-type: none"> 3.1. ტყით დაფარული; 3.2. ტყით დაუფარავი; 3.3. წყლის ობიექტები; 4. დეგრადირებული (ბრაუნფილდ) და გამოუყენებელი ტერიტორიები; <p>სხვა ტერიტორიები (ტერიტორიები, რომელთა ფუნქციური პროფილი უცნობია ან დადგენილი არ არის).</p>	თემატური გეგმა	კვლევის მონაცემები	ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;
1.9.	გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი	კვ.კმ / ჰა / კვ.მ	იხ. გვერდი 32	დავალება გეგმის შემუშავების თაობაზე: დაზუსტებული გეგმარებითი ერთეულის საზღვრები.	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი
1.10.	მიწათდაფარულობის შესაბამისი ტერიტორიების ფართობები	კვ. კმ / ჰა / კვ.მ.	იხ. გვერდი 32	ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა	ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;
1.11.	ნაშენი ტერიტორიის ფართობი	კვ. კმ / ჰა / კვ. მ	იხ. გვერდი 32	ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა	ვალეკო გონგაძე - ინჟინერ გეოდეზისტი
1.12.	უშენი ტერიტორიის ფართობი	კვ. კმ / ჰა / კვ. მ	იხ. გვერდი 32	ტოპოგრაფიული გეგმა საბაზისო რუკა	ვალეკო გონგაძე - ინჟინერ გეოდეზისტი
1.13.	საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე	ბინა ტერიტორიაზე (ბ/ჰა)	იხ. გვერდი 32	ტოპოგრაფიული გეგმა და განაშენიანების კვლევა	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი
1.14.	განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევა	<p>კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.</p> <ul style="list-style-type: none"> • განაშენიანების სახეობა; • გამოყენების სახეობა; • მიწის ნაკვეთის ფართობის პარამეტრები; • განაშენიანების წყობა (სტრუქტურა); 	იხ. გვერდი 32-38	საბაზისო რუკა და განაშენიანების კვლევა	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი

2. ინფრასტრუქტურა					
2.1.	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	საავტომობილო გზებისა და დასახლების ძირითადი გამჭოლი ქუჩების ქსელი, გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში. ქსელში ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • კატეგორია, დანიშნულება და ფიზიკური მდგომარეობა; • გამტარი ხაზოვანი ნაგებობის ტიპოლოგია (ხიდი, გვირაბი, ესტაკადა); • საჯარო ავტოპარკირება.	თემატური გეგმა იხ. გვერდი 38- 41	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	ზიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი
2.2.	საინჟინრო ინფრასტრუქტურა	მომარაგების და/ან არინების მაგისტრალური სადენების ქსელი, იდენტიფიცირებული სახეობის მიხედვით (წყალმომარაგება და წყალარინება; ელექტრომომარაგება; ბუნებრივი აირით მომარაგება; კავშირგაბმულობა), გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში. ქსელში ინდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: დაგეგმის საჭიროებიდან გამომდინარე • გამტარი ხაზოვანი ნაგებობის ტიპოლოგია (ხიდი, მილი, არხი, ტრანშეა და მსგ.) • კატეგორია, დანიშნულება და ფიზიკური მდგომარეობა; • სიმძლავრის (გამტარუნარიანობის) მონაცემები. • დამხმარე ნაგებობის ტიპოლოგია (სატუმბო-საქაჩი, შემკრები და მსგ.)	თემატური გეგმა იხ. გვერდი 42-46	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი; სერგო ჭყონია- ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი; ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ენერგეტიკოსი
2.3.	სოციალური ინფრასტრუქტურა	გეგმარებითი ერთეულების მიმდებარედ და არაუმეტეს 300 მ რადიუსში. იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების ობიექტები, და მათი კლასიფიკაცია; • რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები, და მათი კლასიფიკაცია.	თემატური გეგმა იხ. გვერდი 47	ტოპოგრაფიული გეგმა; საბაზისო რუკა და საველე კვლევა	ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;
3. სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები					
3.1.	მოსახლეობის რაოდენობა	იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი;	იხ. გვერდი 47	საველე კვლევა საქსტატი	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი
3.2.	მოსახლეობის სიმჭიდროვე	საერთო (მიახლოებით) სიმჭიდროვე: • მოსახლეობის (საშუალო) რაოდენობა გაყოფილი გეგმარებითი ერთეულის ფართობზე (კაცი/ჰა).	იხ. გვერდი 47	მიწათდაფარულობისა და საველე კვლევის ანალიზის შედეგად	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი
უფლებრივი გარემო					
#	მონაცემთა სფერო	მახასიათებელი	შედეგი	წყარო	შემსრულებელი
4. საკადასტრო მონაცემები					
4.1.	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული	გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: ქ. ბათუმის მუნიციპალური, და ადმინისტრაციული ერთეულების	თემატური გეგმა		ვალიკო გონგაძე - ინჟინერ გეოდეზისტი

	საზღვრების მონაცემები	საზღვრების მონაცემები, ასევე დადგენის (დელიმიტაცია) და/ან ადგილზე დაფიქსირების (დემარკაცია) სამართლებრივი აქტების და ოქმების მონაცემები.	იხ. გვერდი 47-48	საჯარო რეესტრი	
4.2.	დაცული და/ან სპეციალური ტერიტორიების საზღვრების მონაცემები	გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: საზღვრების მონაცემები, ასევე მათი დადგენის (დელიმიტაცია) და ადგილზე დაფიქსირების (დემარკაცია) სამართლებრივი აქტების და ოქმების მონაცემები.	თემატური გეგმა და მონაცემები იხ. გვერდი 48	საჯარო რეესტრი	გიორგი ზაზაძე - ეკოლოგი
4.3.	მიწის ნაკვეთების მონაცემები	საკადასტრო ერთეულები და მათი კოდები: ნაკვეთები, შენობები, ხაზოვანი ობიექტები; მიწის ნაკვეთის საკუთრების ტიპები და მესაკუთრეების (დაჯგუფებული) მონაცემები.	საკადასტრო მონაცემები იხ. გვერდი 49-63	საჯარო რეესტრი	ვალეკო გონგაძე - ინჟინერ გეოდეზისტი
5.	სამართლებრივი აქტების მონაცემები				
5.1.	დარგობრივი გეგმების მოთხოვნები	გეგმარებით ერთეულთან უშუალო სიახლოვეს არსებობის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • გეგმის რეკვიზიტები; • სპეციალური პირობები; • შემზღუდავი პირობები/რეჟიმები. ტაქსონომიური დონის შესაბამისად.	იხ. გვერდი 64	საყრდენი გეგმა	ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;
5.2.	კანონების/კანონქვემ დებარე აქტების მოთხოვნები	გეგმარებით ერთეულთან რელევანტურობის ქონის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • აქტის რეკვიზიტები; • სპეციალური პირობები; • შემზღუდავი პირობები/რეჟიმები. ტაქსონომიური დონის შესაბამისად.	იხ. გვერდი 64	სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე	გრიგოლ გარუჩავა - არქიტექტორი
6.	დაინტერესებულ პირთა მონაცემები				
6.1.	დაინტერესებულ პირთა მოსაზრებები	იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • მაცხოვრებლების ინტერეს ჯგუფების მოსაზრებები; • დაინტერესებული ორგანიზაციების მოსაზრებები ტაქსონომიური დონის შესაბამისად.	იხ. გვერდი 64-68	სოციოლოგიური კვლევა ან საჯარო შეხვედრები	ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი
6.2.	სახელმწიფო და/ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებები	არსებობის შემთხვევაში: იდენტიფიცირება-ვერიფიცირების მინიმალური ელემენტებია: • ზოგადი მოსაზრებები; • დაინტერესების ქვეშ არსებული ტერიტორიების მიმართ პირობები. ტაქსონომიური დონის შესაბამისად.	იხ. გვერდი 67	სოციოლოგიური კვლევა ან საჯარო შეხვედრები	ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქალაქ ქობულეთში, მოქცეულია დ. აღმაშენებლის გამზირს, მეგობრობის ქუჩის, თამარ მეფის სანაპიროს და კვარტალთშორის გასასვლელს შორის და მოიცავს 17 მიწის ნაკვეთს (ს/კ: 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.823; 20.42.04.804; 20.42.04.549; 20.42.04.565; 20.42.04.410; 20.42.04.562; 20.42.04.001; 20.42.04.813; 20.42.04.712; 20.42.04.609; 20.42.04.505; 20.42.04.507; 20.42.04.820; 20.42.04.821; 1 დაურეგისტრირებელი). გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 13200 კვ.მ-ს.

1.2. გეომორფოლოგიური

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ხრეშოვანი და თიხოვანი გრუნტები.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის მიმართ გრძივი გეოლოგიური ჭრილები (იხ. დანართი). როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

ფენა 1-ის ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი: თიხნარი ტორფის ჩანართებით, ქვიშნარი, ხრეში, სამშენებლო ნარჩენები. სიმძლავრე 2.0-5.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში ჭრილის ზედა ინტერვალებში.


ფენა 2-ის ხრეში, ქვიშის შემავსებლით 25%-მდე. სიმძლავრე 4.5-8.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 2.0-10.5 მ-ის ინტერვალებში.


ფენა 3-ის ქვიშნარი, მყარი, მუქი ნაცრისფერი, 2-3 სმ სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის შუაშრებით. სიმძლავრე ჩვენს მიერ შესწავლილ სიღრმემდე 9.5-11.0 მ-ია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 9.0-20.0 მ-ის ინტერვალებში (დაძიებული).

გრუნტის წყლები ჭაბურღილებში გამოვლინდა 3.0-3.5 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ბურღვის პოცესში მისი დონე შეიცვალა და დამყარდა 2.0-2.5 მ-ის სიღრმეზე. გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის თანახმად იგი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს ნებისმიერი მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.





აჭარის რეგიონი

სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტები

მასშტაბი: 1:250 000




პირობითი ნიშნები

- | | | | | |
|---|--|--|--|--|
| შუახევის მუნიციპალიტეტი | სახელმწიფო საზღვარი | მეწყერი | ღვარცოფი | დასახლებული პუნქტები.
(ფეროვანი წრეში აღნიშნავს მის ფარგლებში განვითარებულ ს.გ.პ. წითელი შრიფტით გამოყოფილია პუნქტები, სადაც 2014 წელს მოხალოდნენ ს.გ.პ. გააქტიურება) |
| ტკედის მუნიციპალიტეტი | საავტომობილო გზა | ეროზია | სტიქიური პროცესებით განსაკუთრებით დაბრუნებული უბნები | |
| კობულეთის მუნიციპალიტეტი | რკინიგზა | ზღვისა და წყალსატევების ნაპირების გარეცხვა | 2013 წელს გააქტიურებული ან ახლადწარმოქმნილი პროცესი | |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | ნავთობსადენი | | | |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | მდინარეები | | | |
| | ტბები და წყალსაცავები | | | |



სეისმიური საშიშროების რუკა
 მაქსიმალურ ჰორიზონტალურ აჩქარებასა და ბალებში



სეისმური საშიშროების რუკის დანართის ამონარიდი

დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	საკრებულო	A-სეისმურობის განზომილებო კოეფიციენტი	ბალი (MSK64 სკალა)
573	ქ. ქობულეთი	აჭარა	ქობულეთის	0.13	8

შენიშნული სეისმური ზემოქმედების საანგარიშო ინტენსიურობა, ბალი	საანგარიშო მნიშვნელობა α
7	0,80
8	0,65
9	0,50
10	0,35

1.4. კლიმატი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1-1/1743 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო კლიმატოლოგია(პნ 01.05-08)“-ს მიხედვით:

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%

ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2352 მმ;

ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;

ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;

თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;

თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 7.

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

(ამონარიდი)			ცხრილი 2		
კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, 0C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, 0C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება


(ამონარიდი)		ცხრილი 3	
N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები	
1	2	3	
144	ქობულეთი	IIIბ	

მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

(ამონარიდი)			ცხრილი 9										
განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ბ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

(ამონარიდი)		ცხრილი 13																
N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენია-ნობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
144	ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81	69	71	16	21



ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

(ამონარიდი)

ცხრილი 12

N	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
144	ქობულეთი	8,3	9,0	8,7	9,0	8,6	8,5	7,5	8,0	9,0	10,2	9,8	9,5	17,0	17,8	17,5	17,8	17,0	16,7	19,0	16,6	17,7	21,1	20,0	19,5

ნალექების რაოდენობა

(ამონარიდი)

ცხრილი 15

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	2	3	4
144	ქობულეთი	2352	240

თოვლის საფარი

(ამონარიდი)

ცხრილი 17

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კვა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	2	3	4	5
144	ქობულეთი	0,50	7	-

ქარის მახასიათებლები

(ამონარიდი)

ცხრილი 19


N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
144	ქობულეთი	18	22	24	25	26	2/3	36/8	15/11	8/10	7/9	23/40	5/17	4/2	4,4/1,5	5,1/1,7	2	23	13	8	7	30	11	6	20


გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ


(ამონარიდი)


ცხრილი 20

N	პუნქტების დასახელება	თიხვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხ-ვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	2	3	4	5	6
144	ქობულეთი	0	0	0	0










1.6. კულტურული ფასეულობები

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (იხ რუკა).



1.7. ეკოლოგია

გეგმარებითი ერთეულზე არ არის განთავსებული, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაზინებელი ობიექტები და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოს საერთო მდგომარეობაზე. გეგმარებითი ერთეულის მომიჯნავე ქუჩები მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით, გრუნტის წყლები ჩაედინება როგორც გამწვანების, ასევე სანიაღვრე არხებში, გეგმარებით ერთეულზე არ ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება. დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, რადგან ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ხმაურით დამაზინებელი ობიექტები.

ზოგადი კლიმატური პირობები

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე, ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სინოტივითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია -2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე. ზოგადად, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტოვე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ. კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ. მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათ კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება. ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში. ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც აგრეთვე აძნელებს ზაფხულის სიცხეს.

დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი (პირდაპირი მანძილი 3,51 კმ.) დაცული ტერიტორიები ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილია, რომლებიც კოლხეთის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედიან და მოიცავენ ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილოეთ ნაწილს. უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკომ კოლხურ ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა, რომელთა შემადგენლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიებიც შედის.

ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორია ფართობრივ შეზღუდულობის მიუხედავად (603.47 ჰა) მნიშვნელოვანი ღირებულების ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბოტანიკური თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი, პირველადი, ან თითქმის პირველადი სახით დღემდე შემორჩენილ, ფლორისტული თვალსაზრისით მეტად საინტერესო

ქობულეთის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია გადამფრენი, მოზუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის. ბოტანიკოსების დიდ დაინტერესებას იწვევს აქ არსებული ბორეალური სახეობები: სფაგნუმი ანუ თეთრი ხავსი და მწერიჭამია დროზერა. ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს ისპანი 1-ისა და ისპანი 2-ის სფაგნუმიან ტორფნარებს.

ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვე ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან საშიშროებას უქმნის ამ უკანასკნელის პირველად და ასევე, სხვადასხვა ხარისხით სახეშეცვლილ ეკოსისტემებს.

დაშორების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას (ეკოსისტემების დაზიანება, მთლიანობის დარღვევა და ა.შ), არ იქონიებს.

ფლორა და დენდროლოგიური მონაცემები (საჯარო სივრცეში)

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა, ფლორისტული შედგენილობის თავისებურებით, განსაკუთრებულობით და სათუთობით იქცევა ყურადღებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვის მიუხედავად (ტერიტორიის სამხრეთი კიდიდან ქობულეთის საკურორტო ზონამდე მანძილი 3 კმ-ს არ აღემატება), ხოლო მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ ეკვრის სოფლებს ოჩხამური, ცეცხლაური, მუხაესტატეს მაცხოვრებელთა კარმიდამოებს და სავარგულებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ჭაობის მცენარეული საფარი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული. ამის ძირითადი მიზეზი არის ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის დიდი სისქე (5 –9 მ), რაც ჭაობის ზედაპირს გაუვალს ხდის და მოსახლეობა მას სამოვრად ვერ იყენებს. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე პირველადი სახით შემორჩენილია ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი, რომელშიც საკმაოდ არის გავრცელებული იმერული ისლი (MOLINIA LITORALIS). ჭაობის ზედაპირის ზოგიერთ მცირე უბანზე დომინანტია ისლის რომელიმე სხვა სახეობა (Carex lasiocarpa; Carex riparia და სხვ.). ისლიანები და სხვა ბალახეულთა სინუზიები განვითარებულია სფაგნუმის ხავსებით შექმნილ ერთიან საფარზე. სფაგნუმიან საფარს კი ქობულეთის ჭაობში ძირითადად ქმნის Sphagnum papillosum, Sphagnum imbricatum და Sphagnum palustre-ს სახეობები.

ბალახოვანი სინუზიებში იშვიათია მრგვალფოთლა დროზერა (DROSERA ROTUNDIFOLIA), სამეფო გვიმრა (OSMUNDA REGALIS) და სხვ. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე შემონახულ ტორფიან ჭაობს თვითმყოფადობას ანიჭებს იელის (Rhododendron luteum) და შქერის (Rhododendron ponticum) არსებობა მის მცენარეულ საფარში, აგრეთვე ჭაობის საერთო ზედაპირიდან უმნიშვნელოდ ამალღებული ტორფის ბალიშები (გუმბათები), რომლებიც სფაგნუმის ხავსებით არიან შექმნილი. ჭაობის პერიფერიულ ზოლში ყურადღებას იპყრობს ხეჭრელი (FRANGULA ALNUS).

მდინარეების ტოგონის და შავი ღელის გასწვრივ რომლებიც „ისპანი“-2-ის ჭაობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაედინებიან, 4-5 ათეული წლის წინ დაჭაობებული მურყნარის კარგად შემონახული მასივები იყო 200-600 მ-ის სიგანის ზოლებად განვითარებული. ამჟამად მათ ადგილზე ძლიერ დეგრადირებული, მეტწილად ბუჩქოვანი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც შეიცავენ მურყანის (ALNUS BARBATA), ლაფანის (PTEROCARYA PTEROCARYA), იმერული მუხის (QUERCUS IMERETINA), ნეკერჩხლის (ACER CAMPECTRE), ჭყორის (Ilex colchica), იმერული ხეჭრელის

(FRANGULA ALNUS) დაბუჩქულ ეგზემპლარებს ისინი გადაბარდულია მაყვლით, ეკალიჭით (Smilax excelsa), ღვედკეცით (PERIPLACA GRAECA), VITIS SYLVESTRIS, სუროთი (HEDERA COLCHICA) და სხვა ლიანებით.

საკვლევ ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია. ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებიდან არცერთი არ განეკუთვნება საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობას. პროექტის განხორციელებისას დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების ნაწილის მოჭრა, ხოლო მათ ნაცვლად ახალი სახეობების გაშენება.

ფაუნა

ქობულეთის ჭაობები საკმაოდ მდიდარია ფაუნით. აქ მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს: წავი (Lutra lutra), ტურა (Canis aureus), ტყის კატა (Felis silvestris), ნუტრია (Myocastor coypus), მაჩვი (Meles meles). ზამთრობით შეიძლება შეგვხვდეს მგელი (Vulpes vulpes) და შველი (Capreolus capreolus). წვრილი ძუძუმწოვრებიდან: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (Erinaceus concolor), კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica), რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus), აქ შესაძლოა აგრეთვე შემდეგი სახეობების არსებობა: ვოლნუხინის ბიგა (Sorex volnuchini), გრძელკუდა კბილეთერა (Crocidura russula), წვეტყურა მლამიობი (Myotis blythii), ჯუჯა ღამურა (Pipistrellus pipistrellus), წყლის მემინდვრია (Arvicola terestris), კავკასიური ტყის თაგვი (Silvemu silvaticuss), სახლის თაგვი (Mus musculus), შავი ვირთაგვა (Rattus rattus).

სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები მნიშვნელოვანია როგორც დასასვენებელი ადგილები გადამფრენი წყლისა და ჭაობის ფრინველებისათვის. აქ შეიძლება შევხვდეთ ყველა იმ ფრინველს, რომელიც გვხვდება კოლხეთის დაბლობზე. მათ შორის: Anas strepera, Anser anser, Melanitta fusca, Scolopax rusticola და Netta rufina, ასევე მოზუდარი – Aquila pomarina, Accipiter nisus, Ardea cinerea, Circus aeruginosus, Egretta garzetta, Gallinago gallinago, Lymnocyptes minimus. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება მოზამთრე (Circus cyaneus) და გადამფრენი (C. pygargus და C. macrourus) სახეობები ძელქორებისა.

ქვეწარმავლების სახეობრივი რაოდენობა აქ მცირეა და შემოიფარგლება ჭაობის კუთი (Emys orbicularis), მარდი (Lacerta agilis) და საშუალო ხვლიკებით (Lacerta media), წყლისა (Natrix tessellata) და ჩვეულებრივი ანკარათი (Natrix natrix) და ესკულაპის მცურავით (Elaphe longissima). ამფიბიებიდან აქ გვხვდება ჩვეულებრივი (Triturus vulgaris) და სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus cristatus), ტბის ბაყაყი (Rana ridibunda), ჩვეულებრივი ვასაკა (Hyla arborea), მწვანე (Bufo viridis) და კავკასიური გომბემო (Bufo verucozissima). ტერიტორია მდიდარია უხერხემლოებით, რომლებიც სადღეისოდ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მდინარეებში აღინიშნება თევზების შემდეგი სახეობები: Silurus glanis, Leuciscus cephalus, Cyprinus carpio, Castanea sativa.

ატმოსფერულ ჰაერი და ხმაურის გავრცელება (აკუსტიკური რეჟიმი)

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევა ხორციელდება როგორც ავტომატურ სადგურებზე, ასევე ინდიკატორული გაზომვებით.

ქალაქ ქობულეთში და საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ავტომატური სადგურები არ არის წარმოდგენილი, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სადაც გაზომვები (როგორც ინდიკატორული ასევე ავტომატურ სადგურზე) წარმოებს ქალაქი ბათუმია.


ქალაქ ქობულეთში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები წარმოდგენილი არაა. ატმოსფერული ჰაერის მთავარ დამბინძურებლად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქის ტერიტორიაზე მოძრავი ავტოტრანსპორტი, რომელიც, ზოგადად, ერთერთი მთავარი ფაქტორია ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

გარდა ავტოტრანსპორტისა ქალაქ ქობულეთში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება ისეთი ობიექტებიდან, როგორებიცაა:

- სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები;
- ავტომობილების ტექ. მომსახურებისა და რემონტის ობიექტები;
- კვების პროდუქტების და პურ-ფუნთუშეულის წარმოების ობიექტები;
- საწვავის შენახვა და რეალიზაციის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის საცავები და ტერმინალები, ბენზინგასამართი სადგურები;
- ლითონის ან/და მეტალო-პლასტმასის დამუშავების, ლითონების შედუღების ან/და აირული ჭრის ობიექტები;
- სამშენებლო მასალების, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოების ობიექტები;
- ქვის სველი და მშრალი მეთოდით დამუშავების ობიექტები;
- ხის დამუშავების, ავეჯისა და ქაღალდის წარმოების ობიექტები;
- სოფლის მეურნეობის (მეფრინველეობის, სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების წარმოების) ობიექტები.

მოცემული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშირორჟანგი და სხვა.

ქალაქ ქობულეთში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რუკა - 2022 წლის საანგარიშო პერიოდი



უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელების მასშტაბური წყაროები წარმოდგენილი არაა. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დამბინძურებელი ნივთიერებების გავრცელება ძირითადად დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული საავტომობილო ნაკადებიდან ხდება, რომელიც, ასევე, ხმაურის გავრცელების მთავარი წყაროა.

პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწყობასთან იქნება დაკავშირებული - მიწის სამუშაოები, სატვირთოების გადაადგილება, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების გამოყენება, ბეტონის სამუშაოების წარმოება და სხვა. თუმცა, პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის. კომპლექსის მოსაწყობად სულ საჭირო იქნება 4 წელი. ამ პერიოდის განმავლობაშია მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, რაც გამოხატული იქნება ფონური მდგომარეობის მცირედით გაუარესებაში და მიმდებარე ტერიტორიებზე ხმაურის დონის მატებაში.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

ნიადაგი და გრუნტი

პროექტის განხორციელება ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. საინჟინრო ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების საძირკვლებისთვის საჭირო ქვაბულების მოწყობის პერიოდში საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი.

დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე (ან მიმდებარედ) გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა მოხდება იმგვარად რომ ნაყარი, დაცული იყოს წარეცხვისაგან წყალამრიდი არხების მოწყობით. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული იქნება კომპლექსისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები

გარემოს კომპონენტებიდან, დაგეგმილი სამუშაოების მიმართ ერთერთი ყველაზე მგრძობიარე რეცეპტორი წყლის გარემოა, რადგან საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს შავ ზღვასთან (90მ.), ხოლო ტერიტორიაზე გრუნტის წყლების მიწის ზედაპირთან შედარებით ახლოსაა (წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებით არსებული ზედაპირიდან 3.0-3.5 მ-ის სიღრმეებზე).

წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს სამშენებლო სამუშაოების არასწორ წარმართვას, დაუდევრობას, სამშენებლო სტანდარტების დარღვევას, ტექნიკის გამართულობის უგულებელყოფას, ნარჩენების არასათანადო მართვას და სხვა. აღნიშნულმა არასათანადოდ მართულმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს წყლის გარემოს დაზიანება. დაზიანების რისკები მაღალია უშუალოდ მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოების წარიმართოს მკაცრი კონტროლისა და სტანდარტების დაცვის ქვეშ.

საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები მინიმალურია. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, რომელიც ქალაქ ქობულეთის არსებულ ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემას დაუკავშირდება.

შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება.

ბიოლოგიური გარემო

- საბაზო ნიშნები
- ოზონის
- ბორცვის გზა
- პეტ. კედელი
- საქრეგულირებელი კედელი
- მავალი ნიშნები
- ბორცვი
- ტროტუარი
- კონსტრუქციის ხაზი
- ლაგონი
- გაზის
- ფარული
- დამხმარებელი შენობა

შემსრულებელი
შპს "საზაზისო რუკა"
კარგი ინჟინერული საზღვარები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
მერია



6. განაშენიანების დეტალური გეგმის მონახაზი

6.1. ტექსტური ნაწილი — დასაბუთება

A. დასაბუთება:

I. დაგეგმვის ობიექტი და დაგეგმვის მოსაზრებების შემუშავება

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№75-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ს/კ. 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804. სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, გამწვანების ადგილების და ავტოსადგომების მოწყობა.

დაგეგმვის მოსაზრებები შემუშავდა გეგმარებითი ერთეულის ფიზიკური გარემოს, მათ შორის სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევის, ასევე უფლებრივი გარემოს შესწავლისა და დაინტერესებულ პირთა, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებების განხილვის შედეგად.

1. დაგეგმვის საჭიროება და ინიციატივა

ვინაიდან გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი კ² მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, სახეზე გვაქვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 04 მაისს გამოცემულ იქნა №ბ114. 114231242 ბრძანება „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“, ხოლო 2023 წლის 04 ივლისს №ბ114. 114231852 ბრძანება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის №ბ114. 114231242 ბრძანებაში „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე შემუშავდა წინამდებარე კონცეფცია, რომლის განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე შემუშავდება გდგ-ს პროექტი.

2. გეგმარებითი ერთეულის აღწერა

2.1. საზღვრები / ურბანული ინტეგრაცია

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში და მდებარეობს კვარტალში, რომელიც მოქცეულია დ. აღმაშენებლის გამზირს, მეგობრობის, თამარ მეფის ქუჩებსა და კვარტალთშორისი გასასვლელებს შორის (იხ. საბაზისო რუკა). მისი ფართობი შეადგენს 13200 კვ.მ-ს. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის განვითარებისათვის, ათვისება დაიწყო რამოდენიმე წლის წინ. დღეისათვის საპროექტო მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრისები და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. გეგმარებითი ერთეული ძირითადად მოშენებულია ინდივიდუალური და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით, იგი უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და ტექნიკური ინფრასტრუქტურით და ინტეგრირებულია ქალაქის ურბანულ ქსოვილში, როგორც ფუნქციური და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე ქუჩათა ქსელით.

2.2. გეომორფოლოგია

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ხრეშოვანი და თიხოვანი გრუნტები. გრუნტის წყლები ჭაბურღილებში გამოვლინდა 3.0-3.5 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები: ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი, თიხნარი ტორფის ჩანართებით, ქვიშნარი, ხრეში, სამშენებლო ნარჩენები; ხრეში, ქვიშის შემავსებლით 25%-მდე; ქვიშნარი, მყარი, მუქი ნაცრისფერი, 2-3 სმ სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის შუაშრებით.

დეტალური გეომორფოლოგიური კვლევა წარმოდგენილია საბაზისო მონაცემებში.

ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.

2.3. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები

სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს ბუნებრივი ფასეულობების. მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს (იხ რუკა).

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური ობიექტები, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში (იხ რუკა).

2.4. კლიმატი და ეკოლოგია

კლიმატი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1-1/1743 ბრძანებით დამტკიცებული `სამშენებლო კლიმატოლოგია(პნ 01.05-08)`-ს მიხედვით:

ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;

ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%

ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2352 მმ;

ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;

ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;

თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;

თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 7.

დეტალურად კლიმატური პირობები იხილე საბაზისო მონაცემებში.

ეკოლოგიური მდგომარეობა

გეგმარებითი ერთეულზე არ არის განთავსებული, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტები და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ ახდენს გარემოზე ხანგრძლივ და შეუქცევ ან მაღალი კუმულაციური ეფექტის მქონე ზემოქმედებას, გარემოს ან/და ადამიანის ჯანმრთელობას არ უქმნის მომეტებულ რისკს, შესაბამისად არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოს საერთო მდგომარეობაზე. გეგმარებითი ერთეულის მომიჯნავე ქუჩები მოპირკეთებულია ასფალტობეტონით და ბუნებრივი ქვით, გრუნტის წყლები ჩაედინება როგორც გამწვანების, ასევე სანიაღვრე არხებში. გეგმარებით ერთეულზე არ ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება. დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, რადგან ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ხმაურით დამაბინძურებელი ობიექტები.

გეგმარებითი ერთეულის ეკოლოგიური მდგომარეობა ფართოდ ასახულია საბაზისო მონაცემებში და ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევაში (იხ. დანართი).


2.5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა და არსებული სტრუქტურა

2.5.1. განაშენიანებისა და გამოყენების სახეობების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე ძირითადად განთავსებული იყო კერძო საკუთრებაში არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით მოშენებული საკარმიდამო ნაკვეთები. მატერიალური გარემო არ გამოირჩევა ღირებული არქიტექტურით. მიმდებარე ტერიტორიის ათვისება დაიწყო 2016 წლიდან, აშენდა და შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სასტუმრო და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები. გეგმარებით ერთეულზე ასევე შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მიმდინარეობს კაპიტალური ფონდის განახლება. საინჟინრო ინფრასტრუქტურა რეკონსტრუირებულია და განახლებულია ბოლო წლებში.

დღეისათვის ტერიტორია განაშენიანების ჩამოყალიბებული კვარტალური სტრუქტურისაა. ქუჩების ქსელი ეყრდნობა ადგილობრივი საქალაქო მნიშვნელობის ქსელს, კვარტლის გეგმარებითი სტრუქტურა ოთხკუთხა ფორმისაა, ტერიტორია სწორი მარტივი რელიეფისაა.

გეგმარებით ერთეულზე განაშენიანებისათვის გამოყენების სახეობა არის საცხოვრებელი, განაშენიანების სახეობა არის დახურული.



ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმით გეგმარებითი ერთეული მდებარეობს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), რომელშიც განაშენიანების სახეობა - შენობა-ნაგებობის ანთავსების სახეობა მიწის ნაკვეთის გვერდითი საზღვრების მიმართ შეიძლება იყოს როგორც ღია (ცალკე მდგომი, შეტყუპებული, შეჯგუფებული), ასევე დახურული.

გამოყენების ნებადართული სახეობებია:

- ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას;
 - დ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ე) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ვ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) პროფესიული სასწავლებელი;
 - ი) ოფისი;
 - კ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
 - ლ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - მ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
 - ნ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
- საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვებ იყოს:
- ა) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი;
 - გ) უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება.

2.5.2. ინფრასტრუქტურა: სოციალური, სატრანსპორტო და ტექნიკური

სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული, მიმდებარედ განთავსებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, სკოლა, საავადმყოფო და საფეხბურთო სტადიონი (იხ. რუკა). დ. აღმაშენებლის გამზირი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის გზას (E-70), იგი გათვალისწინებულია ორმხრივი მოძრაობისათვის, დაშვებულია ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა. ზაფხულის საკურორტო სეზონის პირობებში საშუალოდ საათში გადაადგილდება 2000-2500 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება, სავალი ნაწილი ასფალტირებულია, აღჭურვილია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. საკვლევი ობიექტის გასწვრივ არსებული საფეხმავლო ტროტუარები მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, მოწყობილია გამწვანების ზოლები. თამარ მეფის სანაპირო წარმოადგენს საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. ის არის ორმხრივი მოძრაობის, მოკირწყლულია ქვაფენილით და მოწერიგებულია საგზაო ნიშნებით. საფეხმავლო ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. ტროტუარის გასწვრივ მოწყობილია გაზონი. მეგობრობის ქუჩა არის საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა.

ის არის ორმხრივი მოძრაობის, ასფალტირებული, მოწესრიგებული საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. ასევე გზის გასწვრივ მონიშნულია საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, საფეხმავლო ტროტუარები მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, მოწყობილია გაზონები. თამარ მეფის სანაპიროზე ე.წ. „გასასვლელი“ განკუთვნილია საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისათვის. ის მოკირწყლულია ქვაფენილით, ცალ მხარეს მოწყობილია საფეხმავლო ტროტუარი მოწესრიგებულია დეკორატიული ფილებით.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ იცვლება.

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია ტექნიკური/საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით, რომელთა სიმძლავრეები აღწერილია საბაზისო მონაცემებში. საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის გათვალისწინებით გეგმარებით ერთეულზე განთავსებული იქნება დაახლოებით 344 ბინა. მომხმარებელთა მაქსიმალური საერთო რაოდენობის (მათ შორის არსებული ობიექტების რაოდენობის) და სიმძლავრეების მოხმარების პიკური რაოდენობის გათვალისწინებით, საცხოვრებელი კომპლექსის კომუნიკაციებზე დაერთების შესაძლებლობასთან, მათ შორის გაზიფიცირებასთან, წყალმომარაგება/წყალარინებასთან, სანიაღვრე სისტემებთან და ენერგომომარაგებასთან, დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია და დასკვნები წარმოდგენილია ქვემოთ.



SOCAR GEORGIA GAS

შპს „გეზი დეველოპმენტი“-ის
დირექტორის ბატონ
ილია გუმბათაშვილს

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi. 6000
Tel: 16 114

E-mail: socar@socar.ge
www.socar.ge

№ O-SGG-CSH-LT-2023-7-3/34
03.07.2023

ბატონო ილია

თქვენი მიმდინარე წლის #I-SGG-KB-ST-2023-6-30/01 მიმართვის პასუხად, გაენიშეთ, რომ ქტიზული, აღმასრულებლის გამოჩენილი #69 #71 და #75-ის (სკ 20.42.04.823, 20.42.04.607, 20.42.04.608, 20.42.04.804) მიმდებარე განთავსებულია შპს „სოკარ გეორჯია გაზ“-ს საკუთრებაში არსებული და-50 საშუალო წყლის მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენი, საიდანაც სრულად არის შესაძლებელი, თქვენს მიერ მოთხოვნილ მისამართზე დაგვიწვიოთ მოვალეობები კომპლექსის ბუნებრივი გაზით მიწოდება, წარმოადგინოთ პარამეტრების შესაბამისად.

ქვე განვიმარტავთ, რომ საქართველოს ენერჯეტიკისა და წვალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად, კუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ განაცხადით (ერთობლივი განაცხადით) მიმართვის შემთხვევაში წინასწარ სრულად უნდა გადაიხადეთ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ამასთან განაცხადს დამატებით უნდა დართოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომხმარებლის (ანონსების) მიხედვით მსაერთოებელი სიმბლდრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ მომხმარებლის დაზუსტებული მისამართები, საკადასტრო კოდის მითითებით;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზომვების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით), ამასთან თუ თქვენი ობიექტი აშენებულია საქართველოს ნიაგრობის N41 დედეგნილების საფუძველზე (ქე მწერეთ სრული სახელწოდება), გაზომვების სქემა წარმოადგენს შენობის კონსტრუქციული ნაწილის შემადგენელს, შესაბამისად თქვენ მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რადგან სრულად იყოს გამოცევილი რომ გაზომვების წარმოადგენილი სქემა კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;

გ) მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი სახელი.

შრავალიზიანი სახეობებელი სახლის პროექტისთვისა და გიხივთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვის ვანების განთავსების ადგილი შერჩეული იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველების მოსაწყობად უნდა გამოიყოს სპეციალური ნიშა (ყველა ამ რამდენიმე სართულზე) რომელსაც დახადის მხარეს ექნება ვენტლირებული მოპირკეთება (პერეოლა, ცხარეი, გისიხი) ანდა მრიცხველები განთავსდეს პირველ

სართულზე, და სივრცეში ერთ ნიშაში ერთდროულად უნდა განთავსდეს არაუმეტეს 15 მრიცხველისა, განსადენი (დგარი) გატარებული უნდა იყოს ასევე და სივრცეში.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წვალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფუძველზე აპირებულ გაზგამანაწილებელი კომპანია, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასურის საფუძველზე, დადგენილების თანახმად-ამ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელ ქსელზე ხდება ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფუძველზე უზრუნველყოფის მხოლოდ შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი, ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო საშუალო და ხარგი (სრული ტექნოლოგიური დიკლი), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანა, მიერთებისათვის საჭირო საშუალებების შექნა, მიერთების საპროექტო-სამშენებლო საშუალები, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხების ან ნებართვის მოპოვება და აღრიცხვის ვანების მოწყობა, ბუნებრივი გაზით მიმარაგების დაწყების რაოდენობა, ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე ქსელის მოწყობას (შიდა ქსელი) უზრუნველყოფის ახალი მომხმარებელი.

საპროექტო-სამშენებლო საშუალები უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველებიდან გაზდამდგარებამდე უნდა დამონტაჟდეს უწყვეტი ალუმინის მრავალმიანი მილები, შენობის შიგნით მრავალმიანი მილების საპროექტო უნდა გადიოდეს ვენტლირებულ სივრცეებში ან გამოყენებული უნდა იყოს ვენტლირებადი მილები (საპერო არხები/მილები) ან მილის გარეშე სივრცე შუიკის ინტერული მასალებით. გაზსადენი უნდა მოთავსდეს ისეთ კორპუსში, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას ხანძრის შემთხვევაში, გარეშე გამანაწილებელი ლიცენზიატის). შესაბამისად გიხივთ გაითვალისწინოთ ჩვენი მითითებები მშენებლობის დროს, რათა გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაზიფიკირების საფუძველზე შესრულდეს უსაფრთხოების ნიშნების სრული დაცვით. მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობის დროს გიხივთ ასევე გაითვალისწინოთ გაზსადენი ბილის უწყვეტობის მნიშვნელობა გაზის გაფრთხილება და უზედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ამასთან მომხმარებლის მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს გამოყენებული მასალების სერთიფიკატები და ფარულ საშუალოა უტე.

ქვე უნდა განვიმარტავთ, რომ შენობა-ნაგებობებში გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო საშუალებების შესრულება დასაშვანია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებულ შენობებში დასრულებულია კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიის სამშენებლო სამუშაოები (გარდა მოსამრკეთებელი და კეთილმოწყობის სამუშაოებისა), მათ შორის, აშენებულია ყველა სართული, გადახურვით, საერთო სარგებლობის ფართობი, სადაც განთავსებული იქნება გაზგაყვანილობა დასან გაზის აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტლიაციით, ხოლო მრავალნიშანი შენობების შემთხვევაში, დასრულებულია და დაყვლილი ლიფტის მხატები, მოწყობილებული კიბის უკრებები და გამოყოფილია ხიშები.

ყოველზე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „გამანაწილების ლიცენზიატისთვის“ აუცილებელ პირობად განსაზღვრულია ბუნებრივი გაზით უსადრობო, უწყვეტი და საშიდო მომარაგება, გიხივთ გაითვალისწინოთ წინამდებარე წერილში მითითებული ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები და მრავალნიშანი სახეობებელი სახლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაიცვათ

განაწილებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, საკითხის აქტუალობიდან, შემდგომში გაზიფიკირების სამუშაოების შედეგების ან/და შეუძლებლობის გამორიცხვის მიზნით, გიხივთ გაზგამანაწილებელი ქსელის სქემა, მრიცხველების განთავსების ადგილი წინასწარ შეთანხმებით ჩვენს კომპანიათან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გიხივთ მოგვმართო შეზღვე მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაქის ქუჩა N46.

პატივისცემით,
ბატონ რეინალდური იფისის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
გაბრიელი

შემსრულებელი:
ი.დიასამიძე

ბმაქ - კოეფიციენტი, რომელიც ცხრილი 2-დან აღებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჩვენ შემთხვევაში $\beta_{მაქ}=1,4$, მაშინ

$K_{მაქ}. სთ=1,3 \times 1,4=1,82$, ხოლო

$q_{მაქ}. წმ=1,82 \times 3,255=5,92$ ლ/წმ

qსაშ.წმ. ხარჯზე იანგარიშება საპროექტო წნევიანი წყალდენი რეზერვუარამდე, ხოლო $q_{მაქ}. წმ. ხარჯზე$ - წყალსადენის ქსელი რეზერვუარის შემდეგ. ამასთანავე წყალსადენის ქსელ მოწოდება $q_{მაქ}. წმ. პლუსი$ საბ. ხარჯზე.

n - ერთდროულად მოსალოდნელ ხანძართა რაოდენობაა. იგი აღებულია ცხრილი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში $n=1$.

qსაბ. - ერთი ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯია. იმავე ცხრილიდან მიიღება მოსახლეობის რაოდენობისა და განაშენიანების სართულიანობის მიხედვით და ჩვენ შემთხვევაში ტოლია $q_{საბ.} = 10$ ლ/წმ.

მაშინ წყლის ჯამური ხარჯი, რომელზე ანგარიშითაა უნდა შემოწმდეს წყალსადენის ქსელი იქნება:

$$q_{მაქ}. წმ. + q_{საბ.} = 2,2 \text{ ლ/წმ.}$$

ხოლო საპროექტო კორპუსის მოთხოვნა სართულებისა და ბინების გაანგარიშებით წყალმომარაგების მოცულობა განისაზღვრება $1,5$ ლ/წმ. ანუ 130 მ³/დ.

აღნიშნული მოხმარების მიხედვით ცენტრალურ სისტემაზე დაერთება უნდა მოხდეს: 150 მმ-იანი წყლის მილით, რომელიც 185 მ³/დ.დ-მდე წყალმომარაგების გამტარიანობის წარმადობას უზრუნველყოფს.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინების დაერთება წყალმომარაგებაზე რეკომენდირებულია 150 მმ - 150 მმ-იანი წყლის მილით. მიზანშეწონილია მოხდეს ცენტრალურ წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელზე დაერთების შემდგომ 150 მმ იანი მილით და ადგილზე მოხდეს მათი განაწილება სადარბაზოს მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი ბინების დატვირთვის დროს, პიკის საათებში და ჩვეულებრივი საათებში, საათური წყლის მოხმარება თანაბარი, რომ არ იყოს და დასაშვები იქნება ერთდროულად რამოდენიმე სველი წერტილით სარგებლობა. რეკომენდირებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულებზე შიდა გამანაწილებელი დგარები მოწყობილი იყოს პირველი სართულიდან 150 მმ-იანი და მეხუთე სართულიდან 150 მმ-იანი წყლის გარდაშავალი მილით, წყლის მასის მოცულობის გათანაბრების მიზნით, ასევე სართულებზე იქნება დასამონტაჟებელი წყლის წნევის რეგულატორი, რომლებიც განაწილებული უნდა იყოს ცენტრალური დგარიდან სართულებზე სიმაღლის დონის მიხედვით სტაბილური წნევის შესანარჩუნებლად.

ვინაიდან საცხოვრებელი სახლების სიმაღლეები განსაზღვრულია წინასწარ სართულების მიხედვით, რეკომენდირებულია ტექნიკური სართულის მოწყობა შუა სართულებზე ან 0

სართულზე, სადაც განთავსებული იქნება წყლის ტუმბო ჰიდროფონის რეგულატორით, რომელიც წნევის ცვალებადობისა და წყალმომარაგების მოთხოვნის ხარჯზე ავტომატურ რეჟიმში დაარეგულირებს მაღალ სართულებზე მოხმარების მიხედვით სათანადო წარმადობას.

წყალარინების ქსელის დაერთება რეკომენდირებულია 150 მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ მილზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს დასაერთებელი წყალმომარაგების მილით მოთხოვნილი სითხის გამტარიანობას, ასევე ორივე ბლოკიდან ეზოს ან მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს შიდა გამანაწილებელი ქსელი, სადაც მოხდება წყალარინების მასის შეგროვება და შემდეგ ცენტრალურ მილში გადინება.

მრავალსართულიანი საცხოვრებელ კორპუსის მოცულობის მიხედვით დასაშვებია ცენტრალური დგარის მოწყობა სართულებზე 150 მმ-იანი წყალარინების მილით, რომლის შეკრება მოხდება საპროექტო შენობის მახლობლად საპროექტო შემკრებ წყალარინების ქაში, რომელიც შემდგომ მიერთებული იქნება შიდა წყალარინების სისტემაზე.

სანიაღვრე - ქსელის მოწყობა საპროექტო ტერიტორიაზე რეკომენდირებულია რამოდენიმე სანიაღვრე ჭის საშუალებით, რომლების ერთად შეკრება შესაძლებელია და დასაშვები იქნება იქვე არსებულ სანიაღვრე ქსელში, რომლის ტერიტორიაზე გადინება (ჩამდინარე წყლის, წვიმის წყლის, ზედაპირული წყლის ჩაშვება არ საჭიროებს დამატებით შესაბამის ნებართვებს გარემოს ზედამხედველობის ორგანოებიდან) და შესაბამის სანიაღვრე ქსელის მოწყობა გოფირებული მილით რაც, მხოლოდ წვიმის ან ზედაპირული დაგროვებული წყლის გამტარიანობას უზრუნველყოფს. აღნიშნულისათვის სავსებით საკმარისი იქნება საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ფართის მიხედვით 200 მმ-იანი გოფირებული მილის გატარება. ხოლო არსებობს მეორე ვარიანტიც, ქუჩის მხარეს გატარება სანიაღვრე ქსელის და იქვე არსებულ სანიაღვრე არხში ჩაშვება.

სპეციალისტი წყალმომარაგებისა და წყალარინების
საკითხებში

სერგო ტყონია

**განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის
ელექტრომომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი**

ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№75-ში არსებული მიწის ნაკვეთებზე ს.კ 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804 უნდა აშენდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი მიწისქვეშა 1, მიწისზედა 12 სართული.

საპროექტო ტერიტორიის (ს/კ: 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804) მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუნველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო შენობა ნაგებობა დაკომპლექტებულია ბინებით, აქედან გამომდინარე ელექტრო ენერჯის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა, (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

საცხოვრებელი ბინების დასაანგარიშებელი კოეფიციენტი 60 დან 100 ბინამდე შემთხვევაში განისაზღვრება 0,3 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე მომხმარებლის სიმძლავრე შეადგენს 10 კვტს. კოეფიციენტი იანგარიშება (10*0,3)=3 კვტ

დადგენილება №76 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (1მ²-0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება, ავტო ფარები, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს.

10 კვტ-დან 115 ბინის შემთხვევაში 0,3 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(10*0,3)=3 კვტ

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ ²	სულ/კვტ
1.	ლიფტი	13	1	13

2.	ხანძრის ქრობის სისტემები	50	1	50
3.	საერთო ფართის განათება	10	1	20
4.	სერვერი-სუსტი დენები	10	1	20
5.	სატუმბო სადგური	16	1	16
6.	საცხოვრებელი ბინა	3	115	345
7.	კომერციული ობიექტი	0.14	250	35
8.	სულ ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე			499

ჯამური მოთხოვნილი სიმძლავრე შეადგენს 499 კვტ-ს

რადგანაც მოთხოვნილი სიმძლავრე 499 კვტ არის საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №76 რეგულაციის ფარგლებში, დისტრიბუტორი კომპანია ვალდებულია რეგულაციით დადგენილი თანხის გადახდის (ქსელთან მიერთების საფასური 320 დან 500 კვტ-დე შეადგენს 167500 ლარს) შემდეგ ობიექტს მიაწოდოს მოთხოვნილი სიმძლავრე და (აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის ერთი მრიცხველი 220გ არის 400 ლარი; ერთი მრიცხველი 380გ 100 კვტ არის 2000 ლარი) გადახდის შემდეგ დადგენილი დანართით მიწოდებული სიძველის მიხედვით მოაწყოს აღრიცხვის კვანძები და აიყვანოს აღრიცხვაზე.

ენერგო-პრო ჯორჯიას ექნება აუცილებლობა ჩაატაროს სამუშაოები სახაზო საკაბელო ქსელის ცალკეული მონაკვეთების გასაძლიერებლად (დაამატოს ან შეცვალოს საკაბელო ხაზები), ასევე გააძლიეროს ელ მომარაგებისთვის საჭირო სატრანსფორმატორო ქვესადგურების დადგმული სიმძლავრე (შეცვალოს ან დაამატოს ძალიან ტრანსფორმატორები და ელ მოწყობილობები).

შემდეგ ენერგო-პრო ჯორჯიას მიერ გაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე განისაზღვრება ენერგო-პრო ჯორჯიას ქვესადგური, საიდანაც მოხდება ობიექტის საპროექტო ქვესადგურისთვის ელექტრო ენერჯის მიწოდება.

ობიექტის მომარაგებისათვის, ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, უნდა დაპროექტდეს 10/0,4 კვ-ის 630 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგური.

შემდეგ 0,4 კვ-ის გამანაწილებელი მოწყობილობიდან მომარაგდება საპროექტო ობიექტის 0,4 ელექტრო გამანაწილებელი კარადები და შესაბამისად ობიექტი სრულად.

ინჟინერი ენერჯეტიკის:  ტარიელ გოგინაიშვილი

**განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის სამომავლოდ
გაზიფიცირების შესაძლებლობის ანალიზი, საპროექტო ობიექტის სავარაუდო,
პერსპექტიული გაზის მომხმარებლების ჯამური საანგარიშო სიმძლავრის (მომხმარებლის)
განსაზღვრა ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირი N69, N71-ში და N73-N75 ში
მდებარე მიწის ნაკვეთებზე დასაგეგმი სახლისთვის**

შპს „ვესტ დეველოპმენტი“-ს (ს/ნ:405323680) დაკვეთით საცხოვრებელი სახლისთვის მშენებლობის დასამუშავებელი, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ქალაქ ქობულეთს, გეგმარებითი ერთეული მოიცავს ერთმანეთის მიყოლებით მდებარე რამდენიმე მიწის ნაკვეთს და მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირი N69, N71-ში და N73-N75-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე: ს/კ. 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804. დასაგეგმი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო მოედნის საერთო ფართობი 2855 კვ.მ.-ია.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს დასაგეგმ შენობა-ნაგებობებში მომავალი გაზის მომხმარებლებისთვის საჭირო, საანგარიშო გაზის ერთობლივი (ჯამური) მოხმარების პიკური რაოდენობა რაია გაზის მიწოდებელმა (ლიცენზიანტმა) კომპანიამ განსაზღვროს არსებული ან დასაგეგმი გაზსადენების ქსელით საცხოვრებელი კომპლექსის გაზმომარაგების შეუფერხებელი უზრუნველყოფა.

დასაგეგმი შენობა ნაგებობა წარმოადგენს საცხოვრებელ, 12 სართულიან, 115 ბინიან სახლს, პირველ სართულზე 1 არასაყოფაცხოვრებო (კომერციული) დანიშნულების ფართით.

დაგეგმილი საცხოვრებელი სახლის გაზით მომარაგებისთვის პიკური მოხმარების საანგარიშო ოდენობის განსაზღვრად ვიყენებთ პირველად საპროექტო მონაცემებს, რის საფუძველზეც სახლისთვის, პოტენციური აბონენტის ტიპის (საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო) მიხედვით სავარაუდო გაზის ხელსაწყოების, მათი მომხმარებლის რაოდენობრივი მონაცემების და ერთობლივი მოხმარების შესაძლებლობის შესაბამისი კოეფიციენტის გათვალისწინებით ვითვლით მოსათხოვნი გაზის რაოდენობის შესაძლო მაქსიმალურ (პიკურ) ოდენობას.

დაგეგმილი მრავალბინიანი სახლების ბინების ერთობლივი, ჯამური საანგარიშო გაზის მოხმარების დასათვლელად ვიღებთ ცალკეული სავარაუდო გაზის მომხმარებელი ხელსაწყოების მაქსიმალურ საათურ მოხმარებას (გაზტურის $Q_{max}=1,25$ კუბ.მ; წყალგამაცხელებელი ქვაბისთვის $Q_{max}=1,9$ კუბ.მ). რის საფუძველზეც სრულად დატვირთვის შემთხვევაში სახლის საანგარიშო მაქსიმალური გაზის საათური (პიკური) მოხმარება შესაბამისი აბონენტების რაოდენობისთვის მოხმარების ერთობლიობის კოეფიციენტის (ამ შემთხვევაში $K1=0,185$) და წყალგამაცხელებელი ქვაბების მუშაობის რეჟიმის და ერთობლივი მოხმარების ალბათობის კოეფიციენტის ($K2=0,8$ $K3=0,65$) გათვალისწინებით გათვლების საფუძველზე შეიძლება მივიღოთ:

$$Q_{max}=(1,9*0,85*0,65*115)+(1,25*0,185*115)=120,7+26,5=147,2 \text{ კუბურ მეტრამდე საათში.}$$

შენობაში საწყის სართულზე სავარაუდოდ დაგეგმილი არასაცხოვრებელი პოტენციური ერთი გაზის მომხმარებლის, სადაც შესაძლოა მოეწყოს: მაღაზიება, კვების ობიექტი ან მცირე წარმადობის საცხობის, სავარაუდო გაზის საათური მაქსიმალური ხარჯი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობის პირველ სართულზე განლაგებული აბონენტისთვის უსაფრთხოების მიზნით სიმძლავრის შეზღუდვის გამო შეგვიძლია 10 კუბ.მ/სთ-ის ტოლად მივიღოთ. შესაბამისად სავარაუდო არასაყოფაცხოვრებო პოტენციური გაზის მომხმარებლის მაქსიმალური საანგარიშო ჯამური გაზის მოხმარება იქნება $Q_{max}= 10$ კუბ.მ/სთ

სახლისთვის საანგარიშო მაქსიმალური (პიკური) ჯამური გაზის მოთხოვნა იქნება:

$$Q_{max}=147 + 10 = 157 \text{ კუბ.მ/სთ}$$

საცხოვრებელი სახლის მომავალი გაზის მომხმარებლები უნდა დაერთდნენ გაზის დაბალი წნევის საფეხუზე, 20 მილიბარამდე გაზის წნევით.

შემსრულებელი; სპეციალისტი, ბუნებრივი აირით
მომარაგების საკითხებში. ი. ბურჭულაძე

2.6. დემოგრაფია

გეგმის ტექსონომეტრიული დონის და დაგეგმვის მასშტაბიდან გამომდინარე დემოგრაფიის შესწავლა სავალდებულოა არ წარმოადგენს. საპროექტო ნაკვეთებზე განსათავსებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინების გათვალისწინებით მოსახლეობის რაოდენობა, საშუალო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემდგომში შეადგენს 860 ადამიანს.

2.7. საკუთრების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთები, მასზე გათავსებული შენობა-ნაგებობები წარმოადგენენ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე მუნიციპალურ საკუთრებას. ამასთან რამოდენიმე მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან არ იძებნება.

მიწის ნაკვეთი			მესაკუთრე
საკადასტრო კოდი	ფართობი კვ.მ.		
1	2	3	4
1	20.42.04.549	710,00	შპს ჯი ეს ჯი დი, შპს ინვესტი
2	20.42.04.565	1369,00	ქობულეთის მუნიციპალიტეტი
3	20.42.04.410	536,00	ანზორ ალანია
4	20.42.04.562	510,00	ირმა ხარაზი, აკოპ კასაბიან
5	20.42.04.001	301,00	ირმა ხარაზი
6	20.42.04.813	68,00	ირმა ხარაზი, აკოპ კასაბიან
7	20.42.04.712	701,00	შპს სიგმა +
8	20.42.04.804	1495,00	შპს ვესტ დეველოპმენტი
9	20.42.04.607	736,00	მარინე გოგიტიძე, რუსუდან ნოლაიძელი
10	20.42.04.608	138,00	მარინე გოგიტიძე
11	20.42.04.823	486,00	შალვა ახობაძე
12	20.42.04.609	693,00	ნუგზარ ინაიშვილი
13	20.42.04.505	521,00	ბესიკ აფხაზავა
14	20.42.04.507	615,00	დავით ზეტც, ქეთევან თოფურია
15	20.42.04.820	70,00	ამონაწერის გარეშე
16	20.42.04.821	261,00	ამონაწერის გარეშე
17	დაურეგისტრირებელი	750,00	ამონაწერის გარეშე

2.8. დაგეგმვის მოქმედი კანონმდებლობა

დღეისათვის საქართველოში დაგეგმარება რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“.

კოდექსი ადგენს: საქართველოს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების სისტემას, მის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების იერარქიასა და შემადგენლობას, მათი შემუშავებისა და დამტკიცების წესებს.

კოდექსის თანახმად:

საქართველოში მოქმედებს სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემდეგი იერარქია:

ა) სივრცის დაგეგმარების გეგმები. მათ მიეკუთვნება: საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა; ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა; მულტიმუნციპალური/მუნციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა;

ბ) ქალაქთმშენებლობითი გეგმები. მათ მიეკუთვნება: გენერალური გეგმა; განაშენიანების გეგმა; განაშენიანების დეტალური გეგმა.

იერარქიულად ზემდგომი გეგმის ან გეგმის შემადგენლობის ცალკეული ნაწილების არარსებობა არ აფერხებს იერარქიულად ქვემდგომი გეგმის შემუშავებას.

სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები შედგება ტექსტური ნაწილისა და გრაფიკული ნაწილისაგან.

ტექსტური ნაწილი წერილობით აღწერს სივრცის დაგეგმარების და განსახორციელებელი ღონისძიებების არსებით ასპექტებს: არსებულ მდგომარეობას და მის შეფასებას, ძირითად მოთხოვნებს, ამოცანებს და დაგეგმილ ღონისძიებებს.

ტექსტური ნაწილი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, რომელშიც მიეთითება ყველა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის საფუძველზედაც მოხდა დაგეგმვის პროცესში ინტერესთა შეჯერება. გრაფიკული ნაწილი უნდა შეესაბამებოდეს კარტოგრაფიულ ნორმებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მასშტაბებს.

ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ხორციელდება ორსაფეხურიანი სისტემით, რომელიც გულისხმობს:

ა) მიწათსარგებლობის რეგულირებას, რომელიც ხორციელდება გენერალური გეგმის მეშვეობით;

ბ) განაშენიანების რეგულირებას, რომელიც ხორციელდება განაშენიანების გეგმის ან/და განაშენიანების დეტალური გეგმის მეშვეობით.

განაშენიანების დეტალური გეგმა შედგება ტექსტური ნაწილისა და გრაფიკული ნაწილისაგან.

განაშენიანების დეტალური გეგმა მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონირების თვალსაზრისით უნდა ადგენდეს: ფუნქციურ ქვეზონებს, ამ ქვეზონებში განაშენიანების რეგულირების შემდეგ პარამეტრებს: განაშენიანების მაქსიმალურ კოეფიციენტს; განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ კოეფიციენტს ან ერთდროულად განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალურ და მინიმალურ კოეფიციენტებს; გამწვანების მინიმალურ კოეფიციენტს; განაშენიანების სართულიანობის ან/და სიმაღლის მაქსიმალურ მაჩვენებელს; განაშენიანების სახეობას; მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გამოყენების ნებადართულ სახეობებს; მიწის ნაკვეთის ფართობის პარამეტრებს (მინიმალურ მაჩვენებელს ან/და მაქსიმალურ მაჩვენებელს ან/და გაზარიტულ ზომებს); განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს); განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს); სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საინჟინრო-კომუნალურ ქსელებს; ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობას.

დადგენილი განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი ან/და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი შეიძლება გადამეტებულ იქნეს განაშენიანების დეტალური გეგმის საფუძველზე, თუ ეს კომპენსირდება სხვა ღონისძიებებით, ამას მოითხოვს ქალაქთმშენებლობითი განვითარების განსაკუთრებული მიზნები (მაგალითად, ურბანული ღირებულების დაცვა და განვითარება), ამას არ დაუპირისპირდება საზოგადოებრივი ინტერესები და არ გამოიწვევს ადამიანთა საცხოვრებელი გარემოს და სამუშაო გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუარესებას.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით:

მუნციპალიტეტი უფლებამოსილია გეგმის ან მისი ნაწილის ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შემუშავება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაუკვეთოს კერძო სამართლის სუბიექტს. გეგმის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორ სტადიად:

ა) I სტადია – განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება; I სტადია იწყება განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შემუშავების შემდეგ, რომლის დროსაც წინასაპროექტო კვლევების საფუძველზე უნდა განხორციელდეს გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციაში ასახული უნდა იყოს ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მუნციპალიტეტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციას ამტკიცებს შესაბამისი მუნციპალიტეტის საკრებულო.

ბ) II სტადია – განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა და დამტკიცება. II სტადია იწყება განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცებული კონცეფციის საფუძველზე გეგმის პროექტის შემუშავების შემდეგ, მისი განხილვისა და დამტკიცების მიზნით. განაშენიანების დეტალური გეგმას ამტკიცებს შესაბამისი მუნციპალიტეტის საკრებულო.

გეგმაში ცვლილების შეტანა ხდება მუნციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, მუნციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ან ნებისმიერი პირის მიმართვის საფუძველზე. გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში I სტადია არ ხორციელდება.

განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების სტადიაზე საზოგადოებისათვის თვალსაჩინო ადგილას დამატებით უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა, რომელზედაც, სულ მცირე, უნდა განთავსდეს ინფორმაცია დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრების, დაინტერესებული პირებისაგან მოსაზრებებისა და შეფასებების მიღების პერიოდისა და გეგმის დამტკიცების სავარაუდო ვადების შესახებ.

ქალაქთმშენებლობითი გეგმებით დადგენილი მოთხოვნების შესასრულებლად დასახლებათა ტერიტორიების საერთო სარგებლობის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურითა და სანიაღვრე ქსელებით უზრუნველყოფისათვის პასუხისმგებელია მუნციპალიტეტი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“ აზუსტებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებს და განსაზღვრავს: სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების ინიცირების, დაფინანსებისა და შემუშავების უფლების კერძო სამართლის სუბიექტისთვის გადაცემის წესსა და პირობებს; მოსამზადებელი კვლევების ჩატარების საკითხებს, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების კონცეფციის შინაარსს; სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შინაარსს; სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესსა და პირობებს.

წესის თანახმად:

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება სავალდებულოა, როდესაც არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მაინც:

ა) მიწის ნაკვეთებისათვის ძირითადი დებულებებით განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეგლამენტების დადგენა.

ბ) ხორციელდება უშუალო ტერიტორიის განაშენიანება;

გ) კოდექსის 67-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (მათ შორის, ინფრასტრუქტურული მოწყობის, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის, ტერიტორიის/ზონის ფუნქციური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაგეგმილი ბალანსის და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლების ცვლილებას);

დ) გენერალური გეგმით/განაშენიანების გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებაზე უფლებამოსილი ორგანოა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანო, საკუთარი ან/და ნებისმიერი დაინტერესებულ პირის ინიციატივის საფუძველზე. თუ განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ხორციელდება კერძო ინიციატივის საფუძველზე, მაშინ მის ფინანსურ უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი დაინტერესებული პირი.

გეგმების ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილება მოიცავს გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით დავალებას, შემდეგ საკითხებზე: გეგმარებითი ერთეულის კვლევა; გეგმარებითი ერთეული; გეგმის კონცეფციის/პროექტის შემადგენლობა და მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი;

გეგმარებითი ერთეულის კვლევის საფუძველზე ხდება სივრცის დაგეგმარების/ქალაქთმშენებლობითი გეგმების კონცეფციის შემუშავება, რომელიც შედგება გრაფიკული (პირობითი აღნიშვნების გამოყენებით) და ტექსტური ნაწილებისგან (ანოტაცია).

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია უნდა მოიცავდეს საბაზისო რუკაზე დამუშავებულ განაშენიანების რეგულირების გრაფიკულ მონახაზს და ტექსტურ ანოტაციას. განაშენიანების დეტალური გეგმისათვის გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე. ტექსტური ნაწილი ადგენს განაშენიანების მართვის რეგლამენტს, გრაფიკული ნაწილი განაშენიანების დეტალური გეგმისათვის არის კონკრეტული.

განაშენიანების დეტალური გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. განაშენიანების დეტალური გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. გეგმაში არსებითი სახის ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

განაშენიანების დეტალურ გეგმაში დამუშავების დავალებით განსაზღვრული მასშტაბის შესაბამისად, დასაშვებია მასში იმგვარი დაზუსტებების შეტანა, რაც აღმოფხვრის მასში არსებულ ფაქტობრივ ცდომილებებს. ასეთ შემთხვევაში, დასაბუთების საფუძველზე ფუნქციურ ზონირებაში შესაძლებელია კორექტირებები, რაც არ განიხილება ქალაქთმშენებლობით გეგმაში ცვლილების შეტანად და არ იწვევს პროცედურის გავლას. აღნიშნული სახის კორექტირება მტკიცდება ინიციატორის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის წარდგენის საფუძველზე დამტკიცების უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ. ამ მიზნებისთვის დასაბუთება მოიცავს ტერიტორიის ტოპოგრაფიულ გეგმას, ფოტოსურათებს, ფაქტობრივი ცდომილების ამსახველ ნახაზს, მიმდებარე ტერიტორიაზე ზონირების შედარებით ანალიზს, კორექტირების ნახაზს (გეოინფორმაციული სისტემის ფორმატში).

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ აზუსტებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებს და იგი განმარტებული და გამოყენებული უნდა იქნეს ამ მოთხოვნათა შესაბამისად.

დებულებები ადგენს:

ა) სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიებს, აგრეთვე, მათში დასაშვებ შენობა-ნაგებობის სახეობების ჩამონათვალს;

ბ) მოთხოვნებს სამშენებლო ტერიტორიების, ფუნქციური ზონებისა და ქვეზონების მიმართ;

გ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების პარამეტრებს ფუნქციური ზონების და ფუნქციური ქვეზონების შესაბამისად და მათი ანგარიშის წესებს;

დ) განაშენიანების სახეობებს, მიწის ნაკვეთზე განაშენიანებისთვის განსაზღვრული არელების დადგენის წესს;

ე) მიჯნის ზონების განსაზღვრის და ამ ზონებში შენობა-ნაგებობების განთავსების წესებს.

დებულებების თანახმად:

ფუნქციური ზონირების პრინციპი გულისხმობს ტერიტორიისთვის შესაბამისი ნორმატიული რეჟიმის განსაზღვრას. ნორმატიული რეჟიმი ადგენს ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების მარეგულირებელ ნორმებს.

ტერიტორიები გამოყენებისა და განვითარების მიზნით იყოფა:

ა) სამშენებლო ტერიტორიებად;

ბ) არასამშენებლო ტერიტორიებად.

სამშენებლო ტერიტორიებზე ნორმატიული რეჟიმი დგინდება ფუნქციური ზონების და ქვეზონების და ძირითადი პარამეტრების დადგენით, რომლის საფუძველზეც მუშავდება ქვემდგომი გეგმები და კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნების დაცვით დგინდება განაშენიანების მართვის საფუძველები. სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ფუნქციურ ზონაში ან/და ქვეზონაში, სადაც ნორმატიული რეჟიმის თანახმად ნებადართულია მშენებლობა. განაშენიანების დეტალური გეგმის შემთხვევაში, სამშენებლო მიწის ნაკვეთი არ უნდა ხვდებოდეს ერთზე მეტ ფუნქციურ ქვეზონის მოქმედების არეში. არასამშენებლო ტერიტორიების განსაზღვრა შესაძლებელია სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი ან/და დარგობრივი გეგმების მიერ შესაბამისი ტერიტორიული რეჟიმების დადგენით, სადაც ცალკეულ შემთხვევებში დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ფუნქციით განპირობებული მშენებლობა.

ქალაქთმშენებლობითი გეგმით სამშენებლო ტერიტორიაზე შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული ზონა ან/და ქვეზონა. შესაბამისი ქვეზონისათვის დასაშვებია საგამონაკლისო მშენებლობა.

განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია სამშენებლო ქვეზონის ნაწილის, ცალკეული მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის ნაწილისათვის განაშენიანების განსხვავებული პარამეტრების დადგენა. განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია განაშენიანების სახეობის განსხვავებული პირობების განსაზღვრა. მიჯნის ზონის დაცვა სავალდებულო არ არის, თუ განაშენიანების სახეობა შეტყუპებულია, შეჯგუფებულია ან დახურულია, ხოლო შენობებს ან მათ ნაწილებს სამეზობლო საზღვარის მხარეს ღია ნაწილები არ გააჩნიათ.


ავტოსადგომი უნდა განთავსდეს სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვრებში. შესაძლებელია დადგინდეს ავტოსადგომების რეგულირებასთან დაკავშირებული გამონაკლისები ან /და დამატებითი პირობები. განაშენიანების გეგმით/განაშენიანების დეტალური გეგმით შეიძლება დადგინდეს, რომ კონკრეტულ ზონაში დაუშვებელია ან შეზღუდულია ავტოსადგომების მოწყობა.

განაშენიანების გეგმით/განაშენიანების დეტალური გეგმით შესაძლებელია დადგინდეს ღობის მოწყობის განსხვავებული პირობები.

3. დაგეგმვისწინა მდგომარეობა

3.1. დაგეგმვის მიზნები და პრინციპები

პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას 4,5-მდე (მაქსიმალური), რაც „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საჭიროებს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას.



„ქალაქ ქობულეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №11 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმით, გეგმარებითი ერთეული მოქცეულია საცხოვრებელ ზონაში, რომლის მიმართ მოთხოვნები გაწერილია იეარარქიულად ქვემდგომ განაშენიანების გეგმაში. იგი წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას, რომელშიც დასაშვებია განსათავსებელი ობიექტის გამოყენების სახეობა.

განაშენიანების პარამეტრები განსაზღვრულია იეარარქიულად ქვემდგომ განაშენიანების გეგმაში, კერძოდ:

სამშენებლო ქვეზონა - მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4).

განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0,5;

განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 2,5;

გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,3.

3.2.2. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები; 3.2.3. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის გეგმარებითი ერთეულის მიმართ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები დაგეგმილი არ არის, ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები.

3.3. დარგობრივი გეგმები; 3.4. მომიჯნავედ დამტკიცებული და დამუშავების პროცესში მყოფი ქალაქთმშენებლობითი გეგმები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის დარგობრივი გეგმები არ არის შემუშავებული, ამასთან შემუშავების პროცესშია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი - განაშენიანების დეტალური გეგმა. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულია ქალაქ ქობულეთის გენერალური და განაშენიანების გეგმები.

4. დაგეგმვის მოსაზრებების ფორმირება

4.1. დაგეგმვის ტაქსონომიური დონე და მასშტაბი

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმშენებლობით გეგმებს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა 17 მიწის ნაკვეთისაგან შემდგარ გეგმარებით ერთეულზე, რომლის ფართობი შეადგენს 13200 კვ.მ-ს (იხ. საბაზისო რუკა).

4.2. საწყისი მონაცემები და ინიცირებული ცვლილებები

დანართი 1

დაგეგმვის საჭიროების აღწერა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი¹ს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია განაშენიანების დეტალური გეგმის (შემდგომ ვადებზე შემუშავების ინიცირება) საავტორულია, როდესაც არსებობს ქვემო ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მისთვის:

- ა) მიწის ნაკვეთისათვის ძირითადი დებულებებით განსაზღვრული კვლევის საფუძველზე შეუძლებელია განაშენიანების რეკონსტრუქციის დადგენა;
- ბ) ხორციელდება უშუალო ტერიტორიის განაშენიანება;
- გ) კოდექსის 67-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იწვევს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს (მათ შორის, ინფრასტრუქტურული მოწყობის, განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წესის, ტერიტორიის ზონის ელემენტური გამოყენების ჩამოყალიბებული/დაცემული ზღვრის და განაშენიანების სხვა მსგავსი მახასიათებლების ცვლილებას);
- დ) იუსორალური გეგმით/განაშენიანების გეგმით განსაზღვრულ შემთხვევებში.

უმნიშვნელო, ჩვენს დაინტერესებულ პირთა უმრავლესობის (მიწის ნაკვეთის) საკუთარი N20.42.04.823; N20.42.04.607; N20.42.04.608; 20.42.04.804 განვითარების მიზანია (დეტალურად იხ. დანართი 2) დადგენილი კვ მშენებლის გადასტუმრება, რაც წარმოადგენს სწორედ საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი² საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კვ მშენებლის გადასტუმრების საფუძველი - გდგ, სახეზე გვექვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად ჩვენ მიერ ინიცირებულ იქნა გეგმის შემუშავება.

დანართი 2

დაგეგმილი ცვლილების მიზანი

ჩვენს დაინტერესებულ პირთა უმრავლესობის (მიწის ნაკვეთის) საკუთარი N20.42.04.823; N20.42.04.607; N20.42.04.608; 20.42.04.804 განვითარების მიზანია მდგომარეობის შემდგომი: ქალაქ ქობულეთში, დ. აღმშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№75-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი გადასტუმრების მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

მიზანია არააპირად განხორციელდება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთზე არსებული გასულ საუკუნეში აშენებული შენობებისაგან და დამხმარე შენობა-ნაგებობებისაგან გამოთავისუფლებას და თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობით ჩანაცვლებას, ასევე საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირებული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ხოლო სამშენებლო სექტორის უფრო მეტად გააქტიურება, ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას.

აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მრავალსართულიანი შენობების განთავსება არ გამოიწვევს ურბანული ქსოვილის რღვევას და მასში დისონანსის შექმნას, რადგან მომდებარე საკადასტრო ერთეულზე უკვე აშენებულია და მიმდინარეობს მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა. ჩამოყალიბდება ახალი მდგრადი გეგმარებითი ერთეული, რაც განაზღვრულია და მიზანშეწონილია. განვითარების შედეგად გათვალისწინებული იქნება ქალაქგეგმარებითი მთავრობების, გააშენებული ტერიტორია-სვერი, ავტოსადგომი და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა.


მსოფლიოში არსებულმა ეკონომიკურმა ვითარებამ განაპირობა ბაზარზე სამშენებლო მასალების გაძვირება, რამაც შეამცირა რეზერვულობა, ამისათვის საჭიროა მეტი ზონა-ერთეულების რეალიზაცია, რათა მშენებლობის სექტორი იყოს სტაბილური და რენჯაბელური.

მშენებლობაზე დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელება და მშენებლობის პროცესში დასაქმდება სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე ათობით ადამიანი.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-4), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-2,5-ს.

ჩვენს მიერ დაგეგმილი შენობების სავარაუდო სართულიანობა შეადგენს 12 სართულს, მიწის ნაკვეთებზე სკ N20.42.04.607; N20.42.04.608 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი შეადგენს - კ2-3,0, მიწის ნაკვეთზე სკ N20.42.04.804 - კ2 4,5, ხოლო მიწის ნაკვეთზე სკ N20.42.04.823 შეადგენს - კ2 2,5.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გათვალისწინებით დაგეგმილი პროექტის განხორციელება საქართველოს განაშენიანების კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კვ მშენებლის გადასტუმრების საფუძველი - გდგ, სახეზე გვექვს დაგეგმვის საჭიროება და შესაბამისად ჩვენ მიერ ინიცირებულ იქნა გეგმის შემუშავება.



ილ. 1. სავარაუდო გეგმარებითი ერთეული

4.3. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების №8 დანართი სარეკომენდაციო და მისი გათვალისწინება რეკომენდირებულია უშუალო ტერიტორიების გეგმარებითი საბალანსო ერთეულებისათვის. ხსენებული დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამავე პუნქტში მოცემული მარეგულირებელი ინდიკატორები არ არის რეალური მდგომარეობით ნორმატიული მაჩვენებლების დადგენის საფუძველი.

დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი ნაწილის „მ)“ პუნქტის განმარტების მიხედვით: „უშუალო ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უშუალოდ მწვანე საფარითაა დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა.“

აღნიშნულიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ერთეულის მიმართ განვითარების ზღვრული სიმჭიდროვის მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

II. გეგმის შინაარსი და ინტერესთა შეჯერება

1. დაგეგმვის მიზნები და გეგმის ძირითადი შინაარსი

1.1. გეგმის მიზანი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიზანია გეგმარებითი ერთეულის სამშენებლოდ განვითარებისათვის ქალაქთგეგმარებითი ასპექტებისა და პრინციპების დაცვით, მასში მოქცეული ტერიტორიის გამოყენების დადგენილისაგან განსხვავებული პირობების განსაზღვრა (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით), მათ შორის ქალაქმშენებლობის პარამეტრების, განაშენიანების და სხვა პირობების განსაზღვრა.

გარდა გდგ-ს დავალებით განსაზღვრული მიზნებისა (დაგეგმვის მიზანი) ემსახურება შემდეგ ქალაქთმშენებლობით მიზნებს:

- გეგმარებით ერთეულში არსებული მიწის ნაკვეთების ფორმირებისთვის ფორმალურ-სამართლებრივი წინაპირობების შექმნა;
- განაშენიანების ფორმირებისთვის საჭირო მიწათსარგებლობის პირობების განსაზღვრა;
- განაშენიანებისთვის საჭირო განაშენიანების რეგულირების პარამეტრების და მათი ზღვრულად დასაშვები მაჩვენებლების განსაზღვრა. საჭიროების შემთხვევაში, მათი გადამეტების ოდენობისა და პირობების განსაზღვრა.
- განაშენიანებასთან ინტეგრირებისა და თავსებადობის უზრუნველყოფა.

განაშენიანების დეტალური გეგმა გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი განაშენიანებისთვის საჭირო ქალაქმშენებლობითი გეგმა და გააჩნია განაშენიანების მართვის სავალდებულო ხასიათი, რამდენდაც ის წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების რეგულირების უშუალო საფუძველს.

1.2. გეგმის ძირითადი შინაარსი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია შემუშავდა გეგმარებით ერთეულში შემავალ მიწის ნაკვეთებზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსებისათვის განაშენიანების გეგმით განსაზღვრული განაშენიანების პარამეტრების ცვლილებების მიზნით და მოიცავს როგორც დასაბუთებას, ეფექტიანობის შეფასებას, ასევე გრაფიკულ ნაწილს, განაშენიანების ესკიზის ჩათვლით. კონცეფციაში წარმოდგენილი ტერიტორიის გამოყენების რუკაში გეგმარებითი ერთეულის მიმართ განსაზღვრულია როგორც განაშენიანების პარამეტრები, ასევე ესთეტიკური პარამეტრები, გამწვანების და სხვა პირობები.

2. განვითარების შესაძლებლობები

2.1. ზელოკალური განვითარება

2.1.1. სდგ-ს / დარგობრივი გეგმების მიხედვით - 2.1.2. გენგეგმის მიხედვით

დარგობრივი გეგმებისა და გენგეგმის მიხედვით ზელოკალური განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრისათვის საჭიროა ასეთი გეგმების შემუშავება და დამტკიცება, რაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ ამ ეტაპზე არ განხორციელებულა.

2.2. ლოკალური განვითარება

2.2.1. დაგეგმილი ცვლილებები

სამშენებლო მიწის ნაკვეთები წარმოადგენენ ინდივიდუალური და მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით მოშენებულ ნაკვეთებს, რომლებზეც დაგეგმილია 8- 12 სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რაც გულისხმობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ნაცვლად 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და მშენებარე საცხოვრებელ სახლზე დამატებითი ბინების მოწყობას, ასევე გამწვანების-დასასვენებელი ზონის, პარკინგის მოწყობას და სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას. განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით დაგეგმილია მიწის ნაკვეთებზე ქალაქმშენებლობის პარამეტრების სიდიდეების ცვლილება/გაზრდა დადგენილი 1,8-დან 4,5-მდე (მაქსიმალური), კერძოდ მიწის ნაკვეთებზე ს/კ №20.42.04.607, №20.42.04.608 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრება კ2=3,0, მიწის ნაკვეთზე ს/კ №20.42.04.804 – კ2=4,5, ხოლო მიწის ნაკვეთზე ს/კ №20.42.04.823 - კ2=2,5. ასევე განისაზღვრება მაქსიმალური სიმაღლეები და სხვა პირობები.

2.2.2. საჯარო და კერძო ინტერესები

საჯარო ინტერესები:

სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;

ტერიტორიის მოწესრიგება, განვითარება და სათანადო უზრუნველყოფა, ადამიანის საარსებო გარემოს ჰარმონიული განვითარებისათვის პირობების შექმნა;

ქალაქის ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება საჯარო და კერძო ინტერესების შეჯერების საფუძველზე შემუშავებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;

ეკონომიკის დარგების მათ შორის სამშენებლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა;

კერძო ინტერესები:

გეგმარებითი ერთეულზე განთავსებული მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსება;

ადამიანისათვის ღირსეული საცხოვრებელი გარემოს და პირობების შექმნა;

ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება;

ეკონომიკური საქმიანობის განვითარება;

სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;

სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა.

2.2.3. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების დავალების 2.4.2. ნაწილის შესაბამისად ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმა გულისხმობს როგორც, გეგმარებით ერთეულში საზოგადოებრივ ინტერესებით განპირობებულ ინფრასტრუქტურული, თუ სხვა სახის გაუმჯობესების (კეთილმოწყობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის და მსგ.) ღონისძიებებს, ასევე მაკომპენსირებელი ღონისძიებებს. კოდექსის თანახმად $3^1/3^2$ ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვა ღონისძიებებით.

დავალების 1.4.3.2. მაკომპენსირებელი ღონისძიება მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც ორიენტირებული უნდა იყოს გეგმარებითი ერთეულის შიდა მოთხოვნილებებზე, ხოლო ამგვარის შეუძლებლობის (მაგ. ფიზიკური გარემოს არასაკმარისი შესაძლებლობები) შემთხვევაში — დასაშვებია მისი დაბალანსება მუნიციპალიტეტისთვის საცხოვრებელი ერთეულების ან კომერციული დანიშნულების უძრავი ნივთის გადაცემით, თანაზომადი ოდენობის ფართობით.

მაკომპენსირებელი ღონისძიება:

ინვესტორი კომპანია შპს „ვესტ დეველოპმენტი“ გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული პროექტის შესაბამისად, ააშენოს ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი, რომელის ღირებულება უნდა შეადგენდეს 50 000 ლარს.

2.2.3.1. ალტერნატივები და ლიმიტაციები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იერარქიულად ქვედა დონის დოკუმენტში - გდგ-ში ალტერნატივების ასახვა არ წარმოადგენს სავალდებულობას/საჭიროებას.

ამასთან, კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ალტერნატივები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კონცეფცია არ საჭიროებს ალტერნატივების განხილვას.

კონცეფციის მიხედვით იცვლება განაშენიანების პარამეტრები, ლიმიტირებული რჩება სხვა პირობები - გამწვანების, ღობის მოწყობის და ესთეტიკური პირობები.

2.2.3.2. ეტაპები და რიგითობა

პროექტის განხორციელებას შემდეგი ეტაპებით და რიგითობით:

ობიექტის სამშენებლო პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის მიღება;

ტერიტორიის მომზადება მშენებლობისათვის;

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა;

საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;

შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა;

ტერიტორიის გამწვანება;

ტერიტორიის კეთილმოწყობა.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არა უგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა.

2.2.4. ეფექტიანობის შეფასება

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთების ავარიული და შეუსაბამო ობიექტებისაგან გამოთავისუფლებას, ურბანული სივრცის განვითარებას და არაესთეტიკური ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობებით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და

სოციალური პირობების გაუმჯობესებას, სუსტი ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას, ეკონომიკის დარგების, მათ შორის სამშენებლო სექტორის განვითარებას.

საკადასტრო ერთეულებზე მრავალბინიანი მრავალსართულიანი კომპლექსის განთავსება არ გამოიწვევს ურბანულ ქსოვილში დისონანსის შეტანას, ჩამოყალიბდება თანამედროვე სტანდარტების შემცველი მდგრადი გეგმარებითი ერთეული, რაც ურბანული თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია. გეგმარებით ერთეულზე განახლდება კაპიტალური ფონდი, პროექტის განხორციელებით შეიქმნება დასაქმების ადგილები, როგორც უშუალოდ ობიექტის მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში, აგრეთვე მისი მომსახურების სერვისებში, შესაბამისად თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკის განვითარებაში და ზრდაში.

SWOT ანალიზი:

ძლიერი მხარეები	ზღვის სანაპიროსთან და გამწვანებულ ტერიტორიებთან სიახლოვე, ქალაქის მთავარ ქუჩაზე გასასვლელი და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.
სუსტი მხარეები	ტერიტორიებზე ქალაქის ამ ნაწილისათვის ესთეტიკურად შეუსაბამო ობიექტების არსებობა
შესაძლებლობები	მიწის ნაკვეთების ათვისების ხარჯზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსება, საცხოვრებელი ფონდის გაზრდა, ტერიტორიის მდგრადი განვითარება.
საფრთხეები	არ ფიქსირდება.

ეფექტიანობის შეფასების წინასწარი ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

სამშენებლო პოტენციალის (კ/კვ) ზრდის ხარჯ-სარეზილიანობის საანგარიშო ცხრილი				
(ინფორმაცია შეიყვანეთ მხოლოდ ლურჯად მონიშნულ ველებში)				
ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ				გათვლები ლარში
გათვლების გაკეთების თარიღი	28.03.2023			
მისამართი	ქ. ქობულეთი, დ. აღმაშენებლის გამზირი #69; #71 და #73-#75			
საკადასტრო კოდ(ებ)ი	20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804			
დეველოპერული კომპანია	შპს „ვესტ დეველოპმენტი“			
საკონტაქტო პირი	ილია გუმბათაშვილი			
ტელეფონი	(+995) 577 536 767			
არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები				
	ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები	მოთხოვნილი პარამეტრები		
	კვ	0,5	კვ	0,5
	კვ	2,5	კვ	4,5
	კვ	0,3	კვ	0,3
სამშენებლო მოცულობები				
მიწის ფართობი	2 855,0			
კვ.სანგარიშო ფართი	12 847,5			
კვ.ს. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება	1 200,0			
მიწის ზედა სართულიანობა	12	მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა მ3	28 800,0	
მიწის ქვედა სართულიანობა	1	მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა მ3	2 300,0	
მშენებლობის ხარჯი				
		ფართობი	1 კვმ ღირებულება (დღგ გარეშე ლარში)	დანაკარგი%
მთლიანი სამშენებლო მოცულობა		10 000,0	X	
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)		1 700,0	950,0	17,0%
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ		6 000,0	950,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ		250,0	950,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ		0,0	0,0	
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ		750,0	950,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ-რესტორანი		0,0	0,0	
სულ მშენებლობის ხარჯი		8 265 000,0		
ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)				
ჯამური ვალდებულება გამოსახული თანხობრივად		55 000,0		
გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება და თანხის გაანგარიშება:		ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი		
შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)				
		ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულება
საცხოვრებელი ფართი		6 000,0	2 400,0	14 400 000,0
კომერციული ფართი		250,0	3 000,0	750 000,0
საოფისე ფართი		0,0	0,0	0,0
ავტოსადგომების რაოდენობა*		25	13 300,0	332 500,0
სხვა დანიშნულების ფართი		0,0	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი				
მთლიანი მიღებული შემოსავალი		15 482 500,0		
ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ				
სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის		7 162 500,0		
დღგ		1 289 250,0		
მოგების გადასახადი		880 987,5		
კვ.გადასახადი და მშენებლობის ნებართვა		10 000,0		
დივიდენდი		249 113,1		
მოგება გადასახადების შემდეგ		4 733 149,4		

3. განაშენიანების მართვის რეგლამენტის დასაბუთება

3.1. გამოყენების ნებადართული და საგამონაკლისო სახეობები

გეგმარებით ერთეულში გამოყენების ნებადართული სახეობებია:

- ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას;
 - დ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ე) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ვ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) პროფესიული სასწავლებელი;
 - ი) ოფისი;
 - კ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
 - ლ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - მ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
 - ნ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
- საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვებ იყოს:
- ა) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი;
 - გ) უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება.

3.2. განაშენიანების რეგულირების პარამეტრები და მათი ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობები გეგმარებითი ერთეულისათვის ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

ფუნქციური ზონები					
სამშენებლო ზონები	სამშენებლო ქვეზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)	მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)	0,5	2,5	0,3	-

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით: „6. განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია სამშენებლო ქვეზონის ნაწილის, ცალკეული მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის ნაწილისათვის განაშენიანების განსხვავებული პარამეტრების დადგენა“.

აღნიშნულიდან გამომდინარე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით გეგმარებით ერთეულში შემავალი საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმართ დგინდება შემდეგი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

გეგმარებით ერთეულზე მდებარე საპროექტო მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდებით 20.42.04.607, 20.42.04.608:

ფუნქციური ზონები					
სამშენებლო ზონები	სამშენებლო ქვეზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)	მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)	0,5	3,0	0,3	30

გეგმარებით ერთეულზე მდებარე საპროექტო მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდით 20.42.04.804:

ფუნქციური ზონები					
სამშენებლო ზონები	სამშენებლო ქვეზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)	მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)	0,5	4,5	0,3	43

გეგმარებით ერთეულზე მდებარე საპროექტო მიწის ნაკვეთებისათვის საკადასტრო კოდით 20.42.04.823:

ფუნქციური ზონები					
სამშენებლო ზონები	სამშენებლო ქვეზონები	კ-1	კ-2	კ-3	განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე (მ)
საცხოვრებელი ზონა (სზ)	მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)	0,5	2,5	0,3	30

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3.3. განაშენიანების სახეობები და განაშენიანების ხაზები (საზღვრები)

საპროექტო ნაკვეთებზე განაშენიანების სახეობა როგორც მიწის ნაკვეთზე, ასევე ნაკვეთის გვერდითი საზღვრების მიმართ არის დახურული. განაშენიანების ხაზები იხილე ტერიტორიის გამოყენების რუკაში.

3.4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზონები

საკვლევ ობიექტთან უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია დ. აღმაშენებლის გამზირზე და მანძილი შეადგენს 100 მეტრს, მის დაფარვას ქვეითად მოსიარულე შეძლებს 2 წთ-ში. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასრულებს რეგულარულ რეისებს ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურიდან ზ. ჟვანიას ხიდამდე. ინტერვალი შეადგენს 30 წთ-ს. ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგური და ავტოსადგური განთავსებულია ერთ ლოკაციაზე და საკვლევ ობიექტიდან მანძილი შეადგენს 0,9 კმ-ს, ავტომობილით მის დასაფარად საჭირო დრო შეადგენს 1 წთ-ს, ხოლო ქვეითად მოსიარულეთათვის 10 წთ-ს.

3.5. ემისიებისგან დაცვა

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები:

- სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- ურბანულ ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გადაადგილების ოპტიმალური სიჩქარე და უსაფრთხოების ნორმები;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი. მოსახლეობის მხრიდან პროტესტის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- მნიშვნელოვანი მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმოქმნელი და მიწის სამუშაოების შესრულება (მიწის სამუშაოებისას, ქვაბულის მოწყობისას);
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების შესყიდვა/ტრანსპორტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სიახლოვის პრინციპი;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენების დაწვის ფაქტები;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

ზედაპირულ წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- ქვაბულების დამუშავებისას, მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის დონეს, გრუნტის წყლების ამოტუმბვა უნდა განხორციელდეს სპეციალური ტუმბოების საშუალებით. ამოტუმბული წყალი უნდა დაგროვდეს სალექარში, და გაწმენდილი წყალი ჩაეშვეს სანიაღვრე სისტემაში.
- გრუნტის წყლების გამწმენდ სალექარებში წარმოქმნილი ლამის და გაწმენდილი წყლის მართვის საკითხები უნდა შეთანხმდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან.
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტექნიკისა და დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა გამართული ფუნქციონირებისა და ჟონვის რისკების დასადგენად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეცხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ადგილზე ტექნიკის და დანადგარების რემონტი/ტექნიკური მომსახურება. მსგავსი ოპერაციებისთვის უპირატესია საპროექტო არეალის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექნომსახურების ობიექტები;
- საპროექტო ტერიტორია აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და აიკრძალოს საპროექტო ტერიტორიაზე საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობება;

- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ბეტონშემრეველის ადგილზე და ზღვის სიახლოვეს გარეცხვის ფაქტები. აღნიშნულთან დაკავშირებით წინასწარ უნდა ეცნობოს ბეტონის მასალის მომმარაგებელ კომპანიას;
- ტერიტორიაზე შემოტანილი მასალები დასაწყობდება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეროზიული პროცესები;
- საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებს. ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებისაგან;
- უმჯობესია ტერიტორიაზე განთავსდეს გადახურული ტიპის კონტეინერები, რათა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ნარჩენები გარემოში არ გავრცელდეს.

ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის მართვა უნდა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში უნდა გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს გეგმარებითი ობიექტის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო ზონა და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები მოქმედებდეს აღნიშნულ ზონაში;
- მუდმივად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების მიხედვით. მუდმივად უნდა გაკონტროლდეს ნაყოფიერი ნიადაგის არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები.

ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:
- მკაცრად უნდა იყოს დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახეობების ბინადრობისთვის/ზუდობისთვის აუცილებელი ჰაბიტატების მთლიანობა;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- უნდა გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- დაცული უნდა იყოს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და შერჩეული იყოს მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეები ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;
- ისეთი სამუშაოები, რაც იწვევს ცხოველების ზედმეტად შეშფოთებას, შესაძლებლობების მიხედვით უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- სამშენებლო ტერიტორიაზე ქვეწარმავლების ან/და ამფიბიების არსებობის შემთხვევაში მოხდება მათი გაყვანა ხელსაყრელ და უსაფრთხო ადგილებში
- გათვალისწინებული უნდა იყოს ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენციული ღონისძიებები;
- ფრინველთა შეჯახებების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია მაღალი შენობების ფანჯრებზე ეტიკეტების გამოყენება (მოკლევადიანი პერსპექტივით, სანამ შეეგუება ფრინველი ახალ გარემოს და ადგილს და თვითონ გაერიდება მას)
- გასათვალისწინებელია სეზონები, შეჯახებების კუთხით სენსიტიურია გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციები, შესაბამისად აღნიშნულ პერიოდებში მაქსიმალურად უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები დაცული.
- ასევე რეკომენდირებულია შენობებზე, შესაბამისი ღამის განათებების დაყენება რათა აღქმადი იყოს შენობების სიმაღლეები და ზომები.

ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;
- ტერიტორიიდან მოხსნილი მცენარეული საფარის მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე;
- საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას უნდა განთავსდეს შესაბამისი რაოდენობისა და ზომის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან;
- ნარჩენებისთვის განთავსებისთვის განკუთვნილი კონტეინერებისათვის უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომლებიც ადვილი მისადგომი იქნება, როგორც დასაქმებული პერსონალისთვის, ასევე ნარჩენების შემგროვებელი სატრანსპორტო საშუალებისთვის;
- ნარჩენების გარემოში გავრცელების პრევენციის მიზნით, კონტეინერების შევსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი და აუცილებლობის შემთხვევაში მათი დაცლა განხორციელდეს დროულად;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმოზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;

- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის უნდა გადაეცეს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. არასახიფათო ნარჩენები შესაძლოა გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ დასუფთავების სამსახურს, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.
- დასაქმებულ უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები:

- საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა აწარმოო ერთგვარი ჟურნალი, სადაც მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და საჩივრები იქნება ასახული;
- საჩივრების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს პრობლემის გადაჭრის ან უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ზომები.

განმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები:

- მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დაცული იყოს ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობები;
- აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები;
- გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა დათვალიერდეს რეგულარულად. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალეები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.
- სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
- სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა პერსონალმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო ტერიტორიაზე;
- ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტები;
- მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტები და ნორმატიული აქტები.

3.6. გამწვანების პირობები

გეგმარებით ერთეულზე, დგინდება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ 3-3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და საზოგადოებრივ სივცეში არსებულ ხეს შორის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა/ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.

დადგენილი მოთხოვნებისგან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დენდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ან და მათი შენარჩუნების პირობით.

3.7. სხვა პირობები

ქალაქთმშენებლობითი გეგმით სამშენებლო ტერიტორიაზე შესაძლებელია დადგინდეს განსხვავებული ზონა ან/და ქვეზონა.

განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია სამშენებლო ქვეზონის ნაწილის, ცალკეული მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის ნაწილისათვის განაშენიანების განსხვავებული პარამეტრების დადგენა.

განაშენიანების გეგმაში/განაშენიანების დეტალურ გეგმაში შესაძლებელია განაშენიანების სახეობის განსხვავებული პირობების განსაზღვრა.

განაშენიანების გეგმით/განაშენიანების დეტალური გეგმით შესაძლებელია დადგინდეს ღობის მოწყობის განსხვავებული პირობები.

ყველა სხვა პირობა, რომლებიც ამ გეგმით არის დადგენილი, გამოიყენება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მიხედვით.

3.8. ტერიტორიების ბალანსი

გეგმარებით ერთეულზე და მიმდებარედ განაშენიანებული ფართობი დაბალანსებულია გამწვანებული ზონებით, მათ შორის მიმდებარე გმირთა ხეივანით, ხოლო უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობით.

4. საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება

გეგმარებითი ერთეულის დაგეგმარებასთან დაკავშირებით, განხორციელდა სოციოლოგიური კვლევა/გამოკითხვა, შედგა საჯარო შეხვედრები, საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომელთა შედეგების ანალიზის შედეგად მოხდა საჯარო და კერძო ინტერესების შეწონვა-შეჯერება.

სოციოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ დ. აღმაშენებლის ქუჩის ურბანული ნაწილის მოსახლეობა და მოქალაქეთა უმრავლესობა მიესალმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას და კონკრეტულ ტერიტორიებზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას, რაც შემდგომში გაზრდის ტერიტორიის პრესტიჟს, განავითარებს მუნიციპალურ სერვისებს,

შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტ სამუშაო ადგილს, ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციოდ, გაზრდის საბინაო ფონდს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე. სამშენებლო ტერიტორიაზე არსებობს მოძველებული, გასულ საუკუნეში აშენებული ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი სამ სართულიანი კერძო სახლის სახით, რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში (ექსპერტის დასკვნის საფუძველზე) და ექვემდებარება დემონტაჟს. სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა მისი ავარიულობის გათვალისწინების გარეშე და მხოლოდ ვიზუალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ მიმდებარედ მიმდინარეობს თანამედროვე კორპუსის მშენებლობა არ ჯდება უბნის ვიზუალურ იერსახეში და შეუსაბამოა იმ თანამედროვე ინფრასტრუქტურის ფონზე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე აშენდა, ახალი საცხოვრებელი სახლი კი ჩანაცვლებს გასული საუკუნის ავარიულ და ამორტიზირებულ შენობა-ნაგებობებს და ინფრასტრუქტურას, რის ხარჯზეც მიიღება თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით აშენებული შენობას, რაც რადიკალურად შეცვლის უბნის ვიზუალურ მხარეს, იგი გახდება ბევრად უფრო პრესტიჟული და მიმზიდველი.

შეხვედრაზე დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი პროექტის განხორციელებისადმი, რადგან ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას, როგორც ურბანულად ასევე რეკრეაციულად, ძველი ამორტიზირებული და ავარიული ნაგებობის ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებების მქონე შენობით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივებისა და ახალი რეზიდენტებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას, მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ტერიტორიის პრესტიჟის მნიშვნელოვნად ამაღლებას, ტურისტულ სეზონზე ტურისტების მხრივ მეტი ინტერესის გამოხატვას, რაც ზოგად სოციალურ ფონს დადებითად წაადგება. დამსწრე საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროექტი მრავალი სიკეთის მომტანი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უბანი გახდება უფრო თანამედროვე, ხოლო სამომავლოდ უძრავ ქონებაზე მოთხოვნასთან ერთად რეალიზაცია და ფასიც შესაბამისი გახდება, რაც საბოლოო ჯამში ისევ ადგილობრივ მოსახლეობაზე აისახება დადებითად.

მოქალაქეების მოსაზრებით, მშენებლობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის დანაგვიანებისაგან, სამშენებლო მტვრისაგან მიმდებარე ტერიტორიის დაცვას, მშენებლობისაგან გამოწვეული ხმაურის შესაბამისი ღონისძიებებით შერბილებას, მრავალბინიანი კომპლექსი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა დადგენილ წესს და ნორმას, ასევე კომპანიამ სამუშაოებისას უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა წესი, ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ისეთი საზოგადოებრივი ობიექტები, რომლებიც სამომავლოდ არ გამოიწვევენ ხმაურს. პროექტის მიმდინარეობისას ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ქონდეს დასაქმების საშუალება. მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს მწვანე ადგილები, მიწისქვეშა პარკინგი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიას გააკეთილშობილებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველს გახდის.

ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მაქსიმალურად უნდა იქნას სუსტი ინფრასტრუქტურის ტერიტორიების გამოთავისუფლება ავარიული, არაესთეტიკური იერსახის და შეუსაბამო ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობებისაგან, მოხდეს მათი განვითარება. მათი პირობებია: დაცული იქნას გარემოსდაცვითი ნორმები, პროექტის დაგეგმარებისას გათვალისწინებული იქნას ურბანული პოლიტიკა, მწვანე ადგილების და ინფრასტრუქტურის საკითხი, მოსახლეობის მოსაზრებების გაითვალისწინება.

გეგმარებითი ერთეულის საჯარო და კერძო ინტერესების (შეწონვა) შეჯერება აისახა კვლევის ანალიზში და საჯარო განხილვების ოქმში.

III. განაშენიანების გეგმის ზეგავლენები

1. ზეგავლენა გარემოზე (გარემოსდაცვითი ანგარიშის რეზიუმე)

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შემფოთებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია ქობულეთის ურბანულ ნაწილში მდებარეობს, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელებისას ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ბიოლოგიური გარემოს რეცეპტორებზე. თუმცა ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება დიდი და პროექტის განხორციელება გარემოს კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით/შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს;

პროექტის განხორციელებისას, საპროექტო ტერიტორიიდან მოსაჭრელი ხე-მცენარეების და ბუჩქების ნაცვლად დაირგვება სხვადასხვა სახეობის მცენარეულობა, რაც მცენარეულს საფარზე უარყოფითი ზემოქმედებას საგრძნობლად შეამცირებს;

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან სიახლოვეს. უახლოესი დაცული ტერიტორია ქობულეთის დაცული ტერიტორიებია, რომლებიც საპროექტო ტერიტორიიდან 3,51 კმ-ით არის დაშორებული. მანძილის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი), დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება. გეგმარებით ერთეული არაა განთავსებული ჭარბტენიან ტერიტორიაზე; თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტის ექსპლუატაცია არ გამოიწვევს ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება. საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი შავი ზღვაა. ხოლო წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებით გრუნტის წყლების გამოვლენა მოსალოდნელია 3-3.5 მეტრის სიღრმეზე. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არსებობს წყლის გარემოს დაზინძურების რისკები, თუმცა სამუშაოების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებით წარმართვის შემთხვევაში, წყლის გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების რისკები მნიშვნელოვნად შემცირდება; პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე; განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არა უგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა, რა პერიოდშიც მოსალოდნელია გარემოს ფონური მდგომარეობის მცირედი ცვლილება. თუმცა გეგმარებითი ობიექტის მასშტაბის გათვალისწინებით, განსახორციელებელი სამუშაოები გარემოს კომპონენტებზე შეუქცევად და მუდმივ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს; სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ახლომდებარე მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელება გარემოზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს.

2. ზეგავლენა საცხოვრებლის საჭიროებებსა და სამუშაო ადგილებზე

დაგეგმილი პროექტის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს საცხოვრებელ და სოციალურ პირობებზე, ავარიული/ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების ახალი კაპიტალური შენობით ჩანაცვლებით მაცხოვრებლებს შეექმნებათ ღირსეული საცხოვრებელი გარემო, შეიქმნება სამუშაო ადგილები, რადგან საცხოვრებელ სახლში განთავსდება საზოგადოებრივი დანიშნულების, ასევე სხვა მომსახურების ობიექტები. აღნიშნული საშუალებას იძლევა ათობით ადამიანის დასაქმებას, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების თანამედროვე სტანდარტებით დაკმაყოფილებას.

3. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე

საპროექტო ობიექტში განთავსებული იქნება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, შესაბამისად განავითარებს შესაბამის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ ობიექტებს, მათ შორის მომსახურების, რაც დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე.

4. ზეგავლენა საგზაო მოძრაობაზე

დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ქობულეთში ავტომანქანების მატების ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად მრავალბინიანი, მრავალსართულიანი კომპლექსის მშენებლობის პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგო სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევი ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევ ობიექტს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა და/ან მიწისზედა ავტოპარკინგები. სტატისტიკური მონაცემებით საშუალოდ ქ. ქობულეთის სინამდვილეში მობინადრეთა 20–25 პროცენტი წარმოადგენს ავტომფლობელს, შესაბამისად მოცემულ ობიექტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 23 ერთეული საპარკინგო ადგილი. საკვლევი ობიექტის პროექტით გათვალისწინებულია ობიექტის ეზოში 5 ერთეული საპარკინგო ადგილის მოწყობა, ხოლო მიწისქვეშა დახურულ სივრცეში 25 ავტოსადგომის მოწყობა, სულ განთავსდება 30 ავტომობილი. ასევე დ. აღმაშენებლის გამზირის მიმდებარედ და მეგობრობის ქუჩაზე, საკვლევ ობიექტთან, მოწყობილია საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ავტოსადგომებზე ავტომანქანების განლაგებისა და მოძრაობის სქემა პროექტში მკაფიოდ არის წარმოდგენილი, აღნიშნული სქემა საჭიროების შემთხვევაში ასევე ხელსაყრელია სასწრაფო სამედიცინო და სახანძრო-სამაშველო ბრიგადების შეუფერხებელი მანევრისათვის. საპროექტო მიწის ნაკვეთებს ესაზღვრება დ. აღმაშენებლისა და თამარ მეფის სანაპირო. კვარტალი, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ნაკვეთები, არ წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ უბანს. მასში ძირითადად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ერთი მრავალბინიანი სახლი და მიმდინარეობს ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თითოეულ ობიექტს გააჩნია ინდივიდუალური საპარკინგო სივრცეები, გამომდინარე აქედან მოცემული კვარტალი მისი ფართობისა და მიმდებარე ქუჩების ავტოტრანსპორტის გამტარიანობის შესაძლებლობის გათვალისწინებით ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სატრანსპორტო ქსელთან მიმართებით. საამშენებლო ობიექტის გასწვრივ, ჩრდილოეთის მხარეს პროექტით გათვალისწინებულია გასასვლელის მოწყობა, რომელიც დააკავშირებს დ. აღმაშენებლის გამზირს თამარ მეფის სანაპიროსთან. მისი სავალი ნაწილის სიგანე იქნება 6 მეტრი, სადაც ასევე შესაძლებელი იქნება ზემოთაღნიშნული 5 ერთეული ავტოსადგომის მოწყობა. ობიექტის ავტოსადგომებზე ავტომობილების შესვლა-გამოსვლის მანევრის შესრულება გათვალისწინებულია დ. აღმაშენებლის გამზირის მხრიდან. ობიექტის ეზოში განთავსებულ ავტოსადგომზე და მიწისქვეშა საპარკინგო სივრცეში შესასვლელად ავტომობილი გადაკვეთს 2,45 მეტრი სიგანის საფეხმავლო ტროტუარს, რომელიც მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. აღნიშნულ ტროტუარს აქტიურად იყენებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ტურისტები და დამსვენებლები, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, შესაბამისად მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით საჭიროა მკაცრი საგზაო რეგულაციების დაწესება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი N 1830-რს. 24.12.2013 წ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“, კერძოდ, შესასვლელებთან დასამონტაჟებელია შესაბამისი საგზაო გამაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები, როგორც ქვეითად მოსიარულეთათვის, ასევე მძღოლებისათვისაც. ტროტუარზე ასასვლელი საჭიროა ჩაიჭრას 6 და 4,2 მეტრის სიგრძეზე სავალი ნაწილის გასწვრივ და მოხდეს მისი ადაპტაცია ავტომობილების უსაფრთხო და კომფორტული მანევრის შესრულების უზრუნველსაყოფად.

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ იცვლება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საკვლევ ობიექტზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განხორციელება (ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გათვალისწინებით), ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿՈՆՍՏՐՈՒԿՏԻՎ ԱՆՎՈՐԵԼԻ ՎԵՐՈՒՄԻ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ՍԽԱԿԱԿԱՆՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ

ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՈՐԵՆՆԱԿԱՆՆԵՐՆԵՐ

- ՍԵՆՏՐԱԿՈՆ
- ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՎԵՐՈՒՄԸ
 - ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՆԱԽԱՅԵՑ
 - ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ԾՈՌԱԿՈՒՄԸ
- ՔՆՔԻՆԱ
- ԲԱՅԱՐԸ ՈՐԵՆՆԱԿԱՆՆԵՐԻ ԺՈՒՆ
 - ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՈՐԵՆՆԱԿԱՆՆԵՐԻ ԺՈՒՆ
 - ՔՈՆՍՏՐՈՒԿՏԻՎ ՈՐԵՆՆԱԿԱՆՆԵՐԻ ԺՈՒՆ
 - ՍՊԵՐԱՎԱՅՈՒՄԻ ՍՈՍԵՐՈՒԹՅՈՒՆ
- P ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՆԱԽԱՅԵՑՈՒՄԻ ՎԵՐՈՒՄԸ
- ▲ ԲԱՅԱՐԱՄԱՍԿՈՒՄ

ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ՍԽԱԿԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ
 ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ՎԵՐՈՒՄԻ ԿՈՄԻՏԵ

5. ზეგავლენა საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან საინვესტიციების დაგეგმვაზე

პროექტი, რომლის განხორციელების მიზნითაც მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა, საჯარო ბიუჯეტზე და საფინანსო ან ინვესტიციების დაგეგმვაზე ზეგავლენას არ ახდენს, ვინაიდან მთლიანად ხორციელდება კერძო ინვესტიციებით.

6. სხვა ზეგავლენები

პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი სხვა ზეგავლენები, მენაშენეს მიერ საკუთარი ხარჯებით, შესაძლო მოკლე გონივრულ ვადაში უნდა იქნას იდენტიფიცირებული, შესწავლილი და ქალაქის მუნიციპალიტეტთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებით უნდა შემუშავდეს მათი განეიტრალებისათვის საჭირო ღონისძიებები.

IV. პროცედურები და სამართლებრივი საფუძვლები

1. პროცედურის ტიპი

განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია განეკუთვნება ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების პირველ სტადიას.

I სტადია – განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება - არაუმეტეს 40 სამუშაო დღე;




გეგმის საბოლოო კონცეფცია მტკიცდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

II სტადია – განაშენიანების დეტალური გეგმის განხილვა და დამტკიცება - არაუმეტეს 40 სამუშაო დღე.

გეგმის საბოლოო პროექტი მტკიცდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. შეტყობინება დაგეგმვის განზრახვის შესახებ

2.1. ინიციატივის განცხადება; 2.2. ინიციატივის გადაწყვეტილება





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი
ბრძანება



ბრძანება №114.114231852
 თარიღი 04/07/2023

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის №114.114231242 ბრძანებაში

„ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის №114.114231242 ბრძანებით შპს „ვესტ დეველოპმენტი“-ის (ს.ნ. 405323680) დირექტორის გიორგი აფციაურის (პ.ნ. 01024056533) 2023 წლის 09 იანვრის №19/11423009127-114 განცხადების საფუძველზე ინიცირებულ იქნა ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

2023 წლის 21 ივნისს შპს „ვესტ დეველოპმენტი“-ის (ს.ნ. 405323680) დირექტორმა ილია გულბათაშვილმა (პ.ნ. 01014002537) №19/1142172113-114 განცხადებით მომართა მუნიციპალიტეტის მერიას და განმარტა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის №114.114231242 ბრძანებით ინიცირებულ განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთებს დაემატა მიწის ნაკვეთი (ს.კ. 20.42.04.823), ხოლო მიწის ნაკვეთები (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581) გაერთიანდა მიწის ნაკვეთად (ს.კ.20.42.04.823) და მოითხოვა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გათვალისწინებით ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.804; ს.კ. 20.42.04.607; 20.42.04.608 და ს.კ. 20.42.04.823) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლით დადგინდა, რომ საჯარო გეგმარებით ერთეულზე ინიცირების მომენტისთვის არ ვრცელდება დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე რევიზირება, აგრეთვე, საჯაროდ გეგმარებით ერთეულზე ან მის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის სახელმწიფოს არ აქვს დაგეგმილი რაიმე ქალაქმშენელობითი ღონისძიება და/ან მსხვილი ინფრასტრუქტურული მშენებლობა, რაც ხელისშემშლელი იქნებოდა ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებისთვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 04 მაისის №114.114231242 ბრძანებაში და განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება განისაზღვროს ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.804; ს.კ. 20.42.04.607; 20.42.04.608 და ს.კ. 20.42.04.823).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

2041-2070 წლების პერიოდში ნალექების წლიური ჯამი აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 9%-ით მცირდება. ყველაზე მეტად (12.3%) ფასანაურში, ყველაზე ნაკლებად კი საგარეჯოში (5.3%). ნალექის წლიური რაოდენობა ყველაზე მეტად იმერეთში იკლებს, მაქსიმალური კლებაა საჩხერეში (17.9%-ით). დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში კლება 3.6-15.3%-ის ფარგლებშია. გამონაკლისს წარმოადგენს ზუგდიდი და ფოთი, სადაც ნალექი 8-10%-ით იზრდება.

2071-2100 წლების პერიოდში, 2041-2070 წლების პერიოდთან შედარებით, ნალექების ჯამი უმნიშვნელოდ იცვლება, იზრდება ან მცირდება 1-6% პროცენტის ფარგლებში.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარის მნიშვნელობა 1971-2000 პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში 0.4მ/წმ (ლაგოდეხი) - 4მ/წმ-ის (ფარავანი) ფარგლებში მერყეობდა, დასავლეთ საქართველოში კი 0.2 (ლენტეხი) - 5.5მ/წმ (ქუთაისი) ფარგლებში.

მომავალში ამ პარამეტრის უდიდესი მნიშვნელობები კვლავ ქუთაისშია მოსალოდნელი. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ქარის საშუალო სიჩქარე წლიურად და სეზონების მიხედვითაც მცირე ცვლილებას განიცდის ±0.5 მ/წმ დიაპაზონში. საშუალოდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე პირველ პერიოდში 0.4 მ/წმ, ხოლო მეორეში კი 0.3 მ/წმ-ით იზრდება. ორივე პერიოდში ქარის სიჩქარის რაიმე გამოკვეთილი კანონზომიერება არ ვლინდება არც გეოგრაფიული მდებარეობის და არც სეზონური ცვალებადობის თვალსაზრისით.

კლიმატის ცვლილების ფონზე შეინიშნება სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების (წყალდიდობა-წყალმოვარდნა, თოვლის ზვავი, ძლიერი ქარი, გვალვა და სხვ.) სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის ტენდენცია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწყერულ-გრავეიტაციული და ღვარცოფული პროცესების რაოდენობა და სიმძაფრე. ინტენსიურად დნება საქართველოს მყინვარები.

საქართველოში კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგების ფართო სპექტრი გამოვლინდა და მომავალში ნეგატიური ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდება. ქვეყნის მთავარი მიზანია, კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის განვითარებით, ქვეყნის მზადყოფნის და ადაპტაციის უნარის გაუმჯობესება, რაც შეამცირებს კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მგრძობიარე თემების მოწყვლადობას.

სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კლიმატის მიმდინარე ცვლილების საკითხები.

3.3 ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

გეომორფოლოგიურად საკვლევი უზნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ხრეშოვანი და თიხოვანი გრუნტები.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლოდ გამოყოფილი უზნის მიმართ გრძივი გეოლოგიური ჭრილები (იხ. დანართი). როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უზნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

ფენა 1-ის ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი: თიხნარი ტორფის ჩანართებით, ქვიშნარი, ხრეში, სამშენებლო ნარჩენები. სიმძლავრე 2.0-5.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში ჭრილის ზედა იტერვალებში.

ფენა 2-ის ხრეში, ქვიშის შემავსებლით 25%-მდე. სიმძლავრე 4.5-8.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 2.0-10.5 მ-ის ინტერვალებში.

ფენა 3-ის ქვიშნარი, მყარი, მუქი ნაცრისფერი, 2-3 სმ სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის შუაშრეებით. სიმძლავრე ჩვენს მიერ შესწავლილ სიღრმემდე 9.5-11.0 მ-ია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 9.0-20.0 მ-ის ინტერვალებში (დაძიებული).

გრუნტის წყლები ჭაბურღილებში გამოვლინდა 3.0-3.5 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ბურღვის პოცესში მისი დონე შეიცვალა და დამყარდა 2.0-2.5 მ-ის სიღრმეზე. გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის თანახმად იგი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს ნებისმიერი მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო). ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.

3.4 ბიომრავალფეროვნება

3.4.1 საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარი

საკვლევ ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია. ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეებიდან არცერთი არ განეკუთვნება საკონსერვაციო მნიშვნელობის სახეობას.

პროექტის განხორციელებისას დაგეგმილია ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების ნაწილის მოჭრა, ხოლო მათ ნაცვლად ახალი სახეობების გაშენება.

3.4.2 ფაუნა

3.4.2.1 ძუძუმწოვრები (კლასი: *Mammalia*)

საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ადგილებში ძუძუმწოვრებიდან შესაძლოა შეგვხვდეს: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa caucasica*), ციყვი (*Sciurus vulgaris*) კურდღელი (*Lepus europeus*), მაჩვი (*Meles meles*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), მგელი (*Canis lupus*), კვერნა (*Martes martes*), ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), თეთრმუცელა კბილეთრა (*Crocidura leucodon*), თაგვი (*Apodemus mystacinus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და სხვა.

უნდა აღნიშნოს, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქალაქ ქობულეთის ურბანულ ნაწილს და ძუძუმწოვრების მოხვედრის ალბათობა ტერიტორიაზე ძალიან მცირეა.

ცხრილი 3.9. საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.
1.	ტურა	<i>Canis aureus</i>	LC	-	✓
2.	მაჩვი	<i>Meles meles</i>	LC	-	✓
3.	კურდღელი	<i>Lepus europeus</i>	LC	-	✓
4.	წავი	<i>Lutra lutra</i>	NT	VU	✓
5.	ნუტრია	<i>Myocastor coypus</i>	LC	LC	
6.	დედოფალა	<i>Mustela nivalis</i>	LC	-	✓
7.	ვეროპული ზღარბი	<i>Erinaceus concolor</i>	LC	-	✓
8.	მცირე თხუნელა	<i>Talpa levantis</i>	LC	-	
9.	მგელი	<i>Canis lupus</i>	LC	-	
10.	მელა	<i>Vulpes vulpes</i>	LC	-	

11.	მცირე თაგვი	<i>Apodemus uralensis</i>	LC	-	
12.	კავკასიური თხუნელა	<i>Talpa caucasica</i>	LC	-	✓
13.	კვერნა	<i>Martes martes</i>	LC	-	✓
14.	კავკასიური წყლის ბიგა	<i>Neomys teres</i>	LC		
15.	რადეს ბიგა	<i>Sorex raddei</i>	LC		
16.	ვოლნუხინის ბიგა	<i>Sorex volnuchini</i>	LC		
17.	პონტოს თაგვი	<i>Apodemus ponticus</i>			
18.	თაგვი	<i>Apodemus mystacinus</i>	LC		
19.	ციყვი	<i>Sciurus vulgaris</i>	LC		
20.	ძილგუდა	<i>Glis glis</i>	LC		✓
21.	ბუჩქნარის მემინდვრია	<i>Terricola majori</i>	LC		
22.	წყლის მემინდვრია	<i>Arvicola terrestris</i>	LC		
23.	გრმელკუდა კბილეთრა	<i>Crocidura gueldenstaedtii</i>	LC		✓
24.	თეთრმუცელა კბილეთრა	<i>Crocidura leucodon</i>	LC		✓
25.	სახლის თაგვი	<i>Mus musculus</i>	LC		✓
26.	შავი ვირთაგვა	<i>Rattus rattus</i>	LC		✓
27.	რუხი ვირთაგვა	<i>Rattus norvegicus</i>	LC		✓

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:
 EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

3.4.2.2 ღამურები-ხელფრთიანები (*Microchiroptera*)

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: დიდი ცხვირნალა *Rhinolophus ferrumequinum*, მცირე ცხვირნალა *Rhinolophus hipposideros*, წვეტყურა მლამიობი *Myotis blythii*, ულვაშა მლამიობი *Myotis mystacinus*, მეგვიანე ღამურა *Eptesicus serotinus*, წითური მელამურა *Nyctalus noctula*, ჩვ. ფრთაგრძელი *Miniopterus schreibersii*, ჯუჯა ღამორი *Pipistrellus pipistrellus* და სხვა.

ხელფრთიანების ყველა სახეობა, რომლებიც საქართველოში გვხვდება, შეტანილია ბონის კონვენციის დანართ II-ში და დაცულია EUROBATS-ის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად საქართველო ვალდებულია დაიცვას პროექტის არეალში და მის მახლობლად დაფიქსირებული ყველა სახეობა. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ გვხვდება ისეთი ხეები ან შენობები, რომლებიც ღამურების ზოგიერთმა სახეობამ შესაძლოა გამოიყენონ თავშესაფრებად.

ცხრილი 3.10. საკვლევ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა სახეობები.

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS	დაფიქსირდა - 1) არ დაფიქსირდა X
1.	მურა ყურა	<i>Plecotus auritus</i>	LC	-	✓	✓	x
2.	ჩვეულებრივი ღამურა	<i>Vespertilio murinus</i>	LC	-	✓	✓	x

3.	დიდი ცხვირნალა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	LC	-	✓	✓	x
4.	მცირე ცხვირნალა	<i>Rhinolophus hipposideros</i>	LC	-	✓	✓	x
5.	სამხრეთული ცხვირნალა	<i>Rhinolophus euryale</i>	NT	VU	✓	✓	x
6.	მეჭელის ცხვირნალა	<i>Rhinolophus mehelyi</i>	VU	VU	✓	✓	x
7.	ევროპული მაჩქათელი	<i>Barbastella barbastellus</i>	NT	VU	✓	✓	x
8.	ჩვ. ფრთაგრძელი	<i>Miniopterus schreibersii</i>	VU	-	✓	✓	x
9.	მეგვიანე ღამურა	<i>Eptesicus serotinus</i>	LC	-	✓	✓	x
10.	წვეტყურა მლამიობი	<i>Myotis blythii</i>	LC	-	✓	✓	x
11.	წითური მეღამურა	<i>Nyctalus noctula</i>	LC	-	✓	✓	x
12.	მცირე მეღამურა	<i>Nyctalus leisleri</i>	LC	-	✓	✓	x
13.	ჯუჯა ღამორი	<i>Pipistrellus pipistrellus</i>	LC	-	✓	✓	x
14.	ნათუზიუსის ღამორი	<i>Pipistrellus nathusii</i>	LC		✓	✓	x
15.	სამფერი მლამიობი	<i>Myotis emarginatus</i>	LC		✓	✓	x
16.	ულვაშა მლამიობი	<i>Myotis mystacinus</i>	LC	-	✓	✓	x
IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით: EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული							

3.4.2.3 ფრინველები (Aves)

ქალაქი ქობულეთში და მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევებით და არსებული ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით საკვლევ ტერიტორიაზე და მის არეალში არსებულ ჰაბიტატებში აღწერილია ფრინველთა 200-მდე სახეობა (იხ. ცხრილი 3.16). აქედან 65 მობინადრე და მოზუდარი ფრინველია და გვხვდება მთელი წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი სახეობები მიგრაციებზე ხვდებიან შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში ან ტერიტორიაზე შემოდის მხოლოდ გასამრავლებლად ან გამოსაზამთრებლად.

ცხრილი 3.11. საკვლევ ტერიტორიაზე და მის მიმდებარე გავრცელებული ლიტერატურულად ცნობილი ფრინველთა სახეობები

ქართული დასახელება	სამეცნიერო დასახელება	ინგლისური დასახელება	გადაფრენის სეზონურობა	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS
მიმინო	<i>Accipiter nisus</i>	Eurasian Sparrowhawk	YR-R	LC		✓	
მერა	<i>Milvus migrans</i>	Black Kite	M	LC		✓	✓
ქორცქვიტა (ან შავთვალა მიმინო, ლევანმიმინო)	<i>Accipiter brevipes</i>	Levent Sparrowhawk	BB,M	LC	VU	✓	
ზარი (ან გავაზი)	<i>Falco cherrug</i>	Saker Falcon	YR-R, M	EN	CR	✓	
ფასკუნჯი	<i>Neophron percnopterus</i>	Egyptian Vulture	BB,M	EN	VU	✓	
ქორი	<i>Accipiter gentilis</i>	Northern Goshawk	M	LC		✓	✓
ჩვეულებრივი კაკაჩა	<i>Buteo buteo</i>	Common Buzzard	M	LC		✓	✓
ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა	<i>Buteo lagopus</i>	Rough-legged Buzzard	WV,M	LC			
ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა	<i>Buteo rufinus</i>	Long-legged Buzzard	YR-R, M	LC	VU	✓	
კრანაჭამია (ან ირაო)	<i>Pernis apivorus</i>	European Honey-Buzzard	BB,M	LC			
ჩვეულებრივი შავარდენი	<i>Falco peregrinus</i>	Peregrine Falcon	YR-R, M	LC		✓	
წითელფეხა შავარდენი	<i>Falco tinnunculus</i>	Red-footed Falcon	BB,M	NT	EN	✓	
წითელთავა შავარდენი	<i>Falco biarmicus</i>	Lanner Falcon	YR-R, M	LC	VU	✓	✓
ჩია არწივი	<i>Hieraetus pennatus</i>	Booted Eagle	M	LC			✓
მთის არწივი	<i>Aquila chrysaetos</i>	Golden Eagle	YR-R	LC	VU		
დიდი მყვიანი არწივი	<i>Clanga clanga</i>	Greater Spotted Eagle	WV, M	VU	VU	✓	
მცირე მყვიანი არწივი	<i>Clanga pomarina</i>	Lesser Spotted Eagle	BB, M	LC			
ბეჟობის (ან თეთრმხრება) არწივი	<i>Aquila heliaca</i>	Imperial Eagle	BB, M	VU	VU	✓	✓
ველის არწივი	<i>Aquila nipalensis</i>	Steppe Eagle	M	EN		✓	
თეთრკუდა ფსოვი (ან	<i>Haliaeetus albicilla</i>	White-tailed Eagle	YR-R	LC	EN		

თეთრკუდა არწივი							
ალალი	<i>Falco columbarius</i>	Merlin	M	LC		✓	✓
გველიჭამია (ან ძერაბოტი)	<i>Circaetus gallicus</i>	Short-toed Snake-Eagle	BB, M	LC		✓	
ჩვეულებრივი კირკიტა	<i>Falco tinnunculus</i>	Common Kestrel	M	LC		✓	✓
მცირე (ან ველის) კირკიტა	<i>Falco naumanni</i>	Lesser Kestrel	BB, M	LC	CR		
ჭაობის ძელქორი (ან ჭაობის ბოლობეჭედა)	<i>Circus aeruginosus</i>	Western Marsh Harrier	YR-R, M	LC		✓	✓
მინდვრის ძელქორი (ან მინდვრის ბოლობეჭედა)	<i>Circus cyaneus</i>	Hen (or Northern) Harrier	WV, M	LC		✓	
ველის ძელქორი (ან ველის ბოლობეჭედა)	<i>Circus macrourus</i>	Pallid Harrier	M	NT			
მდელოს ძელქორი (ან მდელოს ბოლობეჭედა)	<i>Circus pygargus</i>	Montagus Harrier	BB, M	LC			
შაკი	<i>Pandion haliaetus</i>	Osprey	FB, M	LC			
ჩვეულებრივი მექვიშა (მებორნე)	<i>Actitis hypoleucos</i>	Common Sandpiper	BB	LC			
წითელგულა მექვიშა	<i>Calidris ferruginea</i>	Curlew Sandpiper	M	NT			
შავმუცელა მექვიშა	<i>Calidris alpina</i>	Dunlin	M	LC		✓	
მცირე მექვიშა (კოკორინა-ბელურა)	<i>Calidris minuta</i>	Little Stint	M	LC			
ქვიშაქვიშა	<i>Calidris alba</i>	Sanderling	M	LC			
ლაქებიანი წითელფეხა მენაპირე (კობტა ჭოვილო)	<i>Tringa erythropus</i>	Spotted Redshank	YR-R, M	LC		✓	
წითელფეხა მენაპირე (მსევანი)	<i>Tringa totanus</i>	Common Redshank	YR-R, M	LC			

მწვანეფეხა მენაპირე (დიდი ჭოვილო)	<i>Tringa nebularia</i>	Common Greenshank	YR-R, M	LC			
შავი მენაპირე	<i>Tringa ochropus</i>	Green Sandpiper	YR-R, M	LC			
თეთრი ყარყატი	<i>Ciconia ciconia</i>	White Stork	YR-R, M	LC	VU	✓	
შავი ყარყატი	<i>Ciconia nigra</i>	Black Stork	YR-R, M	LC	VU	✓	
რუხი ყანწა	<i>Ardea cinerea</i>	Grey Heron	YR-R	LC			
ქარცი ყანწა	<i>Ardea purpurea</i>	Purple Heron	BB, M	LC			
ყვითელი ყანწა	<i>Ardeola ralloides</i>	Squacco Heron	BB, M	LC		✓	
დიდი თეთრი ყანწა	<i>Ardea alba</i>	Great White Egret	YR-V	LC			
მცირე თეთრი ყანწა	<i>Egretta garzetta</i>	Little Egret	YR-R	LC			
ლამის ყანწა	<i>Nycticorax nycticorax</i>	Black-crowned Night-Heron	BB, M	LC		✓	
მწყემსი (ანუ ეგვიპტური) ყანწა	<i>Bubulcus ibis</i>	Cattle Egret	BB, M	LC			
დიდი ყარაულა (წყლის ბუღა)	<i>Botaurus stellaris</i>	Great Bittern	YR-R	LC		✓	
ჟერო	<i>Platalea leucorodia</i>	Eurasian Spoonbill	M	LC			
მცირე მყივანი გედი	<i>Cygnus columbianus</i>	Tundra Swan	WV, M	LC			
ყვითელნისკარტა (ან მყივანი) გედი	<i>Cygnus cygnus</i>	Whooper swan	WV, M	LC			
წითელნისკარტა (ან სისინა) გედი	<i>Cygnus olor</i>	Mute Swan	WV, M	LC			
რუხი ბატი	<i>Anser anser</i>	Gray Lag Goose	YR-R, M	LC			
მცირე თეთრმუზლა ბატი	<i>Anser erythropus</i>	Lesser White-fronted Goose	WV, M	VU	EN		
ამლავი იხვი	<i>Tadorna tadorna</i>	Common Shelduck	YR-V	LC		✓	
წითელი იხვი	<i>Tadorna ferruginea</i>	Ruddy Shelduck	YR-R	LC	VU		
რუხი იხვი	<i>Mareca strepera</i>	Gadwall	YR-R, M	LC			
ჭახჭახა იხვი (ან იხვინჯა)	<i>Spatula querquedula</i>	Garganey	YR-R, M	LC			

სტვენია იხვი (ან ჭიკვარა)	<i>Anas crecca</i>	Common Teal	YR-R, M	LC			
წითელთავა ყვინთია	<i>Aythya ferina</i>	Common Pochard	YR-R, M	VU			
დიდი ბატასინა	<i>Mergus merganser</i>	Common Merganser	WV, M	LC			
მცირე ბატასინა	<i>Mergellus albellus</i>	Smew	WV, M	LC			
რუხი წერო	<i>Grus grus</i>	Common Crane	BB, M	LC	EN		
წეროტურფა	<i>Grus virgo</i>	Demoiselle Crane	M	LC			
ტბის თოლია	<i>Chroicocephalus ridibundus</i>	Common Black-headed Gull	YR-R, M	LC			
სომხური თოლია	<i>Larus armenicus</i>	Armenian Gull	YR-R	NT			
კასპიური თოლია	<i>Larus cachinnans</i>	Caspian Gull	YR-R	LC			
შავზურგა (ანუ ფრთაშავი) თოლია	<i>Larus fuscus</i>	Lesser Black-backed Gull	WV, M	LC			
ვეჟანი თოლია	<i>Larus canus</i>	Mew Gull	WV, M	LC			
თოლისნისკარტა თევზიყლაპია	<i>Gelochelidon nilotica</i>	Gull-billed Tern	YR-V	LC		√	
ჭრელნისკარტა თევზიყლაპია	<i>Thalasseus sandvicensis</i>	Sandwich Tern	YR-V	LC			
ჩვეულებრივი თევზიყლაპია	<i>Sterna hirundo</i>	Common Tern	YR-R, M	LC			
მცირე თევზიყლაპია	<i>Sternula albifrons</i>	Little Tern	YR-R, M	LC			
კასპიური თევზიყლაპია	<i>Hydroprogne caspia</i>	Caspian Tern	SV, M	LC		√	
შავი თევზიყლაპია	<i>Chlidonias niger</i>	Black Tern	BB, M	LC		√	
ლოყათეთრი თევზიყლაპია	<i>Chlidonias hybrida</i>	Whiskered Tern	BB, M	LC			
დიდი ჩვამა	<i>Phalacrocorax carbo</i>	Great Cormorant	YR-R, M	LC			
მცირე ჩვამა	<i>Microcarbo pygmaeus</i>	Pygmy Cormorant	YR-R	LC		√	

ქოჩორა ჩვამა	<i>Phalacrocorax aristotelis</i>	Shag	Cas	LC		√	
დიდი კოკონა	<i>Podiceps cristatus</i>	Great Crested Grebe	YR-R, M	LC			
აპრეხილნისკარტა (ან შავყელა) კოკონა	<i>Podiceps nigricollis</i>	Black-necked Grebe	YR-R, M	LC			
სწორნისკარტა (ან წითელყელა) კოკონა	<i>Podiceps auritus</i>	Horned (or Slavonian) Grebe	WV, M	VU			
რუხლოყევა კოკონა	<i>Podiceps grisegena</i>	Red-necked Grebe	YR-R, M	LC	VU		
მცირე კოკონა	<i>Tachybaptus ruficollis</i>	Little Grebe	YR-R, M	LC			
ქოჩორა (ან ხუჭუჭა) ვარხვი	<i>Pelecanus crispus</i>	Dalmatian Pelican	YR-R, M	VU	EN		
ვარდისფერი ვარხვი	<i>Pelecanus onocrotalus</i>	Great White Pelican	BB, M	LC	VU		
ხმელთაშუაზღვის ქარიშხალა	<i>Puffinus yelkouan</i>	Mediterranean (Yelkouan) Shearwater	YR-V	VU		√	
ქათამურა	<i>Porzana porzana</i>	Spotted Crake	YR-R, M	LC		√	
მცირე ქათამურა	<i>Porzana parva</i>	Little Crake	M	LC		√	
პაწაწა ქათამურა	<i>Porzana pusilla</i>	Baillons Crake	BB, M	LC		√	
წყლის ქათამურა	<i>Gallinula chloropus</i>	Common Moorhen	YR-R, M	LC			
ხონთქრის ქათამი	<i>Porphyrio porphyrio</i>	Purple Swamphen	BB, M	LC			
ლაინა	<i>Rallus aquaticus</i>	Water Rail	YR-R, M	LC			
დალდა	<i>Crex crex</i>	Corn crake	BB, M	LC			
ოჩოფეხა	<i>Himantopus himantopus</i>	Black-winged Stilt	BB, M	LC			
ზღვის კაჭკაჭი (სირკაჭკაჭი)	<i>Haematopus ostralegus</i>	Eurasian Oystercatcher	SV, M	NT			
სადგისნისკარტა	<i>Recurvirostra avosetta</i>	Pied Avocet	YR-V, M	LC			
საყელიანი წინტალა	<i>Charadrius hiaticula</i>	Common Ringed Plover	-	LC			

მცირე წინტალა	<i>Charadrius dubius</i>	Little Ringed Plover	YR-R, M	LC			
ზღვის წინტალა	<i>Charadrius alexandrinus</i>	Kentish Plover	YR-R, M	LC		√	
პრანწია	<i>Vanellus vanellus</i>	Northern Lapwing	M	NT			
ველის პრანწია	<i>Vanellus gregarius</i>	Sociable Lapwing	YR-R	CR			
ოქროსფერი მეჭვავია	<i>Pluvialis apricaria</i>	Eurasian Golden-Plover	Cas	LC			
რუხი მეჭვავია (კვათარი)	<i>Pluvialis squatarola</i>	Grey Plover	M	LC			
ტურუბტანი (მაჩხუბარა კოკორინა)	<i>Calidris pugnax</i>	Ruff	M	LC			
დიდი კრონშენკი	<i>Numenius arquata</i>	Eurasian Curlew	M	NT			
დიდი (ანუ შავკუდა) ლია	<i>Limosa limosa</i>	Black-tailed Godwit	M	NT			
ზოლიანკუდა ლია	<i>Limosa lapponica</i>	Bar-tailed Godwit	M	NT			
დიდი ჩიბუხა (გოჭა)	<i>Gallinago media</i>	Great Snipe	M	NT			
თვალჭყეცია	<i>Burhinus oedicnemus</i>	Stone-Curlew	BB,M	LC	VU		
გარეული მტრედი	<i>Columba livia</i>	Rock Dove	YR-V	LC			
გულიო (ან გვიძინი)	<i>Columba oenas</i>	Stock Dove	M	LC			√
ქედანი	<i>Columba palumbus</i>	Common Wood-Pigeon	M	LC			
ჩვეულებრივი გვრიტი	<i>Streptopelia turtur</i>	Eurasian Turtle-Dove	BB, M	VU			
საყელიანი გვრიტი	<i>Streptopelia decaocto</i>	Eurasian Collared-Dove	YR-R, M	LC			
გუგული	<i>Cuculus canorus</i>	Common Cuckoo	BB	LC		√	
ტყის ბუ	<i>Strix aluco</i>	Tawny Owl	M	LC			√
ზარნაშო	<i>Bubo bubo</i>	Eurasian Eagle Owl	M	LC			
უფეხურა	<i>Caprimulgus europaeus</i>	European Nightjar	M	LC		√	√
ოფოფი	<i>Upupa epops</i>	Common Hoopoe	M	LC		√	
ყაყაპი	<i>coracias garrulus</i>	European Roller	BB, M	LC			

ალკუნი	<i>Alcedo atthis</i>	Common Kingsfisher	YR-R, M	LC			
ოქროსფერი კვირიონი	<i>Merops apiaster</i>	European bee-eater	BB, M	LC			
მწვანე კოდალა	<i>Picus viridis</i>	Eurasian Green Woodpecker	YR-R	LC		√	
დიდი ჭრელი კოდალა	<i>Dendrocopos major</i>	Greater Spotted Woodpecker	YR-R	LC		√	
საშუალო ჭრელი კოდალა	<i>Leiopicus medius</i>	Middle Spotted Woodpecker	YR-R	LC			
მცირე ჭრელი კოდალა	<i>Dryobates minor</i>	Lesser Spotted Woodpecker	YR-R	LC		√	
თეთრზურგა კოდალა	<i>Dendrocopos leucotos</i>	White-backed Woodpecker	YR-R	LC		√	
მინდვრის ტოროლა	<i>Alauda arvensis</i>	Eurasian Skylark	M	LC			
ქოჩორა ტოროლა	<i>Galerida cristata</i>	Crested Lark	M	LC			
ტყის ტოროლა	<i>Lullula arborea</i>	Wood Lark	M	LC			
დიდი მოკლეთითა ტოროლა	<i>Calandrella brachydactyla</i>	Greater Short-Toed Lark	BB,M	LC		√	
მცირე მოკლეთითა ტოროლა	<i>Calandrella rufescens</i>	Lesser Short-Toed Lark	BB,M	LC			
სოფლის მერცხალი	<i>Hirundo rustica</i>	Barn Swallow	BB,M	LC		√	
ქალაქის მერცხალი	<i>Delichon urbicum</i>	Northern House-Martin	YR-V	LC		√	
კლდის მერცხალი	<i>Hirundo rupestris</i>	Eurasian Crag-martin	BB	LC		√	
მენაპირე მერცხალი	<i>Riparia riparia</i>	Sand Martin	BB,M	LC			
თეთრი ბოლოქანქარა	<i>Motacilla alba</i>	White Wagtail	YR-R	LC		√	
რუხი ბოლოქანქარა	<i>Motacilla cinerea</i>	Grey Wagtail	M	LC		√	
ყვითელი ბოლოქანქარა	<i>Motacilla flava</i>	Yellow Wagtail	M	LC		√	√
ყვითელთავა ბოლოქანქარა	<i>Motacilla citreola</i>	Citrine Wagtail	BB,M	LC		√	
შავმუზლა ღაჟო	<i>Lanius minor</i>	Lesser Grey Shrike	M	LC		√	√
ჩვეულებრივი ღაჟო	<i>Lanius collurio</i>	Red-backed Shrike	BB,M	LC		√	
მიმინოსებრი ასპუჭაკა	<i>Sylvia nisoria</i>	Barred Warbler	BB	LC		√	
შავთავა ასპუჭაკა	<i>Sylvia atricapilla</i>	Blackcap	BB	LC		√	

ხმელთაშუაზღვის ასპუჭაკა	<i>Sylvia melanocephala</i>	Sardinian Warbler	Cas	LC			
ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	Common Redstart	BB,M	LC		✓	
ჩვეულებრივი ბულბული	<i>Luscinia megarhynchos</i>	Common Nightingale	BB	LC		✓	
ცისფერგულა	<i>Luscinia svecica</i>	Bluethroat	BB,M	LC			
შაშვი	<i>Turdus merula</i>	Eurasian Blackbird	YR-R	LC		✓	
წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	<i>Turdus philomelos</i>	Song Thrush	M	LC		✓	
რუხთავა შაშვი	<i>Turdus pilaris</i>	Fieldfare	WV,M	LC			
ჩხართვი	<i>Turdus viscivorus</i>	Mistle Thrush	M	LC		✓	
შოშია (შროშანი)	<i>Sturnus vulgaris</i>	Common Starling	YR-R, M	LC			
ლეიანის დიდი მეჩალია (შაშვისებრი მეჩალია)	<i>Acrocephalus arundinaceus</i>	Great Reed-Warbler	BB,M	LC			
ჭაობის მეჩალია	<i>Acrocephalus palustris</i>	Marsh Warbler	BB,M	LC			
თოხიტარა	<i>Aegithalos caudatus</i>	Long-tailed Tit	YR-R	LC		✓	
გულწითელა	<i>Erithacus rubecula</i>	European Robin	BB	LC		✓	
დიდი წივწივა	<i>Parus major</i>	Great Tit	YR-R	LC		✓	
მოლურჯო წივწივა	<i>Parus caeruleus</i>	Blue Tit	YR-R	LC			
მცირე წივწივა	<i>Parus ater</i>	Coal Tit	YR-R	LC			
ჩვეულებრივი მგლინავა	<i>Certhia familiaris</i>	Eurasian Tree-creeper	M	LC		✓	
ჭინჭრაქა	<i>Troglodytes troglodytes</i>	Winter Wren	YR-R	LC		✓	
მეფეტვია	<i>Miliaria calandra</i>	Corn Bunting	BB	LC			
ბადის გრატა	<i>Emberiza hortulana</i>	Ortolan Bunting	BB, M	LC			
მოყვითალო გრატა	<i>Emberiza citrinella</i>	Yellowhammer	YR-R, M	LC			
შავთავა გრატა	<i>Emberiza melanocephala</i>	Black-headed Bunting	BB, M	LC			
ლეიანის გრატა	<i>Emberiza schoeniclus</i>	Reed Bunting	YR-R, M	LC			
სკვინჩა	<i>Fringilla coelebs</i>	Eurasian Chaffinch	YR-R	LC			

მთიულა	<i>Fringilla montifringilla</i>	Brambling	WV	LC			
ჩიტბატონა	<i>Carduelis carduelis</i>	European Goldfinch	YR-R	LC		✓	
მწვანულა	<i>Carduelis chloris</i>	European Greenfinch	YR-R	LC		✓	
მინდვრის ბელურა	<i>Passer montanus</i>	Tree Sparrow	M	LC			
სახლის ბელურა	<i>Passer domesticus</i>	House Sparrow	YR-R	LC			
მოლალური	<i>Oriolus oriolus</i>	Eurasian Golden Oriole	M	LC		✓	✓
ჩხიკვი	<i>Garrulus glandarius</i>	Eurasian Jay	YR-R	LC			
ყორანი	<i>Corvus corax</i>	Common Raven	YR-V	LC		✓	
რუხი ყვავი	<i>Corvus corone</i>	Hooded Crow	YR-R	LC			
ჭკა	<i>Coloeus monedula</i>	Eurasian Jackdaw	YR-R	LC			
გაზაფხულა ჭიკჭიკი	<i>Phylloscopus trochilus</i>	Willow Warbler	BB	LC		✓	
ჩვეულებრივი ჭიკჭიკი	<i>Phylloscopus collybita</i>	Common Chiffchaff	BB	LC			
ჭვინტა (მეკანაფია)	<i>Carduelis cannabina</i>	Eurasian Linnet	BB	LC		✓	
თეთრწარბა (ანუ მდელის) ოვსადი	<i>Saxicola rubetra</i>	Whinchat	BB	LC		✓	✓
შავთავა ოვსადი	<i>Saxicola torquatus</i>	African stonechat	BB	LC		✓	
სტვენია	<i>Pyrrhula pyrrhula</i>	Eurasian Bullfinch	M	LC			
რუხი მემატლია	<i>Muscicapa striata</i>	Spotted Flycatcher	BB, M	LC		✓	
წითელყელა (ანუ მცირე) ბუზიჭერია (მცირე მემატლია)	<i>Ficedula parva</i>	Red-breasted Flycatcher	BB, M	LC		✓	
ჩვეულებრივი მელორდია	<i>Oenanthe oenanthe</i>	Northern wheatear	BB, M	LC		✓	
ტყის მწყერჩიტა	<i>Anthus trivialis</i>	Tree Pipit	BB	LC			
მდელის მწყერჩიტა	<i>Anthus pratensis</i>	Meadow Pipit	BB	NT		✓	
წითელგულა მწყერჩიტა	<i>Anthus cervinus</i>	Red-Throated Pipit	M	LC		✓	
მინდვრის მწყერჩიტა	<i>Anthus campestris</i>	Tawny Pipit	BB, M	LC		✓	

3.4.2.3.1 ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები და მნიშვნელოვანი ადგილები

საქართველოს ტერიტორია მნიშვნელოვანია დასავლეთ პალეარქტიკული ფრინველების მიგრაციის თვალსაზრისით. საქართველოს ტერიტორიაზე გადის ევროპა-აფრიკის და ევროპა-აზიის ფრინველთა სამიგრაციო მარშრუტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მრავალი გადამფრენი სახეობისთვის: ისინი ამ მარშრუტებით ახორციელებენ ყოველწლიურ, რეგულარულ სეზონურ გადაადგილებებს საბუდარ და გამოსახამთრებელ ადგილებს შორის (აბულაძე ა., და სხვა 2011). ფრინველთა მიგრაცია საქართველოს ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. თუმცა, მკვეთრად გამოკვეთილია ორი სამიგრაციო პერიოდი - გაზაფხულის და შემოდგომის გადაფრენები. გადამფრენი ფრინველების სამიგრაციო მარშრუტები საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის სანაპიროს, დიდ მდინარეებს (რიონი, მტკვარი და მათი შენაკადები), ხეობებს, მთათა სისტემებს, კერძოდ კი დიდ კავკასიონსა და მის განშტოებებს მიუყვება. გაზაფხულის მიგრაცია იწყება მარტის მეორე ნახევრიდან - მასის პირველ ნახევრამდე და გადაფრენის ძირითადი მიმართულებაა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. მიგრაციის პიკი 10-20 მაისია. შემოდგომის მიგრაციის პერიოდი შეჭმუხვი - ოქტომბრის ბოლო და მიგრაციის ძირითადი მიმართულებაა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. შემოდგომის გადაფრენა უფრო გრძელი და აქტიურია, ვიდრე გაზაფხულის. შემოდგომის პირველი გადამფრენები აგვისტოს დასაწყისში ჩნდებიან, ხოლო ამ სეზონის გადაფრენა ნოემბრის ბოლოს მთავრდება (აბულაძე ა., და სხვა 2011).

კვლევების მიხედვით, აღნიშნულ ადგილს ფრინველები ხშირად იყენებენ სამიგრაციოდ. სამიგრაციო დერეფანი საპროექტო ტერიტორიაზე გადის და ამიტომ მნიშვნელოვანი ადგილია ფრინველთა გადაფრენების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციების პერიოდში. ამიტომ, შესაძლებელია ყველა ის ფრინველი, რომელიც ამ სამიგრაციო მარშრუტს გაივლის მოხვდეს საპროექტო ზონაში ან მის მიმდებარე ადგილებში.

საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს ფრინველთა მნიშვნელოვან ადგილი IBA - Batumi GE014. ასევე, საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით დაახლოებით 10 კმ. მანძილში განთავსებულია ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია „Batumi” SPA 16.

საპროექტო ტერიტორიაზე ასევე გადის ფრინველთა ძირითადი სამიგრაციო მარშრუტებიდან ერთერთი მარშრუტი.

3.4.2.4 ქვეწარმავლები და ამფიბიები (Reptilia et Amphibia)

საველე კვლევის და ლიტერატურული მონაცემების მიხედვით საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ქვეწარმავლების და ამფიბიების შემდეგი სახეობები გვხვდება: წყლის ანკარა *Natrix tessellata*, ჩვეულებრივი ანკარა *Natrix natrix*, ესკულაპის მცურავი *Zamenis longissimus*, სპილენძა *Coronela austriaca*, ბოხმეჭა *Anguillis colchica*, ართვინული ხელიკი *Darevskia derjugini*, მარდი ხელიკი *Lacerta agilis*, ჭაობის კუ *Emys orbicularis*, ტბორის ბაყაყი *Pelophylax ridibundus*, ვასაკა *Hyla arborea* მცირეაზიური ბაყაყი *Rana macrocnemis* და სხვა.

საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ქვეწარმავლების სახეობებიდან აღსანიშნავია: კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*) [EN], IUCN- [EN], თუმცა საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ჰაბიტატი ვერ იქნება აღნიშნული სახეობისთვის ხელსაყრელი, რადგან იგი მოდიფიცირებულია და მიმდებარე ტერიტორიებზე მაღალია ანთროპოგენური გავლენა, მსგავს ადგილებს კი კავკასიური გველგესლა ერიდება. ამფიბიებიდან დაცულია, კავკასიური გომბეშო

(*Bufo verrucosissimus*) [IUCN-საფრთხესთან ახლოს მყოფის სტატუსი -NT], იგი განეკუთვნება რეგიონულ ენდემურ სახეობას, რომელიც მხოლოდ კავკასიაში გვხვდება და რომლის ჰაბიტატები ძირითადად საქართველოშია.

ცხრილი 3.12. საკვლე ტერიტორიაზე ლიტერატურულად ცნობილი სახეობები.

N	ქართული დასახლება	ლათინური დასახლება	RLG	IUCN	Bern Conv.
1.	წყლის ანკარა	<i>Natrix tessellata</i>	LC	LC	✓
2.	ჩვეულებრივი ანკარა	<i>Natrix natrix</i>	LC	LC	✓
3.	ესკულაპის მცურავი	<i>Zamenis longissimus</i>	LC	LC	
4.	სპილენძა	<i>Coronela austriaca</i>	NE	LC	✓
5.	კავკასიური გველგესლა	<i>Vipera kaznakovi</i>	EN	EN	
6.	ბოხმეჭა	<i>Anguillis colchica</i>	NE	LC	
7.	ართვინული ხელიკი	<i>Darevskia derjugini</i>	LC	NT	
8.	მარდი ხელიკი	<i>Lacerta agilis</i>	LC	LC	
9.	ზოლიანი ხელიკი	<i>Lacerta strigata</i>	LC	LC	✓
10.	ჭაობის კუ	<i>Emys orbicularis</i>	LC	NT	
11.	ტბორის ბაყაყი	<i>Pelophylax ridibundus</i>	LC		
12.	ვასაკა	<i>Hyla arborea</i>	LC		
13.	მცირეაზიური ბაყაყი	<i>Rana macrocnemis</i>	LC		✓
14.	კავკასიური გომბეშო	<i>Bufo verrucosissimus</i>	LC	NT	
15.	მცირეაზიური ტრიტონი	<i>Ommatotriton ophryticus</i>		NT	
16.	აღმოსავლური სავარცხლიანი ტრიტონი	<i>Triturus karelinii</i>	LC	LC	

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:
EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

3.4.2.5 უხერხემლოები (Invertebrata)

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით პროექტის რეგიონში გავრცელებულია მწერების 500-ზე მეტი სახეობა, მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანი რიგებია: ხემფრთიანები (Coleoptera), ნახევრადხემფრთიანები (Hemiptera), ქერცლფრთიანები (Lepidoptera), სიფრიფანაფრთიანები (Hymenoptera), სწორფრთიანები (Orthoptera), მოკლეხედაფრთიანი ხოჭოები (Staphylinidae), ჩოქელები (Mantodea), ნემსილაპიები (Odonata) და სხვა.

ქვემოთ მოცემულია საკვლე რეგიონში გავრცელებული ფეხსახსრიანების, პეპლების, ხოჭოების, ნემსილაპიების, კალიების სახეობები: *Pentatoma rufipes*, *Libellula depressa*, *Pieris napi*, *Pieris brassicae*, *Pieris rapae*, *Cupido argiades*, *Cupido minimus*, *Erynnis tages*, *Polyommatus baeticus*,

Polyommatus daphnis, Polyommatus icarus, Cercopis intermedia, Cercopis sanduinolenta, Vanessa atalanta, Vanessa cardui, Issoria lathonia, Pieris ergane, Pieris napi, Tettigonia viridissima, Arctia festiva, Arctia villica, Callimorpha dominula, Coscinia striata, Dysauxes punctate, Eilema sororcula, Parasemia caucasica, Parasemia plantaginis, Pelosia muscerda, Phragmatobia fuliginosa, Spilosoma lubricipeda, Spilosoma mendica, Spilosoma menthastri, Spilosoma urticae, Tyria jacobaeae, Cossus cossus, Habrosyne derasa, Sitotroga cerealella, Alcis repandata, Aplocera plagiata, Aplocera praeformata, Asmate clathrata, Asthena albulata, Biston betularia, Cabera pusaria, Calospilos sylvata, Campaea margaritata, Catarhoe arachne, Charissa glaucinaria, Chlorissa cloraria, Chloroclystis v-ata, Cleorodes lichenaria, Colostygia viridaria, Cyclophora porata, Dysstroma truncate, Ectropis bistortata, Ectropis crepuscularia, Ematurga atomaria, Eulithis pyraliata, Euphyia picata, Euphyia unangulata, Eupithecia graciliata, Eupithecia plumbeolata, Eupithecia pumilata, Eupithecia selinata, Eupithecia subfenestrata, Eupithecia subfuscata, Geometra papilionaria, Gnopharmia colchidaria, Hydrelia flammeolaria, Idaea aversata, Idaea biselata, Idaea fuscovenosa, Idaea sylvestriaria, Lomaspidis marginata, Acronicta rumicis, Aedia funesta, Aedia leucomelas, Agrotis exclamationis, Agrotis segetum, Agrotis ypsilon, Athetis pallustris, Autographa gamma, Autographa jota, Axylia putris, Callopietria purpureofasciata, Caradrina kadenii, Catocala promissa, Cucullia umbratica, Dichonia aprilina, Eilema lurideola, Eugnorisma depuncta, Macdunnoughia confuse, Melanchra persicariae, Noctua orbona, Noctua pronuba, Ochroleuca plecta, Pammene fasciana, Pechipogo strigilata, Phlogophora meticulosa, Polia nebulosa, Protoschinia scutosa, Rivula sericealis, Sideridis turbida, Spodoptera exigua, Trichoplusia ni, Xestia c-nigrum, poria crataegi, Colias chrysotheme, Colias hyale, Euchloe belia, Gonepteryx rhamni, Leptidea sinapis, Pieris brassicae, Pieris ergane, Chloethripa chlorana, Nola aerugula, Roeselia albula, Furcula bifida, Melitaea cinxia, Melitaea didyma, Melitaea transcaucasica, Mellicta athalia, Neptis rivularis, Nymphalis io, Pararge maera, Pararge megera, Satyrus dryas, Vanessa atalanta, Vanessa cardui, Colocasia coryli, Allancastris caucasica, Iphiclidis podalirius, Papilio machaon, Parnassius mnemosyne, Colocasia coryli, Acherontia atropos, Deilephila porcellus, Hyles livornica, Epinotia subsequana, Aeshna cyanea, Calopteryx virgo, Lestes sponsa, Orthetrum ramburi, Acrida oxycephala, Calliptamus italicus, Chorthippus Mantis religiosa, Morimus verecundus, Decticus verrucivorus, Lymantria dispar, Capnodis cariosa, Chrysolina adzharaica, Chrysolina sanguinolenta, Saga ephippigera, Polistes gallicus, Bolivarina brachyptera, Oecanthus pellucens, Rhynocoris iracundus, Leptidea sinapis, Anthocharis cardamines, Byctiscus betulae, Aspidapion radiolus, Omphalopion dispar, Perapion violaceum, Protapion apricans, Bruchus pisorum, Buprestis haemorrhoidalis, Acinopus laevigatus, Amara aenea, Anchomenus dorsalis, Badister bullatus, Brachinus crepitans, Calosoma sycophanta, Carabus puschkini, Chlaenius decipiens, Dyschiriodes substriatus, Ocydromus tetrasemus, Arhopalus ferus, Dorcadion niveiparsum, Fallacia elegans, Rhagium bifasciatum, Stenurella bifasciata, Tetropium fuscum, Smaragdina unipunctata, Trichodes apiaries, Anechura bipunctata, Forficula auricularia. და სხვა.

3.4.2.6 ობობები (Araneae)


საქართველოს ობობების სახეობრივი შემადგენლობა მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკვების სიუხვით და ხელსაყრელი მიკროკლიმატური პირობებით (უხვი ნალექები მაღალი შეფარდებითი ტენიანობა და სხვა). საკვლევი ზონის ობობებიდან 3 ოჯახი *Dipluridae, Dysderidae Sicariidae* გავრცელებულია კავკასიის ყირიმისა და შუა აზიის ტყეებში. დანარჩენი ოჯახები: *Micryphantidae, Linyphiidae, Thomisidae, Theridiidae, Argiopidae, Lycosidae, Clubionidae, Salticidae, Gnaphosidae* ფართოდ გავრცელებიან და გვხვდება ყველგან. ტყის ტიპური ფორმებიდან აღსანიშნავია ოჯ. *Araneidae,*

Araneus diadematus, A. angulatus, A. ceropegus, A. grossus, A. ocellatus, A. circe და *Mangora acalipha* ეს უკანასკნელი ბუჩქნარებზე ბინადრობს. *A. diadematus* - ფართოდაა გავრცელებული ტყის ზონაში მაგრამ ხშირად სხვა ზონებში გვხვდება. ტყის ზონაში ბინადრობს *Dipluridae* დაბალი განვითარების 4 ფილტვიანი ობობის რამდენიმე სახეობა. მსგავს საცხოვრებლ გარემოში დისდერას ოჯახიდან გვხვდება - *Dysdera, Harpactocratea, Harpactea,* და *Segistria.* სხვა სახეობები: *Clubiona frutetorum, Steatida bipunctatam, Theridium smile, Theridium pinastri, Pardosa amentatam, Pardosa waglerim, Araneus cerpegus, Araneus marmoreus. Misumena vatia, Pisaura mirabilis, Lycosoides coarctata, Oecobius navus, Alopecosa schmidtii, Trochosa ruricola, Araneus diadematus, Micrommata virescens, Diaea dorsata, Agelena labyrinthica, Pellenes nigrociliatus, Asianellus festivus, Araniella displicata, dysdera crocata, Phialeus chrysops, Thomisus onustus, Xysticus bufo, Alopecosa accentuata, Argiope lobata, Menemerus semilimbatus, Pardosa hortensis, Larinioides cornutus, Uloborus walckenaerius Mangora acalipha, Evarcha arcuata, Alopecosa taeniopus, Agelena labyrinthica, Gnaphosa sp, Heliophanus cupreus, Linyphiidae sp., Parasteatoda lunata, Synema globosum, Tetragnatha sp, Philodromus sp., Pisaura mirabilis, Runcinia grammica, Neoscona adianta* და სხვა.

3.5 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი (პირდაპირი მანძილი 3,51 კმ.) დაცული ტერიტორიები ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილია, რომლებიც კოლხეთის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედიან და მოიცავენ ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილოეთ ნაწილს.

ილუსტრაცია 5.1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილი



უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკომ კოლხურ ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა, რომელთა შემადგენლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიებიც შედის.

ქობულეთის ნაკრძალი და ალკვეთილი

ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორია ფართობრივი შეზღუდულობის მიუხედავად (603.47 ჰა) მნიშვნელოვანი ღირებულების ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბოტანიკური თვალსაზრისით იქცევა ყურადღებას. მისი ტერიტორიის

თითქმის ნახევარი, პირველადი, ან თითქმის პირველადი სახით დღემდე შემორჩენილ, ფლორისტული თვალსაზრისით მეტად საინტერესო

ქობულეთის დაცული ტერიტორიები მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია გადამფრენი, მობუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის. ბოტანიკოსების დიდ დაინტერესებას იწვევს აქ არსებული ბორეალური სახეობები: სფაგნუმი ანუ თეთრი ხავსი და მწერიჭამია დროზერა. ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს ისპანი 1-ისა და ისპანი 2-ის სფაგნუმიან ტორფნარებს.

ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვე ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან საშიშროებას უქმნის ამ უკანასკნელის პირველად და ასევე, სხვადასხვა ხარისხით სახეშეცვლილ ეკოსისტემებს.

ფლორა

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ალკვეთილის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა, ფლორისტული შედგენილობის თავისებურებით, განსაკუთრებულობით და სათუთობით იქცევა ყურადღებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვის მიუხედავად (ტერიტორიის სამხრეთი კიდიდან ქობულეთის საკურორტო ზონამდე მანძილი 3 კმ-ს არ აღემატება), ხოლო მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ ეკვრის სოფლებს ოჩხამური, ცეცხლაური, მუხაესტატეს მაცხოვრებელთა კარმიდამოებს და სავარგულებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ჭაობის მცენარეული საფარი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული. ამის ძირითადი მიზეზი არის ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის დიდი სისქე (5 –9 მ), რაც ჭაობის ზედაპირს გაუვალს ხდის და მოსახლეობა მას საძოვრად ვერ იყენებს. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე პირველადი სახით შემორჩენილია ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი, რომელშიც საკმაოდ არის გავრცელებული იმერული ისლი (MOLINIA LITORALIS). ჭაობის ზედაპირის ზოგიერთ მცირე უბანზე დომინანტია ისლის რომელიმე სხვა სახეობა (Carex lasiocarpa; Carex riparia და სხვ.). ისლიანები და სხვა ბალახეულთა სინუზიები განვითარებულია სფაგნუმის ხავსებით შექმნილ ერთიან საფარზე. სფაგნუმიან საფარს კი ქობულეთის ჭაობში ძირითადად ქმნის Sphagnum papillosum, Sphagnum imbricatum და Sphagnum palustre-ს სახეობები.

ბალახოვანი სინუზიებში იშვიათია მრგვალფოთლა დროზერა (DROSER A ROTUNDIFOLIA), სამეფო გვიმრა (OSMUNDA REGALIS) და სხვ. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე შემონახულ ტორფიან ჭაობს თვითმყოფადობას ანიჭებს იელის (Rhododendron luteum) და შქერის (Rhododendron ponticum) არსებობა მის მცენარეულ საფარში, აგრეთვე ჭაობის საერთო ზედაპირიდან უმნიშვნელოდ ამალელებული ტორფის ბალიშები (გუმბათები), რომლებიც სფაგნუმის ხავსებით არიან შექმნილი. ჭაობის პერიფერიულ ზოლში ყურადღებას იპყრობს ხეჭრელი (FRANGULA ALNUS).

მდინარეების ტოგონის და შავი ლელის გასწვრივ რომლებიც „ისპანი“-2-ის ჭაობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაედინებიან, 4-5 ათეული წლის წინ დაჭაობებული მურყნარის კარგად შემონახული მასივები იყო 200-600 მ-ის სიგანის ზოლებად განვითარებული. ამჟამად მათ ადგილზე ძლიერ დეგრადირებული, მეტწილად ბუჩქოვანი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც შეიცავენ მურყანის (ALNUS BARBATA), ლაფანის (PTEROCARYA

PTEROCARYA), იმერული მუხის (QUERCUS IMERETINA), ნეკერჩხლის (ACER CAMPECTRE), ჭყორის (Ilex colchica), იმერული ხეჭრელის (FRANGULA ALNUS) დაბუჩქულ ეგზემპლარებს ისინი გადაბარდულია მაყვლით, ეკალდიტით (Smilax excelsa), ღვედკეცით (PERIPLOCA GRAECA), VITIS SYLVESTRIS, ხურთი (HEDERA COLCHICA) და სხვა ლიანებით.

ფაუნა

ქობულეთის ჭაობები საკმაოდ მდიდარია ფაუნით. აქ მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს: წავი (Lutra lutra), ტურა (Canis aureus), ტყის კატა (Felis silvestris), ნუტრია (Myocastor coypus), მაჩვი (Meles meles). ზამთრობით შეიძლება შეგვხვდეს მგელი (Vulpes vulpes) და შველი (Capreolus capreolus). წვრილი ძუძუმწოვრებიდან: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (Erinaceus concolor), კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica), რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus), აქ შესაძლოა აგრეთვე შემდეგი სახეობების არსებობა: ვოლნუხინის ბიგა (Sorex volnuchini), გრძელკუდა კბილეთერა (Crocodyrus russula), წვეტყურა მდამიობი (Myotis blythii), ჯუჯა ღამურა (Pipistrellus pipistrellus), წყლის მემინდვრია (Arvicola terestris), კავკასიური ტყის თაგვი (Silvemu silvaticus), სახლის თაგვი (Mus musculus), შავი ვირთაგვა (Rattus rattus).

სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები მნიშვნელოვანია როგორც დასასვენებელი ადგილები გადამფრენი წყლისა და ჭაობის ფრინველებისათვის. აქ შეიძლება შევხვდეთ ყველა იმ ფრინველს, რომელიც გვხვდება კოლხეთის დაბლობზე. მათ შორის: Anas strepera, Anser anser, Melanitta fusca, Scolopax rusticola და Netta rufina, ასევე მობუდარი – Aquila pomarina, Accipiter nisus, Ardea cinerea, Circus aeruginosus, Egretta garzetta, Gallinago gallinago, Lymnocyptes minimus. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება მოზამთრე (Circus cyaneus) და გადამფრენი (C. pygargus და C. macrourus) სახეობები ძელქორებისა.

ქვეწარმავლების სახეობრივი რაოდენობა აქ მცირეა და შემოიფარგლება ჭაობის კუთი (Emys orbicularis), მარდი (Lacerta agilis) და საშუალო ხვლიკებით (Lacerta media), წყლისა (Natrix tessellata) და ჩვეულებრივი ანკარათი (Natrix natrix) და ესკულაპის მცურავით (Elaphe longissima). ამფიბიებიდან აქ გვხვდება ჩვეულებრივი (Triturus vulgaris) და სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus cristatus), ტბის ბაყაყი (Rana ridibunda), ჩვეულებრივი ვასაკა (Hyla arborea), მწვანე (Bufo viridis) და კავკასიური გომბეშო (Bufo verucosissima). ტერიტორია მდიდარია უხერხემლოებით, რომლებიც სადღეისოდ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მდინარეებში აღინიშნება თევზების შემდეგი სახეობები: Silurus glanis, Leuciscus cephalus, Cyprinus carpio, Castanea sativa.

რამსარის საიტი Ispani Mire

გეგმარებითი ერთეულიდან ასევე 5.7 კმ-ში მდებარეობს რამსარის საიტი **Ispani Mire**. 1971 წლის 2 თებერვალს ქ. რამსარში (ირანი) 18-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას „საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ. იგი წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს წყალჭარბი ტერიტორიების დაცვასა და მათ მდგრად გამოყენებას და ამისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ტერმინში „წყალჭარბი ტერიტორიები“ კონვენციის ტექსტში იგულისხმება ჭაობები, ჭანჭრობები, ტორფიანი ტერიტორიები, ყველა ტიპის წყალსატევები - როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური, მუდმივი და დროებითი, დამდგარი და გამდინარე, მტკნარი, ნახევრად მარილიანი და მარილიანი, აგრეთვე ზღვის

აკვატორია, სადაც წყლის სიღრმე უკუქვევის დროს არ აღემატება 6 მეტრს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ სავარგულებს, როგორც წყლის ფრინველთა საბინადრო ადგილის, მნიშვნელობას. კონვენცია ხელმომწერ მხარეებს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. მათ უნდა უზრუნველყონ წყალჭარბი ტერიტორიების დაცვა და მდგრადი გამოყენება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მთავრობებმა მიწათსარგებლობის სახელმწიფო დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინონ წყალჭარბი ტერიტორიების დაცვის აუცილებლობა. გარდა ზოგადი ვალდებულებებისა, რამსარის კონვენციას აქვს სპეციფიკური მოთხოვნაც: ყოველმა მხარემ უნდა გამოაცხადოს სულ ცოტა ერთი ე.წ. რამსარის საიტი, რომელიც შუა საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიების, ანუ რამსარის საიტების სიაშია. მათი შერჩევა ხდება სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით. მხარეები ვალდებული არიან შეინარჩუნონ ამ ტერიტორიების ეკოლოგიური ხასიათი და ითანამშრომლონ ტრანსსასაზღვრო წყალჭარბი ტერიტორიებისა და აქ მომდინარე სახეობების დაცვის საქმეში. 1971 წლიდან კონვენციის გეოგრაფია თანდათან გაფართოვდა, დღეისათვის იგი 172 მხარეს ითვლის. 2437-მდე წყალჭარბი ტერიტორია რამსარის ტერიტორიად ე.წ. რამსარის საიტად არის გამოცხადებული. მათი საერთო ფართობი 254,691,993 მლნ. ჰექტარს შეადგენს. საქართველო რამსარის კონვენციას შეუერთდა 1996 წელს და დღევანდელი მდგომარეობით ქვეყანაში რამსარის 4 საიტია წარმოდგენილი. მათ შორისაა საპროექტო ტერიტორიასთან ახლომდებარე რამსარის საიტი სახელწოდებით Ispani Mire.

საიტი დაყოფილია 2 დიდ ტორფიან ჭაობად „ისპანი“-1 და „ისპანი“-2. „ისპანი“-1 ჭაობი საიტის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს, რომელიც სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად, ძლიერ დეგრადირებულია. იგი დასერილია წყალსაწრეტი და წყალსადინარი არხებით. ჭაობის ძველი ზედაპირი ალაგ-ალაგ დაკორდებულია და ადგილობრივი მოსახლეობა მას სათიბ-საძოვრად იყენებს.

„ისპანი“-2 შედარებით დიდი და კარგად შემონახული სფაგნუმიან-ბალახოვანი ჭაობია. გამოირჩევა ტორფის ბალიშების განვითარებით, რომლებიც სფაგნუმის ხავსებითა და მათზე არსებული ბალახეული მცენარეთა სინუზიებითაა შექმნილი. „ისპანი“-2 ჭაობს გარკვეულად თვითმყოფადობას ანიჭებს მის მცენარეულ საფარში, ერთი მხრივ, ბორეალური (ტუნდრის და ტაიგის) ფლორის ელემენტების (Sphagnum imbricatum, S. palustre, S. auriculatum; Drosera rotundifolia, Rhynhospora alba, Carex lasiocarpa და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, კოლხური ფლორის ისეთი ელემენტები, როგორცაა: Rhododendron ponticum, R. luteu.

„ისპანი“-2 ჭაობის მცენარეული საფარის ბუნებრივ მდგომარეობაში დღემდე შემორჩენის მიზეზის არსი მის მიუდგომლობაშია. ამ ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის სისქე 5-9 მ საზღვრებში ცვალებადობს. აღნიშნულის გამო, ეს ჭაობი გაუვალა და მას ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად და სათიბად ვერ იყენებს. „ისპანი“-2 ჭაობთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება არა მარტო საძოვრებად და სათიბებად, არამედ სახნავ-სათესად. „ისპანი“-2 ჭაობი გადაურჩა ტორფის კარიერად გამოყენებას. ტორფის მოპოვებას და დაშრობის მიზნით ჩატარებულ სამელიორაციო სამუშაოებს ადგილი ჰქონდა „ისპანი“-1 და „ისპანი“-3 ჭაობების ტერიტორიებზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი „ისპანი“-2 ჭაობს

უკავია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს „ისპანი“-1 ჭაობი. აღნიშნული ჭაობების პერიფერიებზე, აგრეთვე მდ. ტოგონისა და შავი ღელის გასწვრივ ალაგ-ალაგ აღინიშნება მეორადი ტყე-ბუჩქნარების ვიწრო ზოლი.

ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული უბანი ქობულეთი GE000060

ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი „ქობულეთი“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:

- სარეგისტრაციო კოდი - GE000060;
- ფართობი - 782.7156 ჰა;
- გრძედი - 732767.000000; განედი - 4637778.000000;
- ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100%).

ზურმუხტის ქსელის მიღებული უბნის ნომინირების საფუძველია 1 ტიპის ჰაბიტატი, კერძოდ:

- D1.2 ჭაობის ზედაპირი

საიტის ნომინირების საფუძველია 20 სახეობა ფრინველი, 1 სახეობა ძუძუმწოვარი და 1 სახეობა რეპტილია.

აღსანიშნავია, რომ ზურმუხტის ქსელის საიტის „ქობულეთი“, რამსარის საიტის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების საზღვრების ძირითადი ნაწილი ერთმანეთს ემთხვევა.

4 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები და მასშტაბი

4.1 მოსალოდნელი ზემოქმედების მოკლე დახასიათება

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითი და უარყოფითი. უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება პროექტის განხორციელების სპეციფიკაზე, ხანგრძლივობასა და გარემოს კომპონენტების მგრძობიანობის ხარისხზე.

წინასწარი მონაცემებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაციის გავრცელება;
- ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება;
- არსებული ლანდშაფტის სახეცვლილება;
- კუმულაციური ზემოქმედება

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- ბიოლოგიური გარემო;
- ლანდშაფტი;

- სოციალური გარემო.

საპროექტო ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

4.2 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევა ხორციელდება როგორც ავტომატურ სადგურებზე, ასევე ინდიკატორული გაზომვებით.

ქალაქ ქობულეთში და საპროექტო ტერიტორიის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ავტომატური სადგურები არ არის წარმოდგენილი, უახლოესი დასახლებული პუნქტი, სადაც გაზომვები (როგორც ინდიკატორული ასევე ავტომატურ სადგურზე) წარმოებს ქალაქი ბათუმი.


ქალაქ ქობულეთში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მსხვილი წყაროები წარმოდგენილი არაა. ატმოსფერული ჰაერის მთავარ დაბინძურებლად შეიძლება მივიჩნიოთ ქალაქის ტერიტორიაზე მოძრავი ავტოტრანსპორტი, რომელიც, ზოგადად, ერთერთი მთავარი ფაქტორია ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით.

გარდა ავტოტრანსპორტისა ქალაქ ქობულეთში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ხდება ისეთი ობიექტებიდან, როგორებიცაა:

- სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები;
- ავტომობილების ტექ. მომსახურებისა და რემონტის ობიექტები;
- კვების პროდუქტების და პურ-ფუნთუშეულის წარმოების ობიექტები;
- საწვავის შენახვა და რეალიზაციის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის საცავები და ტერმინალები, ბენზინგასამართი სადგურები;
- ლითონის ან/და მეტალო-პლასტმასის დამუშავების, ლითონების შედუღების ან/და აირული ჭრის ობიექტები;
- სამშენებლო მასალების, ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოების ობიექტები;
- ქვის სველი და მშრალი მეთოდით დამუშავების ობიექტები;
- ხის დამუშავების, ავეჯისა და ქალაქის წარმოების ობიექტები;
- სოფლის მეურნეობის (მეფრინველეობის, სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების წარმოების) ობიექტები.

მოცემული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგბადი, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშირორჟანგი და სხვა.

ილუსტრაცია 4.1. ქალაქ ქობულეთში სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რუკა - 2022 წლის საანგარიშო პერიოდი



უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ატმოსფეროში მავნე ნივთიერებებისა და ხმაურის გავრცელების მასშტაბური წყაროები წარმოდგენილი არაა. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს დამზინძურებელი ნივთიერებების გავრცელება ძირითადად დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული საავტომობილო ნაკადებიდან ხდება, რომელიც, ასევე, ხმაურის გავრცელების მთავარი წყაროა.

პროექტის განხორციელებისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწყობასთან იქნება დაკავშირებული - მიწის სამუშაოები, სატვირთოების გადაადგილება, სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების გამოყენება, ბეტონის სამუშაოების წარმოება და სხვა. თუმცა, პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის. კომპლექსის მოსაწყობად სულ საჭირო იქნება 4 წელი. ამ პერიოდის განმავლობაშია მოსალოდნელი ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, რაც გამოხატული იქნება ფონური მდგომარეობის მცირედით გაუარესებაში და მიმდებარე ტერიტორიებზე ხმაურის დონის მატებაში.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი საშუალო მნიშვნელობის იქნება.

4.3 ნიადაგზე და გრუნტზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელება ზემოქმედებას იქონიებს ნიადაგსა და გრუნტზე. საინჟინრო ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობების საძირკვლებისთვის საჭირო ქვაბულების მოწყობის პერიოდში საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და გრუნტი.

დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა

განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება განხორციელდება სათანადო პირობების დაცვით, საპროექტო ტერიტორიაზე (ან მიმდებარედ) გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა მოხდება იმგვარად რომ ნაყარი, დაცული იყოს წარეცხვისაგან წყალამრიდი არხების მოწყობით. დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული იქნება კომპლექსისთვის შერჩეული ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისთვის.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით, გეგმარებით არეალში არსებულ ნიადაგზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება საშუალო ხარისხის იქნება.

4.4 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედება

გარემოს კომპონენტებიდან, დაგეგმილი სამუშაოების მიმართ ერთერთი ყველაზე მგრძობიარე რევეპტორი წყლის გარემოა, რადგან საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს შავ ზღვასთან (90მ.), ხოლო ტერიტორიაზე გრუნტის წყლების მიწის ზედაპირთან შედარებით ახლოსაა (წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებით არსებული ზედაპირიდან 3.0-3.5 მ-ის სიღრმეებზე).

წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება უკავშირდებოდეს სამშენებლო სამუშაოების არასწორ წარმართვას, დაუდევრობას, სამშენებლო სტანდარტების დარღვევას, ტექნიკის გამართულობის უგულებელყოფას, ნარჩენების არასათანადო მართვას და სხვა. აღნიშნულმა არასათანადოდ მართულმა პროცესებმა შეიძლება გამოიწვიოს წყლის გარემოს დაზიანება. დაზიანების რისკები მაღალია უშუალოდ მოსაშენებელი სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ეტაპებზე დაგეგმილი სამუშაოების წარმართოს მკაცრი კონტროლისა და სტანდარტების დაცვის ქვეშ.

საპროექტო საცხოვრებელი კომპლექსის ფუნქციონირების ეტაპზე წყლის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები მინიმალურია. პროექტი ითვალისწინებს შესაბამისი საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, რომელიც ქალაქ ქობულეთის არსებულ ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემას დაუკავშირდება.

მე-5 პარაგრაფში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება საშუალო მნიშვნელობის იქნება.

4.5 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული კულტურული ხე-მცენარეების ნაწილი და ბუჩქოვანი საფარი მოჭრას ექვემდებარება, რაც მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას გულისხმობს. თუმცა, გდგ-ს კონცეფციის მიხედვით, ტერიტორიის განაშენიანება ითვალისწინებს სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარეებით გამწვანებას, რაც საკომპენსაციო ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს.

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შემფოთებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია შეადგენს ქალაქ ქობულეთის ურბანულ ნაწილს, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.6 დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიებიდან, საპროექტო ტერიტორიასთან უახლოეს მანძილში (პირდაპირი მანძილი 3.51 კმ.) ქობულეთის დაცული ტერიტორიები მდებარეობს. დაშორების გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას (ეკოსისტემების დაზიანება, მთლიანობის დარღვევა და ა.შ), არ იქონიებს.

4.7 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. ნარჩენების წარმოქმნა ასევე მოსალოდნელია ტერიტორიის სამშენებლოს მომზადების პერიოდში, რადგან ამჟამად ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის ნარჩენები ფიქსირდება. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია ცხრილში 4.1.

ცხრილი 4.1. ინფორმაცია კონცეფციით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ³.

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათოობის მახასიათებელი
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ხე-ტყის დამუშავებისას, ქალაქის, მუყაოს, სამერქუნე მასალის, პანელებისა და ავეჯის წარმოებისას - ჯგუფის კოდი 03				
03 01 ნარჩენები ხე-ტყის მასალის დამუშავებიდან და პანელებისა და ავეჯის წარმოებიდან				
03 01 05	ნახერხი, ბურბუშელა, ნათალი, ხე-ტყის მასალა, ფანერები და შპონები,	არა	მყარი	-

³ შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №426 დადგენილების მიხედვით

	რომლებიც არ არის ნახსენები 03 01 04			
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15				
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)				
15 01 01	ქალაქისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 01 06	ნარევი შესაფუთი მასალა	არა	მყარი	-
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14-ეკოტოქსიკური
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც არ არის ნახსენები სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 16				
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებით	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H14-ეკოტოქსიკური
16 02 წუნდებულ/მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები და მისი ნაწილები				
16 02 14	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 13-მდე პუნქტებში	არა	მყარი	-
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან) - ჯგუფის კოდი 17				
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)				
17 04 07	შერეული ლითონები	არა	მყარი	-
17 05 ნიადაგი (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაბინძურებული ადგილებიდან), ქვები და გრუნტი				
17 05 04	ნიადაგი და ქვები, რომლებიც არ გვხვდება 17 05 03 პუნქტში	არა	მყარი	-
17 05 06	გრუნტი, რომელიც არ გვხვდება 17 05 05 პუნქტში	არა	მყარი	-
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები				
17 06 04	საიზოლაციო მასალები, რომლებსაც არ ვხვდებით 17 06 01 და 17 06 03	არა	მყარი	-

მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფის კოდი 20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)				
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-

შენიშვნა: ცხრილში მოცემული ნარჩენების სახეობები შესაძლოა შეიცვალოს უშუალოდ საქმიანობის განხორციელებისას.

ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენის სათანადო მართვას საჭიროებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი გარემოს დაზიანება. ნარჩენების არასწორმა მართვამ შეიძლება დააზიანოს გარემოს სხვადასხვა კომპონენტები. სამუშაოების წარმართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით (ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებების შემცირების/შერბილების ღონისძიებები მოცემულია ანგარიშის მე-5 თავში).

ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავება“. კომპლექსის ფუნქციონირებისას ტერიტორიას მოემსახურება აღნიშნული სამსახური, ხოლო პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებელია შემდეგი მართისთვის ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავებას“ გადაეცეს, ან ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიასთან.

წარმოქმნილი მუნიციპალური, ან მსგავსი შემადგენლობის ნარჩენების განთავსება განხორციელდება ოზურგეთის ან ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე⁴. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს, ან 2024 წლის დასაწყისში ექსპლუატაციაში შევა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურის ტერიტორიაზეა განთავსებული და მოემსახურება აჭარის რეგიონს.

პროექტის განხორციელების პერიოდში წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება სპეციალურ, სამშენებლო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებში. კონტეინერების ტრანსპორტირება და დაცლა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 21-ე მუხლის 51 პუნქტის თანახმად ინერტული ნარჩენები, რომლებიც გამოსადეგია ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, შესაძლებელია არ განთავსდეს ნაგავსაყრელზე, თუ ისინი, სახელმწიფო ან

⁴ ამჟამად ა(ა)იპ „ქობულეთის სანდასუფთავება“ შეგროვებულ ნარჩენებს ოზურგეთის ან ბათუმის მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ათავსებს, რადგან ქობულეთის მუნიციპალიტეტს მუნიციპალური ნაგავსაყრელი არ გააჩნია.

მუნიციპალიტეტის ორგანოსთან შეთანხმებით, ამოვსებითი ოპერაციებისთვის ან პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. აღნიშნული მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კომპლექსის მოწყობის პერიოდში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიიდან გასატანი იქნება ინერტული ნარჩენები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება შესაბამისი მოცულობისა და რაოდენობის კონტეინერები, რომელსაც მოემსახურება შესაბამისი კონტრაქტორი პირი/კომპანია.

ნარჩენების სათანადო მართვის და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.8 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში არსებობს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავარიული სიტუაციებითა და სამუშაო პირობების დარღვევით. ტექნიკა-დანადგარების არასწორმა მართვამ, მძიმე სამუშაოებმა, სიმძლავრე მუშაობის დროს უსაფრთხოების უზღუდელყოფამ, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე მუშაობამ და სხვ. შესაძლებელია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა. პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მძიმე შედეგებითაც დამთავრდეს.

სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ სამუშაო ზონებში უნდა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა. პერსონალის უსაფრთხოება რეგლამენტირებული უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებით, სამშენებლო ნორმებით და წესებით. სამუშაოების წარმოებისას მშენებელი კომპანიის მიერ დანიშნული/მოწვეული უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას.

კომპლექსის მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების პირობები და სამშენებლო სამუშაოების წარმოება უნდა წარმართოს უსაფრთხოების მკაცრი დაცვით.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა/გათვალისწინების შემთხვევაში, ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პირდაპირი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

4.9 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედება გულისხმობს ისეთ ზემოქმედებას. რომელიც გამომდინარეობს თანმიმდევრული, მზარდი, ან/და კომბინირებული ქმედებების, პროექტის, პროგრამის ან საქმიანობის შედეგად (ერთობლივად „ქმედებები“) რომლებიც ემატება სხვა არსებულ, დაგეგმილ, ან/და გონივრულად მოსალოდნელ სამომავლო ქმედებებს.

ქალაქი ქობულეთში ამჟამად არ მიმდინარეობს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები, თუმცა ბოლო წლების ტენდენციების მიხედვით სასტუმროს და საცხოვრებელი ტიპის ინფრასტრუქტურის ძირითადი ნაწილი სანაპირო ზოლის სიახლოვეს ხორციელდება. ამჟამად გეგმარებითი ერთეულის სიახლოვეს სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებზე მიმდინარეობს გდგ-ს შემუშავება, რომლებიც მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. წინამდებარე კონცეფციის განხორციელება კუმულაციურ ზემოქმედება იქონიებს სხვა მსგავსი პროექტების ერთობლივად განხორციელების პერიოდში.

კუმულაციური ზემოქმედების ხარისხის მაქსიმალურად შემცირებისთვის აუცილებელია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს გარემოსდაცვითი სტანდარტების, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

5 მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილების/აღმოფხვრის ღონისძიებები

5.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები

- სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოებში გამოყენებული ტრანსპორტი და ტექნიკა-დანადგარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების ნორმებს, რისთვისაც სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა;
- ურბანულ ზონაში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გადაადგილების ოპტიმალური სიჩქარე და უსაფრთხოების ნორმები;
- ხმაურის გავრცელების პრევენციის მიზნით, მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო გრაფიკი. მოსახლეობის მხრიდან პროტესტის შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების განმარტაციულ გეგმებში უნდა უზრუნველყოს ხმაურის გავრცელების საწინააღმდეგო დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- მნიშვნელოვანი მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში;
- ქარიან ამინდში უნდა შეიზღუდოს მტვერწარმომქმნელი და მიწის სამუშაოების შესრულება (მიწის სამუშაოებისას, ქვაბულის მოწყობისას);
- სამშენებლო მასალების დამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული დამუშავების სველი მეთოდი;
- ფხვიერი მასალის ტრანსპორტირების შემთხვევაში სატვირთო მანქანის ძარა უნდა გადაიფაროს შესაბამისი მასალით;
- სამშენებლო მასალების შესყიდვა/ტრანსპორტირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სიახლოვის პრინციპი;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ჩართული ძრავით მანქანების უქმად გაჩერება და უქმად გადაადგილება;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენების დაწვის ფაქტები;
- პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე.

5.2 ზედაპირულ წლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- ქვაბულების დამუშავებისას, მას შემდეგ რაც სიღრმე მიაღწევს გრუნტის წყლების დგომის დონეს, გრუნტის წყლების ამოტუმბვა უნდა განხორციელდეს სპეციალური ტუმბოების საშუალებით. ამოტუმბული წყალი უნდა დაგროვდეს სალექარში, და გაწმენდილი წყალი ჩაეშვეს სანიაღვრე სისტემაში.
- გრუნტის წყლების გამწმენდ სალექარებში წარმოქმნილი ლამის და გაწმენდილი წყლის მართვის საკითხები უნდა შეთანხმდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან.
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ადგილზე მომუშავე ტექნიკისა და დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა გამართული ფუნქციონირებისა და ჟონვის რისკების დასადგენად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებული წყლის (საკანალიზაციო, ნარეხი და სხვადასხვა დამბინძურებლებით დაბინძურებული წყლების) ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტში;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ადგილზე ტექნიკის და დანადგარების რემონტი/ტექნიკური მომსახურება. მსგავსი ოპერაციებისთვის უპირატესია საპროექტო არეალის გარეთ მდებარე კერძო/კომერციულ ტექნოლოგიების ობიექტები;
- საპროექტო ტერიტორია აღჭურვილი უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების ინვენტარით. ასევე დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი ავარიულ დაღვრებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს და აიკრძალოს საპროექტო ტერიტორიაზე საწვავ-საპოხი მასალების დასაწყობება;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ბეტონშემრეველების ადგილზე და ზღვის სიახლოვეს გარეცხვის ფაქტები. აღნიშნულთან დაკავშირებით წინასწარ უნდა ეცნობოს ბეტონის მასალის მომმარაგებელ კომპანიას;
- ტერიტორიაზე შემოტანილი მასალები დასაწყობდება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეროზიული პროცესები;
- საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებს. ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები განთავსდება იმგვარად, რომ დაცული იყოს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებისაგან;
- უმჯობესია ტერიტორიაზე განთავსდეს გადახურული ტიპის კონტეინერები, რათა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების დროს ნარჩენები გარემოში არ გავრცელდეს;

5.3 ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- საპროექტო ტერიტორიიდან მოხსნილი ნიადაგის მართვა უნდა განხორციელდეს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

- ზეთებისა და საწვავის ავარიული დაღვრის შემთხვევაში უნდა გატარდეს დაღვრაზე რეაგირების ღონისძიებები. დაბინძურებული ფენა უნდა მოიხსნას დაუყოვნებლივ და რემედიაციისათვის გადაეცეს შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაო ზონაში მანქანების შეკეთება/ტექნიკური მომსახურება და/ან საწვავით გამართვა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს გეგმარებითი ობიექტის გარეთ არსებულ კომერციულ პუნქტებს;
- ყველა სახის წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა იყოს დაცული სამუშაო ზონა და სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები მოქმედებდეს აღნიშნულ ზონაში;
- მუდმივად უნდა გაკონტროლდეს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების გამართულობა;
- მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი ნორმებისა და წესების მიხედვით. მუდმივად უნდა გაკონტროლდეს ნაყოფიერი ნიადაგის არამიზნობრივი გამოყენების ფაქტები;

5.4 ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მკაცრად უნდა იყოს დაცული საპროექტო საზღვრები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სახეობების ბინადრობისთვის/ზუღობისთვის აუცილებელი ჰაბიტატების მთლიანობა;
- სამუშაოების პერიოდში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების შესაბამისად;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გადაადგილებისათვის დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის ფაქტები;
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ბრაკონიერობის ფაქტები;
- უნდა გაკონტროლდეს ისეთი სახის აქტივობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ხანძრები, წყლის ან ნიადაგის დაბინძურება;
- დაცული უნდა იყოს ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტი და შერჩეული იყოს მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარეები ცხოველებზე უშუალო ზემოქმედების ალბათობის (დაჯახება) შესამცირებლად;
- ისეთი სამუშაოები, რაც იწვევს ცხოველების ზედმეტად შეშფოთებას, შესაძლებლობების მიხედვით უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მოკლე ვადებში;
- სამუშაოებში დასაქმებულ პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- სამშენებლო ტერიტორიაზე ქვეწარმავლების ან/და ამფიბიების არსებობის შემთხვევაში მოხდება მათი გაყვანა ხელსაყრელ და უსაფრთხო ადგილებში
- გათვალისწინებული უნდა იყოს ხმაურის გავრცელების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების პრევენციული ღონისძიებები;

- ფრინველთა შეჯახებების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდირებულია მაღალი შენობების ფანჯრებზე ეტიკეტების გამოყენება (მოკლევადიანი პერსპექტივით, სანამ შეეგუება ფრინველი ახალ გარემოს და ადგილს და თვითონ გაერიდება მას)
- გასათვალისწინებელია სეზონები, შეჯახებების კუთხით სენსიტიურია გაზაფხული-შემოდგომის მიგრაციები, შესაბამისად აღნიშნულ პერიოდებში მაქსიმალურად უნდა იქნას უსაფრთხოების ნორმები დაცული.
- ასევე რეკომენდირებულია შენობებზე, შესაბამისი ღამის განათებების დაყენება რათა აღქმადი იყოს შენობების სიმაღლეები და ზომები;

5.5 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;
- ტერიტორიიდან მოხსნილი მცენარეული საფარის მართვა უნდა განხორციელდეს შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე;
- საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების წარმოებისას უნდა განთავსდეს შესაბამისი რაოდენობისა და ზომის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის კონტეინერები. სახიფათო ნარჩენების კონტეინერები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ დაცული იყოს ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან;
- ნარჩენებისთვის განთავსებისთვის განკუთვნილი კონტეინერებისათვის უნდა შეირჩეს ისეთი ადგილები, რომლებიც ადვილი მისადგომი იქნება, როგორც დასაქმებული პერსონალისთვის, ასევე ნარჩენების შემგროვებელი სატრანსპორტო საშუალებისთვის;
- ნარჩენების გარემოში გავრცელების პრევენციის მიზნით, კონტეინერების შევსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი და აუცილებლობის შემთხვევაში მათი დაცლა განხორციელდეს დროულად;
- სამშენებლო ნარჩენების განთავსებისთვის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს შესაბამისი მასალის და მოცულობის კონტეინერები, სადაც მხოლოდ სამშენებლო ნარჩენების განთავსება მოხდება;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული სუფთა მასალების დაბინძურების ფაქტები, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- შესაძლებლობის შემთხვევაში მშენებელმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოფს წინასწარ ფორმირებული პროდუქციის შექმნა, რაც შეამცირებს სხვადასხვა სახის ნარჩენების წარმოქმნას;
- მასალების შემოტანასა და განთავსებაზე უნდა იწარმოოს მონიტორინგი, ასევე მკაცრად გაკონტროლდეს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის საკითხები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს არასასურველი ნარჩენების წარმოქმნისა და მათი არასათანადო მართვის ფაქტებს;
- წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვისთვის უნდა გადაეცეს ამ საქმიანობაზე შესაბამისი ნებართვის და/ან რეგისტრაციის მქონე პირს/კომპანიას. არასახიფათო ნარჩენები შესაძლოა გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ დასუფთავების სამსახურს, ან სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდეს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირთან.

- დასაქმებულ უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ტრენინგები ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

5.6 სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები

- საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა აწარმოო ერთგვარი ჟურნალი, სადაც მოსახლეობის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და საჩივრები იქნება ასახული;
- საჩივრების შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელმა კომპანიამ დაუყოვნებლივ უნდა გაატაროს პრობლემის გადაჭრის ან უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ზომები.

5.7 ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები

- მომუშავე პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- სამშენებლო მასალების, მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას, საჭიროა დაცული იყოს ქარხანა-დამამზადებლისა და მომწოდებელი ორგანიზაციის ინსტრუქციით გათვალისწინებული ექსპლუატაციის და გამოყენების პირობები;
- აგრეთვე, შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიერ ჩამოყალიბებული პროდუქციის ხარისხის მართვის სისტემა ISO 9000 და მისი შემდგომი მოდიფიკაციები;
- გამოყენების წინ ინსტრუმენტი უნდა დათვალიერდეს რეგულარულად. ინსტრუმენტის ხმარებისას გამოყენებული უნდა იყოს დამცავი საშუალებები (სათვალები, ხელთათმანები, სპეცტანსაცმელი და სხვ.). ელექტროინსტრუმენტებს უნდა ქონდეს საფარი, რომელიც იცავს მოძრავ ნაწილებს როგორც მუშაობის, ასევე შენახვის დროს.
- სამშენებლო ობიექტზე მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობებით.
- სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ დასაქმებულმა პერსონალმა დაიცვას შინაგანაწესით განსაზღვრული შრომის დაცვის მოთხოვნები.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს უცხო და არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დაშვება სამშენებლო ტერიტორიაზე;
- ამინდის მკვეთრი გაუარესების დროს (ქარიშხალი, შტორმი, უხვი ნალექი და სხვ.) სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შეწყვიტოს სამშენებლო პროცესების წარმოება.
- მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ტვირთების და მასალის გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან ჩამოყრის ფაქტები;
- მშენებლობის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული სტანდარტები და ნორმატიული აქტები.

6 დასკვნები

საპროექტო ტერიტორიაზე ფაუნისტური სახეობების, განსაკუთრებით ხელფრთიანების საბინადრო ადგილის ნიშნები (ნაკვალევი, ბუდეები და ბუნაგები) არ იკვეთება. საპროექტო ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შესაძლოა ყოველდღიური რუტინული გადაადგილებისას და საკვების მოპოვების პერიოდში მოხვდეს, თუმცა მათზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ხმაურით გამოწვეულ ზეგავლენას, რაც სახეობის დროებით, უმნიშვნელო, შემფოთებას გამოიწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საპროექტო ტერიტორია ქობულეთის ურბანულ ნაწილში მდებარეობს, რაც ფაუნის ბევრის სახეობისთვის არახელსაყრელ საბინადრო გარემოს ქმნის.

პროექტის განხორციელებისას ზემოქმედება მოსალოდნელია ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ბიოლოგიური გარემოს რეცეპტორებზე. თუმცა ზემოქმედების მასშტაბი არ იქნება დიდი და პროექტის განხორციელება გარემოს კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით/შეუქცევად ზემოქმედებას არ იქონიებს;

პროექტის განხორციელებისას, საპროექტო ტერიტორიიდან მოსაჭრელი ხე-მცენარეების და ბუჩქების ნაცვლად დაირგვება სხვადასხვა სახეობის მცენარეულობა, რაც მცენარეულს საფარზე უარყოფითი ზემოქმედებას საგრძნობლად შეამცირებს;

პროექტის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიიდან მოსახსნელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. დეტალური პროექტირებისას, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე შეფასდება ტერიტორიიდან მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, რომლის მართვა განხორციელდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ან სიახლოვეს. უახლოესი დაცული ტერიტორია ქობულეთის დაცული ტერიტორიებია, რომლებიც საპროექტო ტერიტორიიდან 3.51 კმ-ით არის დაშორებული. მანძილის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაცულ ტერიტორიებზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი), დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება. გეგმარებით ერთეული არაა განთავსებული ჭარბტენიან ტერიტორიაზე;

თავისი სპეციფიკის, მასშტაბისა და მდებარეობიდან გამომდინარე ობიექტის ექსპლუატაცია არ გამოიწვევს ტრანსსასაზღვრო უარყოფითი ზემოქმედება.

საპროექტო ტერიტორიასთან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი შავი ზღვაა. ხოლო წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებით გრუნტის წყლების გამოვლენა მოსალოდნელია 3-3.5 მეტრის სიღრმეზე. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით არსებობს წყლის გარემოს დაბინძურების რისკები, თუმცა სამუშაოების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებით

წარმართვის შემთხვევაში, წყლის გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების რისკები მნიშვნელოვნად შემცირდება;

პროექტის განხორციელების პერიოდში მოსალოდნელია სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნას. სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, შესაფუთი მასალების და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმების საფუძველზე;

განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება არა უგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრისა, რა პერიოდშიც მოსალოდნელია გარემოს ფონური მდგომარეობის მცირედი ცვლილება. თუმცა გეგმარებითი ობიექტის მასშტაბის გათვალისწინებით, განსახორციელებელი სამუშაოები გარემოს კომპონენტებზე შეუქცევად და მუდმივ უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს;

გარემოზე მოსალოდნელი პირდაპირი და არაპირდაპირი უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირებისთვის, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშის მე-5 თავში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების მკაცრი დაცვა;

სამშენებლო სამუშაოებში ჩართული პერსონალის და ახლომდებარე მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის მკაცრად უნდა იყოს დაცული „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.


დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე რისკებთან დაკავშირებული არ იქნება და სწორი გარემოსდაცვითი მართვის პირობებში, სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, განაშენიანების დეტალური გეგმის განხორციელება გარემოზე, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას არ იქონიებს.

გიორგი ზაზაძე

ეკოლოგიის ბაკალავრი



ქ. ქობულეთში 10 სართულიანი
საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი
უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები



1. შესავალი

შ.პ.ს. „ინვესტი“-ს დაკვეთით 2021 წლის იანვარში შ.პ.ს. „TUSKI GEOLOGY GROUP“-ის მიერ ჩატარდა, ქ. ქობულეთში 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს შეადგენდა სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა და საპროექტო შენობის დაფუძნების პირობების დადგენა.

მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის სნ და № 1.02.07-87 მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა კონკრეტული უბნისათვის – მუშა პროექტის (სამუშაო დოკუმენტაცია) სტადიისათვის, შემდეგი მოცულობით:

1. მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, გაიბურდა 4 ჭაბურღილი – 20,0 მ სიღრმით თითოეული. შესრულებული ბურღვითი სამუშაოების მთლიანი მოცულობა შეადგენს 80,0 გრძივ მეტრს. ბურღვა მიმდინარეობდა თვითმავალი საბურღი დაზვით ურბ 2ა2, მექანიკური სვეტური ბურღვის მეთოდით, მოკლე რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, დიამეტრით 114 მმ-მდე. ბურღვის პროცესში მიმდინარეობდა გაბურღული გრუნტების ვიზუალური აღწერა და დაკვირვება გრუნტის წყლების დონეებზე.

2. ბურღვის პროცესში, ჭაბურღილების კერნიდან აღებულია უბანზე გავრცელებული გრუნტების დაურღვეველი სტრუქტურის 2 ნიმუში და დარღვეული სტრუქტურის 2 ნიმუში მათი ლაბორატორიული გამოცდისათვის. ნიმუშების აღების სიღრმეები მოცემულია გრაფიკულ დანართში – ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე.

საგამოკვლევო ჭაბურღილები გეოლოგის მიერ დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპო გეგმაზე.

გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „ TUSKI GEOLOGY GROUP“-ისთან არსებულ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გრუნტის გამოცდების შედეგები თან ერთვის წინამდებარე დასკვნას.

2. სამუშაოს წარმოების რაიონის ბუნებრივი პირობები

სამშენებლო უბანი მდებარეობს ქ. ქობულეთის სამხრეთ ნაწილში, აღმოსავლეთიდან იგი შემოსაზღვრული აღმამშენებლის გამზირით, ხოლო დასავლეთიდან თამარ მეფის ქუჩით. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან საცხოვრებელი სახლებით;

კლიმატური პირობების მიხედვით ტერიტორია იმყოფება საშუალოდ თბილ და ტენიანი კლიმატის ზონაში, საკმაო რაოდენობის ნალექებით წლის ყოველ სეზონში, და ტერიტორია მეტი ნაწილი ცხელი ზაფხულით ხასიათდება. მცენარეთა ვეგეტაცია არ ჩერდება ზამთარშიც. ტერიტორია შედის ჭარბტენიან ქვეზონაში, კარგად გამოხატული წლის განმავლობაში ქარებით ზღვიდან და ნალექების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულში და შემოდგომაზე.

ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მონაცემები მოცემული რაიონის კლიმატური პირობების შესახებ („სამშენებლო კლიმატოლოგია“- პნ 01-05-08):

- 1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა –9,0⁰ C;
- 2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა..... + 40⁰ C;
- 3. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში) 78%;

4. ნალექების რაოდენობა წელიწადში 1650 მმ;
5. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა..... +11,8⁰ C;
6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში 235 მმ;
7. თოვლის საფარის წონა 0,5 კპა;
8. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:
 - 5 წელიწადში ერთხელ 0,48 კპა;
 - 20 წელიწადში ერთხელ 0,60 კპა;
9. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი:
 - წელიწადში ერთხელ 25 მ/წმ;
 - 5 წელიწადში ერთხელ 28 მ/წმ;
 - 10 წელიწადში ერთხელ 30 მ/წმ;
 - 20 წელიწადში ერთხელ 32 მ/წმ;
10. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0 სმ.

3. საკვლევი ტერიტორიის გეოტექნიკური პირობები

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად.

ჩატარებული საკვლევი სამუშაოების მონაცემების მიხედვით შედგენილია საგამოკვლევო ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლო უბნის გრძივი და განივი გეოლოგიური ჭრილები, რომლებიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნას.

როგორც წარმოდგენილი გეოლოგიური ჭრილიდან და ჭაბურღილის სვეტებიდან ჩანს, სამშენებლო უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ალუვიურ-ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი, ხრეშოვანი და თიხოვანი გრუნტები:

ფენა 1-ის ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტი: თიხნარი ტორფის ჩანართებით, ქვიშნარი, ხრეში, სამშენებლო ნარჩენები. სიმძლავრე 2.0-5.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში ჭრილის ზედა ინტერვალებში.

ფენა 2-ის ხრეში, ქვიშის შემავსებლით 25%-მდე. სიმძლავრე 4.5-8.5 მ-ის ფარგლებშია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 2.0-10.5 მ-ის ინტერვალებში.

ფენა 3-ის ქვიშნარი, მყარი, მუქი ნაცრისფერი, 2-3 სმ სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის შუაშრებით. სიმძლავრე ჩვენს მიერ შესწავლილ სიღრმემდე 9.5-11.0 მ-ია და გადაკვეთილია ჭაბურღილებში 9.0-20.0 მ-ის ინტერვალებში (დაძიებული).

უბნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: გრუნტის წყლები ჭაბურღილებში გამოვლინდა 3.0-3.5 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ბურღვის პოცესში მისი დონე შეიცვალა და დამყარდა 2.0-2.5 მ-ის სიღრმეზე.

ჩატარებული საკვლევი სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით სამშენებლო უბნის ამგები გრუნტების ფენებში გამოიყოფა 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სვე):

I სვე – ხრეში (ფენა 2);

II სვე – ქვიშნარი (ფენა 3);

ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) შენობის ფუძედ არ გამოდგება, მშენებლობის პროცესში ეს ფენა მოიხსნება და შესაბამისად სვე-დ არ განიხილება.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისათვის გამოყოფილი უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. ვინაიდან უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწვერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა) არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სამშენებლო მოედანი სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო).

2. უბნის ამგები გრუნტების ფენაში გამოიყოფა 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სვე):

I სვე – ფენა 2;

II სვე – ფენა 3.

ფენა 1-ის (ტექნოგენური გრუნტი) ნაგებობის ფუძედ არ გამოდგება, მოსახსნელია და სვე-დ არ განიხილება.

3. ფუძე საძირკვლების ანგარიშებისათვის ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია სამივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტების (სვე) საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტის სნ და წ 2.02.01-83 დანართი 1-ის ცხრილი 1 და 2; დანართი 3-ის ცხრილი 1; 2 და 3; და საცნობარო ლიტერატურის („დამპროექტებლის საანგარიშო თეორიული ცნობარი“) გამოყენებით:

№	გრუნტის მახასიათებლები	I სგე ფენა 2;	II სგე ფენა 3	
1	ხვედრითი შეჭიდულობა, C _{კაა} ;	ნორმატიული მნიშვნელობა C ⁿ	0,5	18
		II ზღვრული მნიშვნელობა, C _{II}	0,5	18
		I ზღვრული მნიშვნელობა, C _I	0,3	12
2	შიგა ხახუნისკუთხე ფბრად.	ნორმატიული მნიშვნელობა φ ⁿ	45	28
		II ზღვრული მნიშვნელობა, φ _{II}	45	28
		I ზღვრული მნიშვნელობა, φ _I	41	24
3	სიმკვრივე P ⁿ გ/სმ ³	2,1	1,99	
4	დეფორმაციის მოდული, E მპა	50	37	
5	საანგარიშო წინაღობა, R ₀ კპა	500	300	
6	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ ³	5,0	3,0	

შენიშვნა: 1. ხვედრითი შეჭიდულობისა და შიგა ხახუნის კუთხის ნორმატიულ მნიშვნელობად II სგე-ს გრუნტებისათვის აღებულია ლაბორატორიულად განსაზღვრული გამოცდიდან საშუალო მნიშვნელობები.
2. სიმტკიცის მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია სნ და № 2.02.01-83 §2.16 მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ხელოვნური გრუნტის მიღების შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას კარგი წყალგამტარი გრუნტები (ხრეში, ღორღი). უნდა მოხდეს მისი ფენობრივი დატკეპნა 20-30 სმ სიმძლავრის ფენებად. ხელოვნური გრუნტის ბაღის ფენობრივი დატკეპნის დროს აუცილებელია ყოველი დატკეპნილი ფენის დატკეპნის კოეფიციენტის განსაზღვრა.

5. ქვაბულის ამოღების შემთხვევაში საჭირო გახდება ქვაბულიდან წყალქვევითი სამუშაოების ჩატარება. წყლის საორიენტაციო შემოდინება ქვაბულის ყოველ კვადრატულ მეტრზე, მიღებული იქნას 0,02 ლ/წმ, რაც დაზუსტდება ამოტუმბვის პროცესში.

6. ქვაბულის ფერდობის მაქსიმალური დასაშვები დახრა მიღებული იქნას სნ და № 3.02.01-87-ის §3.11; 3.12; 3.15 და სნ და № III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა მიხედვით.

7. ქვაბულის ამოღების დროს ადგილი ექნება მექანიკურ სუფოზიას, ქვიშის ნაწილაკების გამოტანას წყალთან ერთად, ამიტომ რომ არ მოხდეს გვერდითი შენობების საძირკვლების დაზიანება, საჭირო იქნება ქვაბულის გვერდითი კედლების გამაგრება სპეციალური „შპუნტებით“.

8. ჩვენი რეკომენდაციით ქვაბულის ამოღების დროს ჭრილის დაზუსტება მოხდეს გეოლოგის თანდასწრებით.

9. გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზის თანახმად იგი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს ნებისმიერი მარკის წყალშეუღწევადი ბეტონების მიმართ.

10. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით ქ. ქობულეთი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას (სნ და № „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.09).


სეისმური თვისებების მიხედვით, უბნის ამგები გრუნტებიდან ცხრილი 1-ის მიხედვით ფენა 2-ისა და ფენა 3-ის ქვიშოვანი გრუნტები მიეკუთვნებიან III კატეგორიას, აქედან გამომდინარე უბნის სეისმურობა განისაზღვროს 8 ბალით.

11. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სამშენებლო ნორმები და წესები IV-2-82-ის ცხრილი 1 თანახმად მიეკუთვნებიან:

– ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) და ხრეში (ფენა 2) – ყველა სახის დამუშავებისას – III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1950 კგ/მ³ (ვუთანაბრებთ რიგითი №6 „ვ“);

– ქვიშოვანი გრუნტები (ფენა 3) – ყველა სახის დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1650 კგ/მ³ (ვუთანაბრებთ რიგითი №34 „პ“);

შ.პ.ს. „TUSKI GEOLOGY GROUP“-ის
დირექტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი




გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ტ. ტუსკია

					3.5		<p>სრეში საშუალო ფრაქციის, ქვიშის შემავსებლით 25%-მდე</p>
2	10,5	-8.34	8,5			<p>ქვიშნარი პლასტიკური, მუქი ნაცრისფერი, მცირე სიმკვარის თიხის შუაშრები. წყალგაწებული.</p> <p>ქვიშნარი პლასტიკური, მუქი ნაცრისფერი, მცირე სიმკვარის თიხის შუაშრები. წყალგაწებული.</p>	
	20.0	-17.84	9.5				

ჭრილი 1-2 ხაზზე


მ-ბი: 1:200



პანელი №	⊕ კვ. №1	კვ. №2 ⊕
მიწის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნული მ-ში	2.98	2.51
მანძილი პანელიებს შორის მ-ში	30,00	

ჭრილი 3-2 ხაზზე


მ-ბი: 1:200



პანელიზის ნომერი	⊕ კაბ. №3	კაბ. №2 ⊕
მიწის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნული მ-შ	2.30	2.16
მანძილი პანელიზებს შორის მ-შ	23,00	

ჭრილი 4-1 ხაზზე

მ-ბი: 1:200



პანელიზის ნომერი	⊕ კაბ. №4	კაბ. №1 ⊕
მიწის ზედაპირის აბსოლუტური ნიშნული მ-შ	2.16	2.98
მანძილი პანელიზებს შორის მ-შ	21,00	

დ. ქობულეთში აოსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის
გამოყოფილ უბანზე აღებული ბრუნტაჰის ლაბორატორიული გამოკვლევის

შ ე ღ მ ბ ე ბ ი

დასაპროექტებელი ობიექტის უბანზე გაყვანილი 4 ჭაბურღილიდან (ჭაბ. №№1-2-3-4), $h=5,5-17,5$ მ სიღრმის ინტერვალში, აღებული და ლაბორატორიაში გამოსაკვლევეად ჩაბარებული იქნა დარღვეული სტრუქტურის გრუნტის 2 ნიმუში, დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 2 ნიმუში და გრუნტის წყლის 1 სინჯი.

დავალების თანახმად, უნდა განსაზღვრულიყო გრუნტების ფიზიკური, დეფორმაციული, სიმტკიცის მახასიათებლები და უნდა ჩატარებულიყო გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი.

შესაბამისად შედგენილი იქნა სამუშაოების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ გამოკვლევებს:

ა) გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების (გრანულომეტრული შემადგენლობა, სიმკვრივე, ტენიანობა, ფორიანობა და ა.შ.) – 4 განსაზღვრა;

ბ) გრუნტების კომპრესიული გამოცდა – 2 გამოკვლევა (ბუნებრივ მდგომარეობაში);

გ) გრუნტების ძვრაზე გამოცდა – 2 გამოკვლევა (ბუნებრივ მდგომარეობაში);

დ) გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი – 1 გამოკვლევა.

ცდებით მიღებული მნიშვნელობები მოცემულია გრაფიკებზე (იხ. გრ.№№1-4) და შეჯამებულია კრებსით ცხრილში „გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები“.

I. ბრუნტაჰის ფიზიკური მახასიათებლები

ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების მიხედვით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

გამოკვლეული 4 ნიმუშიდან:

2 ნიმუში განისაზღვრა, როგორც ხრეში

2 ნიმუში განისაზღვრა, როგორც ქვიშნარი, პლასტიკურობის რიცხვით $I_p=0,02-0,05$.

გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების სიდიდეების მნიშვნელობები იხ. ცხრ. №1-ში.

ბრუნტაჰის ფიზიკური მახასიათებლები			ბანსონომეტრა	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული)	
				ქვიშნარი	ქვიშნარი	
1	კლასტიკურობა	ზედა ზღვარი	W_L	-	0,23-0,24	0,24
		ქვედა ზღვარი	W_p		0,21-0,22	0,22
		რიცხვი	I_p		0,02	0,02
2	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	21,8-23,1	22,5	
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	კ/სმ ³	1,94-2,03	1,99
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,59-1,65	1,62
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,69	2,69
4	ფორიანობა	n	%	38,7-40,8	39,75	
5	ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0,631-0,689	0,660	
6	ტენიანობის ხარისხი	I_L	-	0,40-0,55	0,48	
	ტენიანობის ხარისხი	S_r	-	0,85-0,98	0,92	

კონსისტენციის მაჩვენებლის მიხედვით ქვიშნარები - პლასტიკური კონსისტენციისაა ($I_L=0,40-0,55$).

ტენიანობის ხარისხის მიხედვით, გრუნტი სრულად წყალგაჯერებულია – $S_r>0,80$.

II. ბრუნტაჰის დეფორმაციული მახასიათებლები

დეფორმაციული მახასიათებლები განისაზღვრა 2 ნიმუშზე. კომპრესიული გამოცდა ჩატარდა ქვიშნარზე. კომპრესიული გამოცდები ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე $P=0,5$ კგ/სმ² საფეხურებრივად დატვირთვებით, $P=4,0$ კგ/სმ² დატვირთვამდე, ბუნებრივ მდგომარეობაში. კომპრესიული გამოცდების შედეგები მოცემულია გრაფიკებზე №№1-4.

ძირითადი დეფორმაციული მახასიათებლები მოცემულია №2 ცხრილში.

ცხრ. №2

ბრუნტი	კუმშვადობის კოეფიციენტი $\alpha 10^{-5} \text{კპა}^{-1}$ (P=0.2 მპა-ზე)		ჯდენის მოდული 1_pმპა/მ (P=0.3 მპა-ზე)		ბრუნტის კუმშვადობა		დეფორმაციის სპარტიო მოდული E მპა (კპა/სმ ²) (P=0.2 მპა-ზე)	
	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო	α მიხედვით	1_p მიხედვით	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო
ქვიშნარი	0.010-0.013	0,012	35-37	36	მომეტაბული	მომეტაბული	33,3-40,8 (333-408)	37 (370)

III. ბრუნტების სიმტკიცის მახასიათებლები

სიმტკიცის მახასიათებლები განისაზღვრა 2 ნიმუშზე. გამოცდა ჩატარდა ქვიშნარზე. ბრუნტის ძვრზე გამოცდები ჩატარდა P=0.1-0.2-0.3 მპა (1.0-2.0-3.0 კგძ/სმ²) ვერტიკალურ დატვირთვებზე, ბუნებრივ მდგომარეობაში. შედეგები მოცემულია გრაფიკებზე №№5-8

სიმტკიცის მახასიათებლების სიდიდეების მნიშვნელობები მოცემულია №3 ცხრილში.

ცხრ. №3

ბრუნტი	φ°		c კპა (კგძ/სმ ²)	
	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო	მერყეობის დიაპაზონი	საშუალო
ქვიშნარი	27-28	28	17-18 (0,17-0,18)	18 (0,18)

IV. ბრუნტის წყლის ჰიმიური ანალიზი

ბრუნტის წყლის I სინჯზე ჩატარდა ჰიმიური ანალიზი. ანალიზის შედეგები მოყვანილია შესაბამის ცხრილში და მოცემულია დასკვნა წყლის ჰემოქმედებაზე დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონისა და არმატურის მიმართ.

იონური შემადგენლობის მიხედვით, სულფატურ აგრესიულობასთან მიმართებაში, გამოკვლეული წყალი არააგრესიულია ყველა - W₄-W₆-W₈ წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონების მიმართ.

Cl⁻ იონის მანვენებლის მიხედვით არმატურის მიმართ:

- ა) არააგრესიულია წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;
- ბ) სუსტად აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

შ.პ.ს. „TUSKI GEOLOGY GROUP“-ის დირექტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



სოციოლოგიური კვლევის ანალიზი

თარიღი: 04.07.2023 წ.

ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№73-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის, ინტერეს ჯგუფების მოსაზრებისა და რეკომენდაციების შეწოვა-შეჯერება.

ამოცანა: შემდეგი საკითხების განსაზღვრა

1. მოსახლეობის ინფორმირებულობის განსაზღვრა.
2. მოსახლეობის დამოკიდებულების და შეფასების განსაზღვრა ახალ მშენებლობასთან დაკავშირებით.
3. მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ცვალებადობის განსაზღვრა ინვესტიციის ფონზე.
4. ზეგავლენა სოციალურ ინფრასტრუქტურაზე

კვლევის ჩატარების საფუძველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის №ბ114. 114231242 ბრძანება „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

გენერალური ერთობლიობა: ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№73-ში და მის მიმდებარე მცხოვრები მოსახლეობის და საზოგადოების გამოკითხვა.


მეთოდოლოგია: ანალიტიკური, რაოდენობრივი კვლევა.

გამოკითხვის მეთოდოლოგია: კორელაციური ანალიზი. ანონიმური გამოკითხვა ანკეტის მიხედვით.

გამოკითხვის მისამართი: ქალაქი ბათუმი, დავით აღმაშენებლის გამზირი.

ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო **50 რესპოდენტმა**. კვლევა მოიცავდა ყველა ასაკობრივ დიაპაზონს გარდა თვრამეტ წელს მიღწეული მოქალაქეებისა. სტატისტიკურად კვლევაში მონაწილე მოქალაქეების ასაკობრივი ჯგუფები შემდეგნაირად გადანაწილდა (დიაგრამა N1):

- 18-25 წელი - 6 რესპოდენტი - 12 %
- 26-35 წელი - 10 რესპოდენტი - 20 %
- 36-45 წელი - 20 რესპოდენტი - 40 %
- 46-64 წელი - 11 რესპოდენტი - 22 %
- 64 + წელი - 3 რესპოდენტი - 6 %



ასევე ფართო იყო გამოკითხულთა **განათლების დიაპაზონი:**

უმაღლესი განათლება - 28 რესპოდენტი.

სტუდენტი - 2 რესპოდენტი.

საშუალო - 20 რესპოდენტი.


რესპოდენტთა სქესი გადანაწილდა შემდეგი პარამეტრებით:

მამრობითი - 32 რესპოდენტი.

მდედრობითი - 18 რესპოდენტი.


კვლევამ მოიცვა ყველა ასაკობრივი, გენდერული და სოციალური ჯგუფი, რომლებსაც განსხვავებული სოციალური ინტერესები და მოთხოვნილებები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა კვლევის ჩატარების დიაპაზონში (კვლევა მიმდინარეობდა სამშენებლო მიწის ნაკვეთების მიმდებარე) თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ აქტუალურ საკითხად. მშენებლობის მიმართ საზოგადოების ინტერესი და მოლოდინი მაღალია. 50 გამოკითხულიდან 45 რესპოდენტს აქვს ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. დაგეგმილ მშენებლობაზე ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო რესპოდენტებისთვის იყვნენ მეზობლები, ახლობლები, თავად ინვესტორი ან საინფორმაციო დაფა. დაბალია იმ რესპოდენტთა(5) რაოდენობა რომლებსაც არ აქვთ ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. (დიაგრამა N2)



ინფორმირებულობის საკითხის შეჯამებისას შეიძლება ითქვას - ინფორმაციის საჯაროობისა და გახსნილობიდან გამომდინარე მოსახლეობის ინტერესი მაღალია.

გამოკითხულთა უმრავლესობას მოსწონს აღნიშნულ უბანში ცხოვრება, მათთვის აქ ხელსაყრელი და კომფორტული გარემოა, თვლიან რომ მათი საცხოვრებელი გარემო და დასახლების იერსახე ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ინვესტიციებიდან გამომდინარე საგრძნობლად გაუმჯობესდა, აღნიშნულ უბანში თანამედროვე შენობები და საზოგადოებრივი ობიექტები აშენდა თუმცა საკმაოდ დარჩა ძველი, გასული საუკუნის სამოციან წლებში და უფრო ადრეულ პერიოდში აშენებული, თანამედროვე ტენდენციებთან სრულიად შეუსაბამო იერსახის ნაგებობები, აქვე აღნიშნავენ, რომ საინვესტიციო ინტერესი აღნიშნული და მიმდებარე ტერიტორიების მიმართ საგრძნობლად გაზრდილია, უკვე განხორციელებულმა ინვესტიციებმა კი აღნიშნული უბანი ბევრად მიმზიდველი და ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი გახადა. 48 გამოკითხული ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს დადებითად აფასებს, რადგან საცხოვრებელი უბანი გახდა ბევრად პრესტიჟული, გაიზარდა საბინაო ფონდი, გაჩნდა დამატებითი სამუშაო ადგილები, სეზონური ტურიზმის შემოსავლები გაიზარდა, ამ ყველაფერმა დადებითი ეფექტი იქონია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე, აქედან გამომდინარე კითხვაზე - **როგორ აფასებთ თქვენს უბანში ახალი მრავალბინიანი პრესტიჟული საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას**, დადებით შეფასება მისცა 48 რესპოდენტმა, თუმცა გამოკითხულთაგან 2 რესპოდენტი უარყოფითად აფასებს უბანში ახალი დიდ მშენებლობას.



ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N71 მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორია გახადოს უფრო პრესტიჟული, გაზარდოს საბინაო ფონდი, შეიქმნას უკეთესი საინვესტიციო გარემო და გაჩნდეს მეტი სამუშაო ადგილი ამ ყველაფრით გაუმჯობესდეს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

50 გამოკითხულიდან 48 მიესალმება ახალ მშენებლობას რადგან:

(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

- ა) ახალი მშენებლობა ხელს შეუწყობს უბნის, გამზირის კონკრეტული მონაკვეთის განვითარებას და დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ ინფრასტრუქტურაზე - 45 რესპოდენტი;
- ბ) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები - 41 რესპოდენტი;
- გ) ტერიტორიაზე დასახლება და გახდება მაღალი სტანდარტის - 44 რესპოდენტი;
- დ) ტერიტორია გახდება უფრო პრესტიჟული - 47 რესპოდენტი;
- ე) ტერიტორია უფრო მიმზიდველი გახდება სამომავლო ინვესტიციებისათვის - 47 რესპოდენტი.

რესპოდენტთა ის ნაწილი, რომელიც ეწინააღმდეგება ახალი საცხოვრებლის მშენებლობას თვლიან, რომ:

(კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის მონიშვნა)

- ა) ახალი მშენებლობები არ მოუხდება აღნიშნულ ტერიტორიას - 1 რესპოდენტი;
- ბ) მიმდებარე ტერიტორიაზე გაუარესდება საცხოვრებელი პირობები - 1 რესპოდენტი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის აშენების მოწინააღმდეგე რესპოდენტების ძირითადი განწყობა პასუხებიდან გამომდინარე უფრო ზოგადი ხასიათის იყო და ძირითადად აფიქსირებდნენ პოზიციას, რომ ქობულეთს არ უხდება მაღალი კორპუსები და მალე ქალაქი ძალიან გადაიტვირთება მაცხოვრებლებით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტები, რომლებიც უარყოფითად აფასებენ მომავალ მშენებლობას საერთო გამოკითხულთა 4%-ს შეადგენს.

კვლევამ ცხადყო, რომ მრავალბინიანი კომპლექსის აშენების შემდგომ უბნის განვითარების დადებითი დინამიკა გარდაუვალია.

კვლევის თანახმად მოსახლეობის რეკომენდაციები და სურვილებია:

1. ყურადღება მიექცეს მშენებლობის ვადებში დასრულებას.
2. აქტიურ სამშენებლო სამუშაოებში ჩართული იყოს და დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.
3. მაქსიმალურად დაცული იყოს უსაფრთხოების ყველა ნორმა.
4. ინვესტორებმა ზოგადად იზრუნოს მიმდებარე ტერიტორიების განვითარებაზე.

კვლევა ცხადყოფს, რომ დაგეგმილი მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. აღმაშენებლის ქუჩის ურბანული ნაწილის მოსახლეობაში, მოქალაქეთა უმრავლესობა მიესალმება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას და კონკრეტულ ტერიტორიებზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსებას, რაც შემდგომში გაზრდის ტერიტორიის პრესტიჟს, განავითარებს მუნიციპალურ სერვისებს, შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის მეტ სამუშაო ადგილს, ტერიტორიას უფრო მიმზიდველს გახდის საინვესტიციოდ, გაზრდის საბინაო ფონდს როგორც ქალაქში, ასევე კონკრეტულ უბანში რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პირობებზე. სამშენებლო ტერიტორიაზე არსებობს მოძველებული, გასულ საუკუნეში აშენებული ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი სამ სართულიანი კერძო სახლის სახით, რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში (ექსპერტის დასკვნის საფუძველზე) და მიუხედავად გამაგრებითი სამუშაოებისა საბოლოო ჯამში რჩება ავარიულ ნაგებობად და დაექვემდებარება დემონტაჟს. სამშენებლო ნაკვეთის მიმდებარედ მარჯვენა მხრიდან მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ხოლო მარცხნივ ცარიელი კერძო ტერიტორია ნაგებობების გარეშე. სამშენებლო ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა მისი ავარიულობის გათვალისწინების გარეშეც და მხოლოდ ვიზუალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ მიმდებარედ მიმდინარეობს თანამედროვე კორპუსის მშენებლობა საერთოდ არ ჯდება უბნის ვიზუალურ იერსახეში და სრულებით შეუსაბამოა იმ თანამედროვე ინფრასტრუქტურის ფონზე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე აშენდა, ახალი საცხოვრებელი სახლი კი ჩაანაცვლებს ყველაფერ ამას და გასული საუკუნის ავარიული ინფრასტრუქტურის ნაცვლად მივიღებთ თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით აშენებულ, მიმზიდველ შენობას, რაც რადიკალურად შეცვლის უბნის ვიზუალურ მხარეს და უბანი გახდება ბევრად უფრო პრესტიჟული და მიმზიდველი ვიდრე ის დღესაა.

შეადგინა:



სოციოლოგი

ლაშა მიქელაძე

ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№73-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და ამ მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირთა საჯარო შეხვედრის - განხილვის

ოქმი N1

ჩატარების თარიღი: 06.07.2023 წ.

ჩატარების დრო: 14:00სთ.

ჩატარების ადგილი: ქალაქი ქობულეთი.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების პროცესში მოხდა ინვესტორის, გდგ-ს კონცეფციის შემდგენელი ჯგუფის, დაინტერესებული მხარეების - საზოგადოების და სოციოლოგის საჯარო შეხვედრა და დისკუსია, რაზედაც შედგა წინამდებარე ოქმი.

განსახილველი თემა: ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№73-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და ამ მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება

საფუძველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 04 მაისის #ბ114. 114231242 ბრძანება „ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.04.114; ს.კ. 20.42.04.581; 20.42.04.607 და ს.კ. 20.42.04.608) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

შეხვედრას ესწრებოდა 9 მოქალაქე:

ინვესტორი/კომპანიის შპს „ვესთ დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელი ილია გულბათაშვილი;

განაშენიანების დეტალური გეგმის შემდგენელი სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი ზვიად ბურჭულაძე

საპროექტო ჯგუფის წარმომადგენელი გრიგოლ გარუჩავა

შეხვედრას თავმჯდომარეობდა სოციოლოგი ლაშა მიქელაძე.

სოციოლოგმა შეხვედრა გახსნილად გამოაცხადა და შეხვედრის დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ასევე განაცხადა, რომ შეხვედრასთან დაკავშირებით შედგებოდა ოქმი, სადაც შეტანილი იქნებოდა დამსწრე მოქალაქეების რეკომენდაციები და შენიშვნები. დამსწრე პირებს შენიშვნები არ ქონიათ და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

სოციოლოგმა დამსწრეებს გააცნო შეხვედრის მიზანი და განუმარტა, რომ საჯარო შეხვედრა და ჯგუფური დისკუსია და ამ მეთოდით გამოკითხვა სოციოლოგიაში

ანალიზის, შეწოვა-შეჯერების საუკეთესო მეთოდად მიიჩნევა, რადგან ღია დისკუსიის საშუალებით მიზნობრივი ჯგუფის საკითხისადმი დამოკიდებულების განსაზღვრის საუკეთესო საშუალებაა და საკითხის ანალიზის საფუძველს იძლევა.

შემდეგ სიტყვა მიეცა შპს „ვესთ დეველოპმენტი“-ს წარმომადგენელს, რომელსაც შეხვედრაზე წარმოდგენილი ქონდა პროექტის ესკიზი. ინვესტორმა დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ სამშენებლო ტერიტორიაზე არსებობს გასული საუკუნის ინფრასტრუქტურა, სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლის სახით, რომელიც არის ავარიულ მდგომარეობაში, რაზედაც არსებობს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ექსპერტის დასკვნა. სამშენებლო ტერიტორიის გვერდით რამდენიმე მეტრის მოშორებით უკვე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ დროისათვის სამშენებლო ნაკვეთზე მდებარეობს ავარიული კერძო სახლი, რომლის დემონტაჟიც მოხდება და ამ ყველაფრის მაგივრად აშენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საუკეთესო არქიტექტურული დაგეგმარებითა და თანამედროვე სტანდარტებით. შენობა იქნება სულ 12 სართულიანი, ერთი სართული იქნება მიწისქვეშა და განკუთვნილი იქნება სამანქანე პარკინგისთვის, ხოლო პირველი სართული დაეთმობა კომერციულ ფართებს, დანარჩენ სართულებზე იქნება საცხოვრებელი ბინები. მოეწეობა ზღვაზე გასასვლელი ზონა, რომლითაც ისარგებლებენ როგორც საცხოვრებელი სახლის ახალი რეზიდენტები, ისე ადგილობრივი მოსახლეობა. შენობა აშენდება თანამედროვე არქიტექტურული დაგეგმარებით. კომპანიის წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო ინვესტიციის განხორციელების ვადები, ისაუბრა პროექტის მნიშვნელობაზე, ყურადღება გაამახვილა იმ სარგებელზე, რომელსაც მოსახლეობა მიიღებს, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე მშენებლობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ. ინვესტორმა აღნიშნა რომ, პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთის განვითარებას, ავარიული და სოციალური ღირებულებისაგან დაცლილი ინფრასტრუქტურის თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებისა და სტანდარტების მქონე შენობით ჩანაცვლებას, ასევე საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას (გაიზრდება დასაქმების მაჩვენებელი და უძრავ ქონებაზე ფასი აღნიშნულ უბანში), შესაბამისად სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულის მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას, სამშენებლო სექტორის უფრო მეტად გააქტიურებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ სტაბილურობას. განვითარების შედეგად გათვალისწინებული იქნება ქალაქგეგმარებითი მოთხოვნები, გამწვანებული ადგილები, მიწისქვეშა ავტოსადგომი და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურა. მიმდინარე პროექტი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ამ მიწის ნაკვეთის განვითარებას, არამედ უბნის პრესტიჟის ამაღლებას.

განაშენიანების დეტალური გეგმის შემდგენელი ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საჭიროებს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას და ამ მიზნით რა სამართლებრივი პროცედურებია ჩასატარებელი, ისაუბრა განაშენიანების დეტალური გეგმის შემადგენლობაზე, ასპექტებზე და დაგეგმარების პრინციპებზე. ასევე განმარტა, რომ პროექტის ფარგლებში აშენდება თანამედროვე არქიტექტურული სტანდარტებისა და ღირებულების მქონე შენობა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

არქიტექტორმა პროექტის ესკიზური ვარიანტის მოშველიებით ისაუბრა დაგეგმილი საინვესტიციო პროექტის არსზე, პროექტის სართულიანობაზე, შენობების სიმაღლეზე, სამშენებლო ფართზე, მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებზე, კომერციული ფართების დანიშნულებაზე, მწვანე ზონებზე, მთლიანად პროექტის შინაარსზე და მოცულობაზე. დამსწრეებს ასევე განემარტა აღნიშნულ ინვესტიციასთან დაკავშირებით რა ქალაქდაგეგმარებითი პროცესი მიმდინარეობს და რა პროცედურებია მომავალში დარჩენილი. აქვე ხაზი გაესვა უსაფრთხოების წესების დაცვას და მშენებლობაში გამოყენებული მასალების ხარისხს და კონტროლს.

სოციოლოგმა დამსწრეებს განუმარტა, რომ მოხდებოდა მათი აზრის, პოზიციის ჩანიშვნა სამომავლოდ მათი მხედველობაში მისაღებად.

სულ შეკითხვაზე დაისვა 5 შეკითხვა:

1. მშენებლობის ვადებზე - 1 შეკითხვა.
2. ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების თაობაზე - 2 შეკითხვა.
3. უსაფრთხოების ნორმების მაქსიმალურ დაცვაზე - 2 შეკითხვა.

დამსწრე მოქალაქეების მოსაზრებით, მშენებლობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ტერიტორიის დანაგვიანებისაგან, სამშენებლო მტვრისაგან მიმდებარე ტერიტორიის დაცვას, მშენებლობისაგან გამოწვეული ხმაურის შესაბამისი ღონისძიებებით შერბილებას, მრავალბინიანი კომპლექსი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა დადგენილ წესს და ნორმას, ასევე კომპანიამ სამუშაოებისას უნდა დაიცვას უსაფრთხოების ყველა წესი, ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ისეთი საზოგადოებრივი ობიექტები, რომლებიც სამომავლოდ არ გამოიწვევენ ხმაურს. პროექტის მიმდინარეობისას ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ქონდეს დასაქმების საშუალება. მიწის ნაკვეთზე უნდა მოეწყოს მწვანე ადგილები, მიწისქვეშა პარკინგი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიას გააკეთილშობილებს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უფრო მიმზიდველს გახდის.

შეხვედრაზე დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითადაა განწყობილი პროექტის განხორციელებისადმი, რადგან ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას, როგორც ურბანულად ასევე რეკრეაციულად, ძველი ამორტიზირებული და ავარიული ნაგებობის ახალი, თანამედროვე არქიტექტურული ღირებულებების მქონე შენობით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ადგილობრივებისა და ახალი რეზიდენტებისათვის უფრო მიმზიდველი გარემოს შექმნას, მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ტერიტორიის პრესტიჟის მნიშვნელოვნად ამაღლებას, ტურისტულ სეზონზე ტურისტების მხრივ მეტი ინტერესის გამოხატვას, რაც ზოგად სოციალურ ფონს დადებითად წაადგება. დამსწრე საზოგადოება დარწმუნებულია, რომ აღნიშნული პროექტი მრავალი სიკეთის მომტანი იქნება ადგილობრივი მოსახლეობისათვის, უბანი გახდება უფრო თანამედროვე, ხოლო სამომავლოდ უმრავ ქონებაზე მოთხოვნასთან ერთად რეალიზაცია და ფასიც შესაბამისი გახდება, რაც საბოლოო ჯამში ისევ ადგილობრივ მოსახლეობაზე აისახება დადებითად.

პროექტის მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან, რომ მოცემული პროექტი მეტად მნიშვნელოვანია კონკრეტული უბნის განვითარებისათვის, უბნის საერთო სურათის აღქმის ნაწილშიც კი მომავალი ნაგებობები

ბევრად უფრო შეესაბამება რეალობას ვიდრე ის შენობები, თუ ცარიელი ტერიტორიები, რომელიც ამ კონკრეტული დროისთვისაა ადგილზე წარმოდგენილი.

საკითხების შეჯერებისა და კონსულტის მიღწევის შემდეგ სოციოლოგმა ლაშა მიქელაძემ საჯარო შეხვედრა და ჯგუფური დისკუსია დახურულად გამოაცხადა.

შეადგინა:



სოციოლოგი

ლაშა მიქელაძე

ანკეტა

ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №69-ში; №71-ში და №73-№73-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 20.42.04.823; 20.42.04.607; 20.42.04.608; 20.42.04.804) დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქალაქ ქობულეთის მაცხოვრებელთა ინტერეს ჯგუფის მოსაზრებების დაზუსტებისათვის გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა სოციოლოგიურ გამოკითხვაში.

ზოგადი ნაწილი

სახელი:

გვარი:

მისამართი:

სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

თქვენი ასაკი:

- ა) 18-25
- ბ) 26-35
- გ) 36-45
- დ) 46-64
- ე) 64 და მაღლა

განათლება:

- ა) უმაღლესი
- ბ) სტუდენტი
- გ) საშუალო

სამუშაო ადგილი:

- ა) დასაქმებული
- ბ) თვითდასაქმებული
- გ) დროებით უმუშევარი
- დ) პენსიონერი

კითხვარი

G1.1

მოგწონთ თუ არა ეს უბანი:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.2

რამდენად კომფორტული გარემოა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის ეს უბანი:

- ა) კომფორტულია
- ბ) არ არის კომფორტული
- გ) არ მიფიქრია ამაზე

G1.3

თქვენი აზრით არსებული უბნის იერსახე ბოლო 10 წლის განმავლობაში:

- ა) გაუმჯობესდა
- ბ) გაუარესდა
- გ) იგივე დარჩა

G1.4

გსმენიათ თუ არა თქვენს უბანში დაგეგმილი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შესახებ:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.5

დაასახელეთ წყარო საიდანაც გაიგეთ არსებული მშენებლობის დაწყების შესახებ:

- ა) პრესა
- ბ) ტელევიზია
- გ) ინტერნეტი
- დ) ნაცნობ-მეგობრები
- ე) საინფორმაციო დაფა
- ვ) ინვესტორი
- ზ) არ მსმენია

G1.6

როგორ აფასებთ ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას:

- ა) დადებითად
- ბ) უფრო დადებითად
- გ) უარყოფითად
- დ) უფრო უარყოფითად
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა

G1.7

მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.8

საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ვემხრობი რადგან:

- ა) ის ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას
- ბ) ის გახდება ქალაქის სავიზიტო ბარათი
- გ) შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები
- დ) ტერიტორია მჭიდროდ დასახლდება და გახდება მაღალი სტანდარტების
- ე) ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას
- ვ) ხელს შეუწყობს საბინაო ფონდის გაზრდას
- ზ) ტერიტორია უფრო მიმზიდველი გახდება სამომავლო ინვესტიციებისათვის

G1.9

ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას არ ვემხრობი რადგან:

- ა) დაამახინჯებს გარემოს იერსახეს
- ბ) არ იქნება ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისათვის

გ) გაუარესდება ტერიტორიაზე საცხოვრებელი პირობები

G1.10

თქვენი აზრით რა უნდა გაითვალისწინონ არქიტექტორებმა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისას:

- ა) დასასვენებელი ზონების მოწყობა
- ბ) საბავშვო ზონა
- გ) მწვანე ზონა
- დ) საპარკინგე ადგილები
- ე) საერთო საზოგადოებრივი ტერიტორიები
- ვ) სხვა

G1.11

ახალი მრავალბინიანი კომპლექსის აშენებით, ხედავთ თუ არა სამომავლოდ დადებით დინამიკას თქვენი ქალაქის განვითარებაში:

- ა) დიახ
- ბ) არა

G1.12

თქვენი აზრით აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი მშენებლობა:

- ა) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე
- ბ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას გარემოზე
- გ) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
- დ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას სოციალურ ინფრასტრუქტურაზე
- ე) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას საგზაო მოძრაობაზე
- ვ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას საგზაო მოძრაობაზე
- ზ) მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიებზე
- თ) არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე ტერიტორიებზე

G1.13

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა მოახდენს თუ არა გავლენას სამომავლო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით:

- ა) აუცილებლად მოახდენს
- ბ) შეიძლება მოახდინოს
- გ) ნაკლებად მოახდენს
- დ) არ მოახდენს
- ე) მიჭირს პასუხის გაცემა

G1.14

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა გაზრდის თუ არა საბინაო ფონდს კონკრეტულ უბანში?

- ა) აუცილებლად გაზრდის
- ბ) შეიძლება გაზარდოს
- გ) ნაკლებად გაზრდის
- დ) არ გაზრდის

G1.15

თქვენი აზრით ახალი მრავალბინიანი კომპლექსის მშენებლობა მოახდენს თუ არა დადებით გავლენას კონკრეტულ უბანში მაცხოვრებელთა სოციალურ მდგომარეობაზე:

- ა) მოახდენს, რადგან შეიქმნება მეტი სამუშაო ადგილი სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა
- ბ) მოახდენს, რადგან გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო
- გ) მოახდენს, რადგან გაიზრდება საბინაო ფონდი
- დ) არ მოახდენს არავითარ შემთხვევაში

G1.16

თქვენი აზრით ქალაქში უნდა აშენდეს თუ არა მსგავსი ტიპის პროექტები:

- ა) დიახ, რადგან ეს ქალაქს დაეხმარება განვითარებაში
- ბ) დიახ, რადგან ქალაქში გაიზრდება საბინაო ფონდი
- გ) დიახ, რადგან ეს ხელს შეუწყობს ქალაქის და რეგიონის ეკონომიკას
- დ) არა, რადგან ეს ქალაქს არ დაეხმარება განვითარებაში
- ე) არა, რადგან საბინაო ფონდის გაზრდა გამოიწვევს ქალაქის გადატვირთვას
- ვ) არა, რადგან ქალაქის და რეგიონის ეკონომიკა არ არის დამოკიდებული მშენებლობაზე

ინტერვიუერი -

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კვლევა

ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირის N69, N71-ში და 73-75-ში საკვლევ საამშენებლო ობიექტის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: 20.42.04.823, 20.42.04.607, 20.42.04.608, 20.42.04.804) დაგეგმილია მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა 115 ბინაზე. დღევანდელი მოცემულობით როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქ. ქობულეთში ავტომანქანების მატების ტენდენცია კვლავ გრძელდება, შესაბამისად მრავალბინიანი, მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის პირობებში აუცილებელია ავტომფლობელი მაცხოვრებლებისათვის გათვალისწინებული იქნეს საპარკინგე სივრცის მოწყობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ავტომანქანების სიმრავლემ, საკვლევ ობიექტის მიმდებარე ქუჩებზე გამოიწვიოს ავტომანქანების ნაკადების მოძრაობის შეფერხება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს საკვლევ ობიექტს გააჩნდეს ინდივიდუალური მიწისქვეშა და/ან მიწისზედა ავტოპარკინგები. სტატისტიკური მონაცემებით საშუალოდ ქ. ქობულეთის სინამდვილეში მობინადრეთა 20–25 პროცენტი წარმოადგენს ავტომფლობელს, შესაბამისად მოცემულ ობიექტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 23 ერთეული საპარკინგე ადგილი. საკვლევ ობიექტის პროექტით გათვალისწინებულია ობიექტის ეზოში 5 ერთეული საპარკინგე ადგილის მოწყობა, ხოლო მიწისქვეშა დახურულ სივრცეში 25 ავტოსადგომის მოწყობა, სულ განთავსდება 30 ავტომობილი. ასევე დ. აღმაშენებლის გამზირის მიმდებარედ და მეგობრობის ქუჩაზე, საკვლევ ობიექტთან, მოწყობილია საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, რაც სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

სადგომებზე ავტომანქანების განლაგებისა და მოძრაობის სქემა პროექტში მკაფიოდ არის წარმოდგენილი, აღნიშნული სქემა საჭიროების შემთხვევაში ასევე ხელსაყრელია სასწრაფო სამედიცინო და სახანძრო-სამაშველო ბრიგადების შეუფერხებელი მანევრისათვის.

პროექტის თანახმად, საკვლევ ობიექტის გეგმარებითი ერთეული მოიცავს არეალს, რომელიც მდებარეობს დ. აღმაშენებლის გამზირის და თამარ მეფის სანაპიროს შორის (ს.კ.20.42.04.507-დან 20.42.04.549-მდე). აღნიშნული კვარტალი არ წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ უბანს. მასში ძირითადად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ერთი მრავალბინიანი სახლი და მიმდინარეობს ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. თითოეულ ობიექტს გააჩნია ინდივიდუალური საპარკინგე სივრცეები, გამომდინარე აქედან მოცემული კვარტალი მისი ფართობისა და მიმდებარე ქუჩების ავტოტრანსპორტის გამტარიანობის შესაძლებლობის გათვალისწინებით ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სატრანსპორტო ქსელთან მიმართებით. საამშენებლო ობიექტის გასწვრივ, ჩრდილოეთის მხარეს პროექტით გათვალისწინებულია გასასვლელის მოწყობა, რომელიც დააკავშირებს დ. აღმაშენებლის გამზირს თამარ მეფის სანაპიროსთან. მისი სავალი

ნაწილის სიგანე იქნება 6 მეტრი, სადაც ასევე შესაძლებელი იქნება ზემოთაღნიშნული 5 ერთეული ავტოსადგომის მოწყობა. ობიექტის ავტოსადგომებზე ავტომობილების შესვლა–გამოსვლის მანევრის შესრულება გათვალისწინებულია დ. აღმაშენებლის გამზირის მხრიდან. ობიექტის ეზოში განთავსებულ ავტოსადგომზე და მიწისქვეშა საპარკინგე სივრცეში შესასვლელად ავტომობილი გადაკვეთს 2,45 მეტრი სიგანის საფეხმავლო ტროტუარს, რომელიც მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. აღნიშნულ ტროტუარს აქტიურად იყენებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ტურისტები და დამსვენებლები, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, შესაბამისად მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით საჭიროა მკაცრი საგზაო რეგულაციების დაწესება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონი N 1830–რს. 24.12.2013 წ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“, კერძოდ, შესასვლელებთან დასამონტაჟებელია შესაბამისი საგზაო გამაფრთხილებელი და მიმთითებელი ნიშნები, როგორც ქვეითად მოსიარულეთათვის, ასევე მძღოლებისათვისაც. ტროტუარზე ასასვლელი საჭიროა ჩაიჭრას 6 და 4,2 მეტრის სიგრძეზე სავალი ნაწილის გასწვრივ და მოხდეს მისი ადაპტაცია ავტომობილების უსაფრთხო და კომფორტული მანევრის შესრულების უზრუნველსაყოფად. დ. აღმაშენებლის გამზირი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის გზას (E-70), იგი გათვალისწინებულია ორმხრივი მოძრაობისათვის, დაშვებულია ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა. მისი სავალი ნაწილის სიგანე ჩრდილოეთის მიმართულებით შეადგენს 8,3 მეტრს, ხოლო საპირისპირო მიმართულებით 15,0 მეტრს. სავალი ნაწილი ასფალტირებულია, აღჭურვილია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. ზაფხულის საკურორტო სეზონის პირობებში დ. აღმაშენებლის გამზირზე განსაკუთრებით მატულობს საავტომობილო ნაკადების მოძრაობა და საშუალოდ საათში გადაადგილდება 2000-2500 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. საკვლევ ობიექტის გასწვრივ არსებული საფეხმავლო ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, მისი სიგანე შეადგენს 2,45 მეტრს, ტროტუარსა და სავალ ნაწილს შორის 1,0 მეტრის სიგანის გამწვანების ზოლია მოწყობილი. სავალი ნაწილის საპირისპირო მხარეს ასევე მოწესრიგებულია საფეხმავლო ტროტუარი, 1,7 მეტრის სიგანეზე მოწყობილია გამწვანების ზოლი, ხოლო 3,05 მეტრის სიგანის საფეხმავლო ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით.

გეგმარებითი ერთეულის სამხრეთით, მეგობრობის ქუჩიდან თამარ მეფის სანაპირომდე მოწყობილია ე.წ. „გასასვლელი“, რომლის სიგანე შეადგენს 4,9 მეტრს. იგი განკუთვნილია საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისათვის. ის მოკირწყლულია ქვაფენილით. „გასასვლელის“ ცალ მხარეს მოწყობილია საფეხმავლო ტროტუარი 1,1 მეტრის სიგანეზე და მოწესრიგებულია დეკორატიული ფილებით. დ. აღმაშენებლის გამზირის გაგრძელებას სამხრეთის მიმართულებით წარმოადგენს მეგობრობის ქუჩა. იგი არის საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა. მისი სავალი ნაწილის სიგანე შეადგენს 8,6 მეტრს (საფეხფურთო სტადიონის მონაკვეთში), ის არის ორმხრივი მოძრაობის, ასფალტირებული, მოწესრიგებული საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. ასევე გზის გასწვრივ მონიშნულია საერთო სარგებლობის ავტოსადგომი, სიგანით 2.8 მეტრი. საფეხმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 6,4 მეტრს,

მათ შორის 3,2 მეტრის სიგანეზე მოწყობილია გაზონი, საფეხმავლო ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით.

საკვლევ ობიექტს დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება თამარ მეფის სანაპირო. თამარ მეფის სანაპირო წარმოადგენს საერთო სარგებლობის, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. მისი სავალი ნაწილის საგანე შეადგენს 5,45 მეტრს, ის არის ორმხრივი მოძრაობის, მოკირწყლულია ქვაფენილით და მოწერიგებულია საგზაო ნიშნებით. საფეხმავლო ტროტუარის სიგანე შეადგენს 1,65 მეტრს. იგი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით. ტროტუარის გასწვრივ მოწყობილია გაზონი, რომლის სიგანე შეადგენს 2,1 მეტრს.

საკვლევ ობიექტის ავტომობილებსათვის უახლოესი ავტოსამართი სადგური (ლუკოილი) მდებარეობს ქ. ქობულეთის გასასვლელში, ბათუმის მიმართულებით საქალაქთაშორისო მნიშვნელობის გზაზე (E70) და მანძილი შეადგენს 1,2 კმ-ს, რომლის დასაფარად ავტომობილს დაჭირდება 3 წთ.

საკვლევ ობიექტთან უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია დ. აღმაშენებლის გამზირზე და მანძილი შეადგენს 100 მეტრს, მის დაფარვას ქვეითად მოსიარულე შეძლებს 2 წთ-ში. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასრულებს რეგულარულ რეისებს ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურიდან ზ. ჟვანიას ხიდამდე. ინტერვალი შეადგენს 30 წთ-ს.

ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგური და ავტოსადგური განთავსებულია ერთ ლოკაციაზე და საკვლევ ობიექტიდან მანძილი შეადგენს 0,9 კმ-ს, ავტომობილით მის დასაფარად საჭირო დრო შეადგენს 1 წთ-ს, ხოლო ქვეითად მოსიარულეთათვის 10 წთ-ს.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით სატრანსპორტო მოძრაობის სქემა არ იცვლება.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ მოცემულ საკვლევ ობიექტზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის განხორციელება (ყველა ზემოთაღნიშნული რეკომენდაციის შესრულების გათვალისწინებით), ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას არსებულ საერთო სარგებლობის საგზაო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებაზე.

საავტომობილო ტრანსპორტის

ინჟინერ-მექანიკოსი
06.07.2023 წ.



ბიძინა ბიბილეიშვილი



CV

სახელი:	ბიძინა
გვარი:	ბიბილეიშვილი
დაბადების თარიღი:	02.07.1960
მისამართი:	ქ. ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ. №9, ბ. 42
ტელეფონი:	577 16 33 88; 577 00 85 85
ელ-ფოსტა:	bidzina.bi@gmail.com
განათლება:	უმაღლესი

სპეციალობა/კვალიფიკაცია: ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა;
ინჟინერ-მექანიკოსი;
(დიპლომის რეკვიზიტები: JIP №050025; 26.09. 1983;
სარეგისტრაციო №19963; დიპლომის გამცემი
ორგანიზაცია: საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკური ინსტიტუტი)

უცხო ენა: რუსული (თავისუფლად), ინგლისური (საშუალოდ)
**კომპიუტერული უნარ-
ჩვევები:** Word, Excel, Powerpoint

სამუშაო გამოცდილება: 2021.02 -დან დღემდე - შპს „ბათუმის
ავტოტრანსპორტი“ - დირექტორის მოადგილე
2020.12 – 2021.02 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
2017.07 – 2020.12 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

დირექტორის მოადგილე

2017.05 – 2017. 07 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2015.01-2017.05 - შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ -

პროექტებისა და ორგანიზაციული განვითარების

მენეჯერი

2013.03-2013.06 - შპს „ბიოპოლუსი“ - მთავარი

ინჟინერი;

2009.10- 2013.03 - შპს „ბიოპოლუსი“ - სპირტის

საამქროს უფროსი;

2007. 08 – 2009.10 - შპს „ბათფარმა“ - ახალი ტექნიკისა

და ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი;

ანტიბიოტიკების საამქროს უფროსი;

საამპულე საამქროს უფროსი;

1993.13.09 - 2005.18.10 - კერძო სექტორი;

1992.12.09-1993.13.09 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება „ავტოტრანსმომარაგება“ -

მომარაგების ინჟინერი;

1989.05.04-1992.01.06 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების პირველი კატეგორიის ინჟინერი;

1986.17.02-1989.05.04 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების უფროსი ინჟინერი;

1985.01.07-1986.17.02 - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - შრომისა და ხელფასის

განყოფილების ინჟინერი;

1983-1985- საბჭოთა არმიის რიგები თადარიგის

ოფიცერი;

1983 (10.10- 31.10) - აჭარის ავტოსატრანსპორტო

საწარმოო გაერთანება - ინჟინერ-კონსტრუქტორი;

1979.25.10-1983.11.10 - ავტოკოლონა 2659 -

ელექტრიკოსის მოსწავლე (მოიპოვა ელექტრიკოსის

პირველი თანრიგი);

1979 (11.09-16.10) - ბათუმის მანქანათმშენებლობის

ქარხნის მექანიკური საამქრო - ხარატის მოსწავლე;

1977. 03.10-1979.18.07 - მშრომელთა დეპუტატების

ბათუმის საქალაქო საბჭოს ტექნიკური

ინვენტარიზაციის ბიურო - ტექნიკური

ინვენტარიზაციის №3 ბრიგადის ტექნიკოსი;

1975 (01.07-01.09) - ბათუმის ავტოტექმომსახურება -

ელექტრიკოსის მოსწავლე;

მიღწევები და ჯილდოები:

2015 წელი - ეროვნული სერტიფიკატი „წლის სპეციალისტი 2015“; მოპოვებულია სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის, პირადი წვლილისთვის შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში, ამოცანების გადაჭრის დროს რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისთვის;

2008 წელი - სიგელი „ბათფარმის გამომგონებელი“
მოპოვებულია ნომინაციაში გამარჯვებისთვის;

2007 წელი - შპს „ბათფარმას“ სიგელი: „2007 წლის საუკეთესო გამომგონებელი“, მოპოვებულია რამოდენიმე გამოგონების ავტორობის საფუძველზე;
მოწმობა „რაციონალიზატორული წინადადების ავტორი“ (მოწმობა №32; 01.06.1987); დაინერგა ქალაქ ბათუმის საქალაქო ავტობუსებში;

დამატებითი ცნობები:

ავტორი ავტობუსების საწარმოში თვითდაფინანსებაზე მომუშავე საიჯარო ბრიგადის შესახებ პროექტისა, რომელიც წარმატებულად დაინერგა ბათუმის საქალაქო ტრანსპორტში (1987).

ოჯახური მდგომარეობა:

დაოჯახებული.

მეუღლე - მარინე გურგენიძე არის ექიმი, განათლების დოქტორი; მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად;

შვილები:

ლია ბიბილეიშვილი - არის პიანისტი -შემსრულებელი;
გივი ბიბილეიშვილი - არის პროგრამისტი; მუშაობს კაშა ბანკში; არის დაოჯახებული.

თარიღი: 27.01.2021

დიპლომი

ЛВ № 050025

ეს დიპლომი მიეცა ბიძინა
იურისძე ბიბილაძე
მასზე, რომ იგი 1977 წელს შევიდა
საქართველოს დიდი ინჟინერების
სკოლის ინჟინერობის
და 1983 წელს დაამთავრა ინჟინერობის
ინსტიტუტი

სრული კურსი სპეციალობით ავტომობილები
და საავტომობილო მეურნეობა

სახელმწიფო საგანმანათლებლო კომისიის 1983 წ.
„მ“ ინჟინერების განაწესებით
ბ. ბიბილაძე ინიციალურად
შეაქვას

სახელმწიფო საგანმანათლებლო
კომისიის თავმჯდომარე
გ. ბერიძე

Грузинский яз.

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1983 წ. „26“ IX

სარეგისტრაციო № 19963

ДИПЛОМ

ЛВ № 050025

Настоящий диплом выдан Бибиладзе
Вили Бигзиче Юрьевичу
в том, что он в 1977 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1983 году окончил полный курс

названного
института
по специальности автомобили
и автомобильное
хозяйство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „2“ июля 1983 г.
Бибиладзе Вили Ю. Ю.
присвоена квалификация инженера

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Г. Берица

М. П.

Город Тбилиси „26“ IX 1983 г.

Регистрационный № 19963

Московская типография Гознака. 1983.

გიორგი ზაზაძე

მის: თბილისი, ქინძმარაულის შეს.

კორპ. 7, ბ. 14 ელ-ფოსტა:

zazadzegio@outlook.com

მობილური: 598506013

განათლება

მაგისტრატურა - 2020 წლიდან დღემდე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი - გეოგრაფიის მაგისტრის ხარისხი

ბაკალავრიატი: 2015 -2019 წწ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის, კომპიუტინგის და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტი - ეკოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

სამუშაო გამოცდილება

პერიოდი	ადგილმდებარეობა	პოზიცია	პროექტის დასახელება
2022	საქართველო	ეკოლოგი	შპს „არქეოსი“, ქ. ბათუმში, ადლიის ქუჩა N155 და N155 ა-ში არსებული მიწის ნაკვეთების (ს. კ. 05.32.03.009 და 05.32.17.010) განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში
2022	საქართველო	ეკოლოგი	შპს „გრინკო“, ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის ქუჩა N21-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.22.12.029) განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის ანგარიში
2022	საქართველო	ეკოლოგი	შპს „ჯორჯიან პეტ პლასტ მენეჯმენტი“-ს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება
2022	საქართველო	ეკოლოგი	შპს „კავკას მეტალი“-ს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება
2020-2021	საქართველო	ეკოლოგი	უცხოური საწარმოს ფილიალი „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“-ს E117 მაგისტრალის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება

2020	საქართველო	ეკოლოგი	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების და მართვის მექანიზმების შემუშავების პროექტის გარემოსდაცვითი კვლევების განხორციელება
2019 –2020	საქართველო	ეკოლოგი	დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტის შემუშავება
2019-2020	საქართველო	ეკოლოგი	ვარკეთილის III მასივის, სივრცით-ტერიტორიული განვითარების პროექტის გარემოსდაცვითი შეფასება
2019	საქართველო	ეკოლოგი	ქ. თბილისში, მტკვრის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების დიზაინის კონცეფციის გარემოსდაცვითი შეფასება
2018	საქართველო	ეკოლოგი	თბილისი-რუსთავი ავტომაგისტრალის PK5+840 - PK 6+640 მონაკვეთის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა
2018	საქართველო	ეკოლოგი	მუხიანის დასახლებაში მდებარე, ყოფილი რადიოქარხნის შენობების და ტერიტორიის გარემოსდაცვითი კვლევა
2017 – 2018	საქართველო	ეკოლოგი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების პროექტის გარემოსდაცვითი კვლევების განხორციელება

2017 – 2018	საქართველო	ეკოლოგი	კურორტ გომისმთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი გარემოსდაცვითი კვლევების განხორციელება
2017 – 2018	საქართველო	ეკოლოგი	სოფ. მუხრანის სივრცითი განვითარების პროექტის გარემოსდაცვითი კვლევების განხორციელება
2017-2018	საქართველო	ეკოლოგი	შპს „სტარკ მეტალს“-ის ტყვის მეორადი აკუმულატორების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

დამატებითი კურსები

2020 წლის 24 თებერვალი - 2 მარტი გარემოსდაცვითი მმართველის სასწავლო კურსი

2016 წლის 16-23 მარტი - ინტენსიური სასწავლო კურსი : „ სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების, გამოყენების და შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“

უცხო ენები

ქართული (მშობლიური), ინგლისური (საშუალო),

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint



საქართველო
 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს საპატრიარქოს
 წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ბაკალავრის დიპლომი

SANGU B № 000459

ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს
 2019 წლის 12 ივლისის №4-02/10 გადაწყვეტილებით
გიორგი ზაზაძეს
 (პირადი № 05001012400)
 მიენიჭა ეკოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი

Georgia
 Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity - Saint Andrew the First-Called
 Georgian University of the Patriarchate of Georgia

BACHELOR'S DIPLOMA

SANGU B № 000459

By decision № 4-02/10
 of the Council of the School of Business, Computing and Social Sciences
 on July 12, 2019
Giorgi Zazadze
 (Personal № 05001012400)
 was awarded the Degree of Bachelor of Ecology



დეკანი
 Dean
 რექტორი
 Rector

დეკან ქისტაური /
 Levan Kistauri /
 სერგო ვარდოსანიძე /
 Sergo Vardosanidze /

თბილისი
 Tbilisi

29.01.2020
 რიცხვი/Day, თვე/Month, წელი/Year

სარეგისტრაციო № 021/294
 Registration

სერტიფიკატი

EIEC/00416

გარემოსდაცვითი მმართველი ბიორგი ზაზაძე

სერტიფიკატი ადასტურებს, რომ მსმენელმა
წარმატებით გაიარა სასწავლო კურსი
24 თებერვალი - 2 მარტი, 2020 წ.

თამარ ალადაშვილი
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი





საკვალიფიკაციო სერტიფიკატი

მიეცა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი ზაზაძეს, პირადი ნომერი 05001012400, მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა ინტენსიური სასწავლო კურსი: „სახიფათო ნარჩენების ტანსპორტირების, გამოყენების და შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, რომელიც ორგანიზებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“-ს მიერ, შვედეთის მთავრობის სრულად დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, და მიიღო შესაბამისი საკვალიფიკაციო სერტიფიკატი.

სასწავლო კურსის ჩატარების ვადები და ადგილი: 2016 წლის 16 – 23 მარტი, ქ. თბილისი

ელენე ლოლაძე, პროექტის მენეჯერი

დურმიშხან ხუციშვილი, სერტიფიცირებული სპეციალისტი, პროექტის კოორდინატორი

აჩილ ჭირაქაძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პროექტის კოორდინატორი

გიორგი სერგეენკო, სერტიფიცირებული სპეციალისტი, პროექტის კოორდინატორი

თბილისი, 2016 წლის 23 მარტი





Qualifying Certificate

Approving that Georgi Zazadze, ID 05001012400, student of the St. Andrew First Called Georgian University, successfully mastered the accelerated intensive training course "Providing of Safety of Transporting, Use and Storage of Hazardous Waste", organized by "Ecological Awareness and Waste Management" in the frame of the Project fully financed by the Government of Sweden, and passed the examination to get the appropriate Qualifying Certificate.

Date and place of training course: March 16 - 23, 2016, Tbilisi, Georgia

Elene Loladze, Project Manager

Durmishkhan Khutsishvili, Project Coordinator, Certified Specialist

Archil Chirakadze, Project Coordinator, Professor of the Georgian Technical University

Giorgi Sergeenko, Project Coordinator, Certified Specialist

Tbilisi, March 23, 2016



CV



პირადი მონაცემები:

დაბადების თარიღი - 1962 წლის 5 ივნისი.

დაბადების ადგილი - საქართველო, ქალაქი ბათუმი.

მოქალაქეობა - საქართველოს მოქალაქე.

მისამართი: ქალაქი ბათუმი, 26 მაისის ქუჩა N13.

TL: +995 953312048. **e-mail:** garucha.g@gmail.com

წოდება -ჯილდო:

- 2012 წელი - საქართველოს ღირსების მედალი;
- 2013 წელი - ბათუმის დამსახურებული არქიტექტორი;
- 2018 წელი - საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.

განათლება:

1969-1979 წლები - ქალაქ ბათუმის N 21 საშუალო სკოლა.

1980-1985 წლები - ქალაქ მოსკოვის მიწათმოწყობის ინჟინერთა ინსტიტუტის - არქიტექტურული ფაკულტეტი. სპეციალობა - არქიტექტორი.

პროფესიული გამოცდილება:

1979-1980 წლები - სვერდლოვსკის არქიტექტურის ინსტიტუტი - თანაშემწეს პოზიცია;

1985-1996 წლები - ქალაქ ბათუმის აღმასკომის (მაშინდელი მერია) არქიტექტურის განყოფილების უფროსი არქიტექტორი.

1996-1997 წლები - ქალაქ ბათუმის აღმასკომის (მაშინდელი მერია) არქიტექტურული განყოფილების საწრმოო ჯგუფის მთავარი არქიტექტორი.

1997-2000 წლები - აჭარის არ მშენებლობის სამინისტროს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის განყოფილების უფროსი.

2000-2003 წლები - აჭარის არ ურბანიზაციის სამინისტროს არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსი.

2003-2005 წლები - აჭარის არ ეკონომიკის სამინისტროს ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსი.

2005-2006 წლები - ქალაქ ბათუმის მთავარ არქიტექტორი.

2007 წლიდან შპს „კონსტრუქტორი-21“ არქიტექტორის პოზიცია.

2012 წლის თებერვალიდან - აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აჭარის სივრცითი დაგეგმარების ჯგუფის არქიტექტორი.

2013-2014 წლები - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი USAID-ი, ბათუმის ურბანული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფის არქიტექტორი.

1985-2021 წლების - პერიოდში დაპროექტებული და რეალიზებულია მრავალი სხვადასხვა დანიშნულების შენობის არქიტექტურული პროექტი.

2012-2020 წლები აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობის ჯგუფში განვლილ პერიოდში შესრულებული პროექტები: აჭარის სივრცითი მოწყობის გეგმა, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ხულოს რაიონების სივრცითი დაგეგმარების გეგმები; ქობულეთის, ჩაქვი-ციხისძირის, გონიოს, სარფის, კურორტ გოდერძის დეტალური დაგეგმარების გეგმები.

პედაგოგიური მოღვაწეობა:

1990-1994 წლებში ბათუმის ჰუმანიტარული კოლეჯი;

1996 წლიდან (დღიდან მის დაარსებისა) ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი.

2017 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპიუტერულ პროგრამების ფლობა:

სტანდარტული პროგრამები – Word, Excell, PowerPoint, Internet.

გრაფიკული პროგრამები autoCAD, Photoshop, CorelDRAW, Google SktechUp..

ენები:

ქართული – მშობლიური;

რუსული – სრულყოფილად;

ინგლისური – დამწყები.

არქიტექტორი:



გრიგოლ გარუჩავა

უმაღლესი განათლების დიპლომი:



შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების წესების კურსის სერტიფიკატი:

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2018 - 015

ბაღაეცხემა

ბრიზოლ გარუჩავას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“



ვაჟა კახიანიძე, კურსის ხელმძღვანელი

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდების მინიჭების სიგელი:



CURRICULUM VITAE (CV)

სახელი: ვალიკო გორგაძე
 პროფესია: ინჟინერ-გეოდეზისტი,
 დაბადების თარიღი: 1955 წლის 13 იანვარი
 სამუშაო გამოცდილება: 45 წელი
 სამოქალაქო სტატუსი: დაოჯახებული
 განათლება: უმაღლესი
 საგანმანათლებლო დაწესებულება: მოსკოვის გეოდეზიის, კარტოგრაფიის და აეროგადაღების ინსტიტუტი
 თარიღი: 1975 წელი

სამუშაოზე დაკავებული პოზიციები:

ორგანიზაცია: კომპანია „რუკა მაპინგ“-ი
 თარიღი: 2009 წლიდან დღემდე
 თანამდებობა: სავსელ სამუშაოების ტექნიკური მენეჯერი

ორგანიზაცია: კომპანია „აღ.კ.ს.“
 თარიღი: 1997-2009 წ.წ.
 თანამდებობა: GIS ინჟინერი

ორგანიზაცია: საქართველოს აეროგეოდეზიური საწარმო
 თარიღი: 1976-1997 წ.წ.
 თანამდებობა: მთავარი ინჟინერი

ჩატარებული სამუშაოები:

2009-2010 წ.წ. ჩქაროსნული ავტომატისტრადის თბილისი-შათუხის მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური აღწერა

2010-2011 წ.წ. ჩქაროსნული ავტომატისტრადის ალაღანის მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური აღწერა

2012 წ. ჩქაროსნული ავტომატისტრადის 'სესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური აღწერა

2013 წ. ჩქაროსნული ავტომატისტრადის ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური აღწერა.

2014 წ. რატის რევიზიის შეყენების საკადასტრო აღწერა

2015 წ. საქართველოს 1:10000 მასშტაბის კარტოგრაფირება

2015 წ. კახეთის რევიზიის ვიარლის რაიონის საკადასტრო აღწერა

2016 წ. ქ. თბილისის 1:2000 მასშტაბის ფოტოაეროდეზიური დამუშავება

2016 წ. მტკვარის ტოპოგეოდეზიური კვლევა. თბილისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის საინჟინერო ტერიტორიის წინა საპროექტო კვლევა. პირობა-თბილისის პროექტის წინასაპროექტო საინჟინერო-გეოდეზიური კვლევა.

2017 წ. ქ. ქობულეთის 1:5000 მასშტაბის ორთოფოტოების შექმნა

2017-2018 წ.წ. „თბილისი რევიზია“, ღვინის ტბიდან „აფხუზი და მოქის“ მისაღწევებში ახალი ექსპედიციის წინასაპროექტო კვლევები „აღომა“.

2018 წ. კახეთის რევიზიის შეყენების საკადასტრო რუკების შედგენა

2019 წ. ქ. თბილისის თბილისის მიხს ტოპოგრაფიული ადგილები: შპს „რუსთავის ფილადი“, არმატურისა და ჯარის აღწერა და მოცულობის დათვლა. აჭარის ავტ. რესპ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ხარფის საკერძოთრ ადგილის მთავარი სინის ტოპოგრაფიული რუკის შედგენა.

2020 წ. ქ. თბილისის თბილისის მიხს ტოპოგრაფიული ადგილები: შპს „ეორვიან ზანგანო“, ქქითურის შემოღობვაში აეროფოტოგადაღება, ორთოფოტოების მიწაღება და 3D განსომილების მოდელის შექმნა. შპს „კახური ტრადიციული მუდისკობა“, სოფელ ახალშენის ტბიანის და წინაღობის ტერიტორიაზე აეროფოტოგადაღება და ტოპოგრაფიული ადგილი აღწერებისათვის DWG ფაილში.

ენები:

	კითხვა	საუბარი	წერა
ქართული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

ДИПЛОМ

ЖВ № 667412

Настоящий диплом выдан *Гонгадзе*
Валико Отаровичу

в том, что он..... в 1976 году поступил.....
